ც. კ. მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

მეექვსე წელიწადი

[illegible]

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა,
გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24;
მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას" და „მეცნიერება და ტეხნიკას". განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—48, სტამბის ტელ. 13—80.

სამშაბათი, 12 იანვარი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 8 (1463)

დღიური

— საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა პოლონეთის სეიმის დელეგაცია.
— მექსიკის ნავთის სამრეწველოების მუშების გაფიცვა გამარჯვებით დამთავრდა.
— პოლონეთში ძლიერდება მონარქისტული აგიტაცია.
— ესპანეთის დიქტატორმა პრიმო დე-რივერამ არ მიიღო ახდელ-ქერიმის წარმომადგენელი.
— მოკავშირეები კელნის ზონიდან ჯარებს პირველ თებერვლისათვის გაიყვანენ.
— პარიზში გაიხსნა საფრანგეთის სოციალ. პარტიის ყრილობა.

ამიერ-კავკასიის ცაკის მე-2 სესია

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მე-2 სესია
მოწვეული იქნება 1926 წ. 25 იანვარს
ქ. ერევანში

დღის წესრიგი:

1. ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენება.
2. სომხეთის მთავრობის მოხსენება.
3. ამიერ-კავკასიის სამეურნეო მდგომარეობის შესახებ.
4. ღონისძიებანი ამიერ-კავკასიაში გლეხური მეურნეობის გასაუმჯობესებლად და ასაღორძინებლად.
5. ამიერ-კავკასიის 1925—26 წლ. ბიუჯეტი.
6. ამიერ-კავკასიის ფედერაციის კონსტიტუციაში დამატების შეტანა საბიუჯეტო უფლებების შესახებ.
7. ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეების და საბჭოთა მეურნეობების შესახებ.
8. ამიერ-კავკასიის ცაკის პრეზიდიუმის მიერ ამიერ-კავკასიის ცაკის სესიების შუალედში მიღებულ დეკრეტების დამტკიცება.

ამიერ-კავკასიის ცაკის მდივანი—**ა. შაჰვერდოვი**

შინაპარტიული ამოცანები

უდიდესი მოვლენა, რომელსაც ადგილი აქვს ჩვენს ეხლანდელ პოლიტიკურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ესაა მასების თვითმოქმედების და აქტივობის არაჩვეულებრივი ზრდა. საბჭოთა ხელისუფლების ბუნება ჰგულისხმობს მთელი მშრომელი მოსახლეობის უშუალო ჩაბმას მართვა-გამგეობის და აღმშენებლობის საქმეში. ქვეყნის შეუჩერებელი სამეურნეო აღორძინების ნიადაგზე ხორცს ისხამს საბჭოთა წყობილების ეს ძირითადი თვისება. მასის აქტივობის ზრდა ჰპოულობს გამოხატულებას პირველყოვლისა საბჭოების, პროფკავშირების, კოოპერაციის და სხვა ორგანიზაციების გამოცოცხლებაში.

პარტიის ამოცანას შეადგენს ამ აქტივობის გაღრმავება-გაფართოვება და მისთვის შესაფერ ხელმძღვანელობის გაწევა. ამ ამოცანის წარმატებით განხორციელება მოითხოვს პარტიისაგან მთელი თავისი ძალღონის დაჭიმვას. პარტიის არა მარტო აქტივი, არამედ მთელი მასა თავისი მომზადებით, პოლიტიკური შეგნებით, გაცილებით უფრო მაღლა უნდა იდგეს უპარტიო მუშებსა და გლეხებზე, რათა ღირსეულად შეასრულოს მათი მოწინავე რაზმის როლი და მათ თვალში საკმაო ავტორიტეტით იყოს შემოსილი.

პირველ ყოვლისა აუცილებელია პარტაქტივის და პარტიული მასის კვალიფიკაციის აწევა, მათი თეორიული მომზადება, ლენინის მოძღვრების ფართედ გავრცელება პარტიის წევრებში. ამას დაჟინებით გვიკარნახებს განსაკუთრებით დღევანდელი სინამდვილე. ჩვენ დღეს გარდატეხის პერიოდს განვიცდით. ე. წ. აღორძინების პერიოდი თავდება და ფართე გზით ვიწყებთ სვლას სოციალიზმისაკენ. საბჭოთა ეკონომიკის შინაარსი, კლასთა ურთიერთი დამოკიდებულების საკითხი, სოციალისტური მშენებლობის გზები,—ყველა ამაში ლენინური სისწორით გარკვევა ახლა უფრო საჭიროა, ვინემ ოდესმე, ვინაიდან განვითარების ეხლანდელი საფეხური იმდენათ რთულია, რომ შეიძლება კაცი დაიბნეს ცხოვრების რთულ ხვეულებში, დაიკარგოს მერმინდელი პერსპექტივა და პრაქტიკული აღმშენებლობის სწორი ხაზიც. ამის ნიმუშები ჩვენ ვიხილეთ ოპოზიციის გამოსვლებში პარტყრილობაზე. ამიტომ, ვიმეორებთ, ჩვენი საქმიანობა უნდა წარვმართოთ პარტიის რიგების ლენინური მომზადებისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ. კერძოდ ამისათვის ფართე კამპანია უნდა გავშალოთ, მე-XIV-ე პარტყრილობის მუშაობის და დადგენილებათა შესათვისებლად მთელი პარტიის მიერ.

გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ პარტიული მასის მიერ პრაქტიკული სკოლის გავლას, მის აქტიურ მონაწილეობას ყველა იმ საკითხების განხილვაში, რომელთაც გვიყენებს მიმდინარე სინამდვილე. აქ ჩვენს წინაშე იჭრება შინაპარტიული დემოკრატიის მტკიცედ გატარების საკითხი. მხოლოდ ამ დემოკრატიის ნიადაგზე შეიძლება პარტიის მასის აქტივობის და თვითმოქმედების აწევა, რაც საფუძველია პარტიული ხელმძღვანელობის წარმატებით განხორციელების. პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების არჩეულობის უზრუნველყოფა, პარტიის წევრთა ცოცხალი მონაწილეობა მთავარ საკითხების დამუშავებაში, ახალი ძალების წამოყენება ხელმძღვანელ ორგანოებში, პარტაქტივის შემადგენლობის გაფართოება—ყველაფერი ეს აუცილებელია „რომ პარტიამ პირნათლად უწინამძღვროს მშრომელ მასებს და რომ იგი გაწვდეს ყველა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

მაგრამ ნურავის ეგონოს, რომ შინაპარტიული დემოკრატიის თანამიმდევრობითი გატარება ოდნავ მაინც ნიშნავდეს დისციპლინის დარღვევის, უმაღლეს პარტორგანოთა დადგენილებისთვის გვერდის ახვევის, დისკუსიის, ფრაქციულობის დაშვებას. არაფერი ამის მსგავსი. ეს იქნებოდა შინაპარტიული დემოკრატიის შინაარსის სრული დამახინჯება და საფრთხეს შექმნიდა პარტიის მთლიანობისათვის. ასეთი დამახინჯება, ასეთი ცდა ძირშივე იქნება აღმოფხვრილი მთელი პარტიის მაგარი ხელით. პარტიული დემოკრატია უნდა გაიშალოს ფოლადისებური მთლიანობის და დისციპლინის, პარტიის უმაღლეს ორგანოთა დადგენილებების გადაუხრელად გატარების ნიადაგზე.

ამ მთლიანობის და დისციპლინის დაცვისათვის, სწორი ხელმძღვანელობის განხორციელებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება აგრეთვე პარტიის სოციალური შემადგენლობის საკითხის მოწესრიგებას.

ჩვენი პარტია მასიური პარტიაა, ის მჭიდროთაა დაკავშირებული მუშებსა და გლეხებთან არა მარტო თავისი მიზნებით და მუშაობით, არამედ შემადგენლობით და ორგანიზაციული წყობით. კომუნისტური პარტია პროლეტარების პარტიაა, რომელშიც საკმაო ადგილი უკავიათ მოწინავე მშრომელ გლეხებსაც. ჩვენ შემდეგშიაც უნდა ვეცადოთ გავაძლიეროთ პარტიაში პროლეტარული კადრი, აგრეთვე ღარიბი და შეგნებული საშუალო გლეხების ჩვენთან უფრო ახლო მდგომი ელემენტებიც შევიყვანოთ მასში. მაგრამ ცხადია, რომ არსებობს გარჩევა პარტიასა და კლასს შორის და პარტიის გათქვეფა კლასში ყოვლად შეუძლებელია. ასეთ წინადადებას კი აყენებდა ოპოზიცია. ეხლა წარმოებს მუშათა კლასის შეკრების პროცესი, გარდა ამისა სოფლიდან საბჭოთა ფაბრიკა-ქარხნებში თავს იყრიან ახალი ელემენტები, რომელთაც არ გაუვლიათ სკოლა პროფკავშირებში, საერთოდ პროლეტარულ ორგანიზაციებში, არ გააჩნიათ საწარმოო სტაჟი. ყველა ასეთების ერთბაშად მოკლე დროში მიღება პარტიაში შეუძლებელია. ეს უზომოდ გაბერავდა ჩვენი პარტიის შემადგენლობას, შეიტანდა მასში წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტებს და ზიანს მიაყენებდა პროლეტარულ ხელმძღვანელობის საქმეს.

პარტიის გაძლიერება ახალი ელემენტებით უნდა ხდებოდეს არა ერთდროული კამპანიის სახით, არამედ თანდათანობით. საჭიროა ამ მხრივ დიდი სიფრთხილის გამოჩენა და შერჩევა, პარტიის კარები უნდა გაეხსნას მხოლოდ იმათ, ვინც საქმით დაამტკიცა თავისი ერთგულება პარტიისადმი და ვისაც აქვს სათანადო წინასწარი სტაჟი პროლეტარულ ორგანიზაციებში მუშაობით.

პარტიულმა ყრილობამ ყველა ამ საკითხებზე მოგვცა გარკვეული დირექტივები, რომელთა განხორციელება საწინდარია პარტიის უფრო მეტი განმტკიცების, მის წინაშე წამოჭრილ ამოცანების პირნათლად გადაჭრის.

კომკავშირი ახალი ამოცანების წინაშე

(პარტყრილობის დადგენილების გამო)

საბჭოთა კავშირის საერთო სამეურნეო ზრდასთან ერთად შესამჩნევათ გაიზარდა ფართე მშრომელი მასების პოლიტიკური თვითშეგნება და საზოგადოებრივი აქტივობა. ამ მოვლენის ერთ-ერთ საუკეთესო დამახასიათებელ ფაქტად უნდა ჩაითვალოს კომუნისტურ პარტიის და მის მომავალ თაობის, კომკავშირის რიგების უდიდესი ზრდა, რომელსაც ადგილი ჰქონდა უკანასკნელ წლების განმავლობაში და რომელიც დღესაც ასეთივე სიძლიერით გრძელდება.

თუ ეს ფაქტი ერთი მხრივ სიხარულს იწვევს, მეორე მხრივ ის პარტიისა და კომკავშირის წინაშე აყენებს უაღრესი მნიშვნელობის შინაპარტიულ მუშაობის ამოცანას, რომელიც მდგომარეობს ამ ახალ ათეულ და ასეულ ათასების ლენინურად აღზრდა-დარაზმვაში.

განსაკუთრებით მწვავედ სდგას ეს საკითხი კომკავშირის წინაშე, ეს ორგანიზაცია დღეს თავის რიგებში ითვლის 1.630 ათას წევრს. ახალგაზრდობის ამ ვეებერთელა ლაშქარის დიდ უმრავლესობას ფიზიკურ შრომის ელემენტები წარმოადგენენ. უფრო კი სჭარბობს გლეხური ახალგაზრდობა. კომკავშირის ზრდა უკანასკნელ ხანებში მომეტებით სოფლის ხარჯზე ხდებოდა.

ახალგაზრდობის ეს ახალი მასიური ფენები როგორც პოლიტიკურად გაუწვრთნელი და ორგანიზაციულ დარაზმვას უჩვევი, კომკავში- [illegible] რიგებს სერიოზულ საფრთხეს შეუქმნიან, თუ კომუნისტურ კავშირის ძველმა კადრებმა ვერ შესძლეს ახალ წვეულთა იდეური და პოლიტიკური გათვითცნობიერება, მათი ორგანიზაციულად დარაზმვა.

ამ მხრივ არც ისე კარგათაა ყველაფერი. პარტიის ახლად დასრულებულ ყრილობამ, სადაც კომკავშირის მუშაობის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა დათმობილი, თავის რეზოლიუციაში, სხვათა შორის აღნიშნა, რომ კომკავშირის რიცხვობრივ ზრდასთან ერთად ადგილი აქვს ამ ორგანიზაციაში დისციპლინის შესუსტებას და სხვა ორგანიზაციულ ტკივილებს.

მაგალითად, როგორც ვიცით, კომკავშირის რიგებისაკენ შეუჩერებელ ლტოლვაში ადგილი აქვს მეორე, ამ მოვლენის სრულიად საწინააღმდეგო ფაქტს. ეს არის კომკავშირის რიგებიდან ნებაყოფლობითი გასვლა.

ახალგაზრდათა ლენინურ ორგანიზაციას წევრთა მოძრაობის სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ წასული წლის იანვრიდან ვიდრე აგვისტომდე—კომკავშირს შეემატა 566 ათასი ახალი წევრი. მაგრამ ამასთან ერთად ამავე ხნის განმავლობაში ორგანიზაციის რიგები დასტოვა 110 ათას კომკავშირელმა.

ეს ცნობები მეტად დამახასიათებელია. განსაკუთრებით საგულისხმოა ისინი, როცა ამავე ცნობების თანახმად ვტყობილობთ, რომ თავის სურვილით გასვლის მთავარ მოტივს უმეტეს შემთხვევაში წარმოადგენს: „კომკავშირის მუშაობით დაუკმაყოფილებლობა".

აქედან აშკარაა, რომ საჭიროა მუშაობის გადახალისება, როგორც თვით კომკავშირის რიგებში, ისე ამ ორგანიზაციაზე პარტიულ ხელმძღვანელობის გაძლიერება. პარტიის უახლოესი და მუდმივი ხელმძღვანელობა სავსებით უნდა შეფარდებულ იქნას იმ ახალ ამოცანებთან, რომელზედაც მიგვითითებს პარტიულ ყრილობის დადგენილება.

როგორც ყრილობამ აღნიშნა; კომკავშირი თავის იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობით ვერ გაჰყვა ფეხდაფეხ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო ზრდას და ვერ დააკმაყოფილა ამ ზრდით გამოწვეული ახალგაზრდობის ახალი მოთხოვნილებანი. კომკავშირის მუშაობაში ჯერ კიდევ ძლიერია განყენებულ პროპაგანდისაკენ გადახრა, როგორიცაა მაღალ პოლიტიკაზე მსჯელობა, რიხიანი „არქირევოლიუციონური" ფრაზა და დიდ მატერიებზე ლაპარაკი.

ამასთან ერთად კომკავშირის რიგებში, ისე როგორც პარტიაშიც, ჯერ კიდევ არაა სავსებით დაძლეული ბრძანებლობითი მუშაობის მეთოდები, რაიც წინ ელობება მშრომელი ახალგაზრდობის თვითმოქმედებას.

ამავე დროს ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში, რომლისკენაც პირველყოვლისა სწორეთ ახალგაზრდობას უხმობს ფართე აღორძინების გზაზე მდგომი ჩვენი მეურნეობა, ნაკლებათ გამოსადეგი ხდება ის მშრალი საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობა, რომელსაც ძველი ჩვეულების მიხედვით აწარმოებს კომკავშირი. დაუახლოვდით მრეწველობას, დაუახლოვდით სოფლის მეურნეობას—აი ის ლოზუნგი, რომელიც გადმოისროლა მეთოთხმეტე ყრილობამ.

ახალგაზრდობაში სრულიად ბუნებრივად იბადება სურვილი საკუთარ მატერიალურ მდგომარეობის გაუმჯობესების და ამასთან ერთად წარმოებაში უშუალო მონაწილეობის მიღებისა და თავის თავად აქ არავითარ მავნე მიდრეკილებას არა აქვს ადგილი. პირიქით, ყრილობის [illegible] ვით გვეუბნება:

„ყველაზე უფრო მტკიცე და ცოცხალი უჯრედები ქალაქებში არიან ისინი, რომლებმაც შეძლეს შეეთანხმებიათ არსებობის გაუმჯობესების ინტერესები სახელმწიფოებრივ წარმოების ინტერესებთან და მაშასადამე, რევოლიუციის საერთო ინტერესებთან. ყველაზე უფრო მაგარი და ცოცხალი უჯრედები სოფლად არიან ისინი რომლებიც ეწევიან პრაქტიკულ მუშაობას სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის„.

ამ რიგად ყრილობის მიერ დასახული გზა გულისხმობს პირველყოვლისა წარმოებასთან დაახლოებას, კომკავშირის მუშაობის ყოველდღიურ სამეურნეო ამოცანებთან მჭიდრო დაკავშირებას. ამ ამოცანის საკუთარი ძალებით გადაწყვეტა კომკავშირს, რა თქმა უნდა, არ შეეძლება. აქ საჭიროა პარტიის აქტიური დახმარება და უშუალო ხელმძღვანელობა. რაში უნდა მდგომარეობდეს ეს ხელმძღვანელობა? ამაზე პასუხს გვაძლევს იგივე ყრილობა: უფრო სისტემატიურად უნდა ირჩეოდეს კომკავშირის საკითხები პარტორგანიზაციების კრებებზე; უნდა ხდებოდეს პარტიისა და კომკავშირის ორგანიზაციების შეერთებული კრებები; კომკავშირში სამუშაოთ უნდა იგზავნებოდეს თეორეტიულად მომზადებული და პრაქტიკულ მუშაობაში გამოცდილი პარტამხანაგები; კომკავშირის პარტიული კადრი უნდა გამოყენებულ იქნას უმთავრესად თვით ამ ორგანიზაციის მუშაობაში და უკანასკნელად უნდა მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება კომკავშირის ბეჭდვითი ორგანოებს.

ასეთია კომკავშირის უმთავრესი მორიგი ამოცანები და აქეთკენ უნდა იქნას მიპყრობილი პარტიის და ახალგაზრდათა ლენინურ ორგანიზაციის მთავარი ყურადღება.

იაპონია ეხმარება ჩინეთის კონტრ-რევოლიუციას

ამერიკული გაზეთები ააშკარავებენ იაპონიის როლს გო-სუნ-ლინის დამარცხებაში

ჩჟან-ძო-ლინს მანჯურიაში ზურგს უმაგრებს იაპონიის არმია

გომინდანის ყრილობამ მისალმება გაუგზავნა საბჭოთა მთავრობას

მუშათა დემონსტრაციების აკრძალვა შანხაიში

იაპონიის როლი ჩინეთის ამბებში

პეკინი, 10 იან. ამერიკელ ყოველკვირეულ ჟურნალში „ჩაინა უიკლი რევიუ"-ში, რომელიც შანხაიში გამოდის, მოთავსებულია საინტერესო ცნობები ჩინეთის უკანასკნელ ამბებში იაპონიის მონაწილეობის შესახებ.

იაპონელები თავიანთ პროპაგანდით, ნათქვამია წერილში, ვერ დაარწმუნებენ ჩინელებს, რომ ჩჟან-ძო-ლინის უეცარი და მოულოდნელი დაბრუნება მოხდა იაპონიის დაუხმარებლად. ერთი თვის განმავლობაში გო-სუნ-ლინმა 700 მილით წაიწია ჩრდილოეთით და მიუახლოვდა მუკდენს. ჩჟან-ძო-ლინის საქმე საბოლოოდ იყო წაგებული და მან თვითონ ცნო ეს, რადგან განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს ჩამოშორდეს პოლიტიკურ მოღვაწეობას და დაუბრუნდეს კერძო ცხოვრებას.

მაგრამ გო-სუნ-ლინის წინ წაწევის შემდეგ იაპონიის მღელვარება გაძლიერდა. უწინარეს ყოვლისა გამოქვეყნდა ჩვეულებრივი ცნობა, რომ სამხედრო მოქმედებანი აკრძალულია სამხრეთ-მანჯურიის რკინისგზის ზონაში. შემდეგ, როდესაც გო-სუნ-ლინის გამარჯვება საბოლოოდ გამოირკვა, იაპონელებმა განაცხადეს, რომ ისინი არ დაუშვებენ სამხედრო მოქმედებას მუკდენიდან 6 მილის დაშორებით. ბოლოს გამოქვეყნდა ცნობა იაპონიის ჯარების მიერ მუკდენის დაკავების შესახებ.

ჩჟან-ძო-ლინის დაბრუნება, ეჭვს გარეშეა, მომზადებული იყო იაპონიის ჯარების დახმარებით. გო-სუნ-ლინის საიდუმლოთ დაპატიმრება და სიკვდილით დასჯა, მისი აფიცრების მოულოდნელი გადასვლა ჩჟან-ძო-ლინის მხარეზე მოხდა იაპონიის ჯაშუშების და ფულების წყალობით.

იაპონიის მთავრობა ყოველმხრივ ცდილობს დაამტკიცოს თავისი ნეიტრალიტეტი მანჯურიაში, მაგრამ საეჭვოა, რომ მან ეს მოახერხოს. **რამდენიმე დღის წინად გამოქვეყნებული იყო ცნობა, რომ ჩჟან ძო-ლინის დამარცხება მოასწავებდა იაპონიისათვის 60 მილიონი დოლარის დაკარგვას ჩჟან-ძო-ლინის მიერ გამოშვებულ ქაღალდის ფულების ფასის დაკარგვის გამო. 60 მილ. დოლარის დაკარგვის პერსპექტივა საკმარისი იყო იმისათვის, რათა იაპონიის მთავრობას გაეძლიერებია თავისი გარნიზონები მანჯურიაში".**

რამდენი ჯარი იყო გადაყვანილი მანჯურიაში, არ არის ცნობილი. მაგრამ ამერიკელები, რომლებიც საკმაოთ გამოცდილნი არიან ამ საკითხებში, აცხადებენ, რომ მანჯურიაში, სულ მცირე 20.000 იაპონელი ჯარისკაცია.

გომინდანის ყრილობა

კანტონი, 10 იანვარი. გომინდანის ყრილობის მეორე სხდომაზე მოსმენილ იქნა სამანდატო კომისიის მოხსენება. მოხსენების თანახმად ყრილობას ესწრება 189 დელეგატი, აქედან 12 ქალია.

პრეზიდიუმში არჩეულია 12 დეპუტატი, მათ შორის ვან-ჩან-ვეი და ტინ-ვეი-ფანი.

ყრილობამ მიიღო დეკლარაცია ყველა ჩაგრულ ხალხებთან თანამშრომლობის შესახებ და ენერგიული პროტესტი განაცხადა მანჯურიაში იაპონელების ინტერვენციის წინააღმდეგ.

მიღებული იქნა დეკლარაცია, რომელიც იწონებს სახალხო არმიების მოქმედებას და მადლობას უცხადებს საბჭოთა კავშირის მთავრობას კანტონის ჯარების მთავარ სარდლის ხუ-ხან-მინის მეგობრულ მიღებისათვის.

ყრილობამ საბჭოთა კავშირის მთავრობას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც იგი გამოსთქვამს რწმენას, რომ ორივე მხარეს შორის დამყარებული იქნება მჭიდრო თანამშრომლობა იმპერიალიზმის დამხობის მიზნით.

ყრილობის საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენება პოლიტიკურ, სამხედრო და ფინანსიურ მდგომარეობის და აგრეთვე მუშათა კლასის და გლეხობის მდგომარეობის შესახებ.

ყვითელი ყვავილის სერზე

კანტონი, 10 იანვარი. „გომინდანის" მესამე სხდომა გაიმართა ყვითელი ყვავილის სერზე (კანტონის მახლობლად), სადაც გადახდილი იქნა სამოქალაქო პანაშვიდი 1911 წლის რევოლიუციის დროს დაღუპულ 72 გმირის ხსოვნის აღსანიშნავად. ყრილობის დელეგატებმა დასდეს ფიცი: **„უმჯობესია სიკვდილი ბრძოლაში, ვიდრე სიცოცხლე მონობაში.**

სერის მწვერვალზე—კაუდგემზე საძირკველი ჩაეყარა სუნ-იატ-სენის ძეგლს.

სუნ-იატ-სენის ანდერძი პარტიისადმი გამოკვეთილი იქნება ქვაზე.

ყალბი ინფორმაცია

პეკინი, 10 იანვარი. პეკინის გარნიზონის უფროსმა ლუ-ჩან-ლინმა იაპონიის ელჩს იოშიზავას გადასცა პროტესტი იაპონიის იმ აგენტების მოღვაწეების წინააღმდეგ, რომლებიც ავრცელებენ ყალბ ინფორმაციას.

მუშათა დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის

პეკინი, 10 იანვარი. იაპონელ ფაბრიკანტების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო მუშათა დემონსტრაციაში მონაწილეობის მიღებისათვის შანხაის 17 სტუდენტი დაჯარიმებული და დაპატიმრებული იქნენ.

მუშათა კრებები აკრძალულია

პეკინი, 10 იანვარი. შანხაის პოლიციამ გამოაქვეყნა განმეორებითი ბრძანება მუშათა კრებების აკრძალვის შესახებ.

ბუდაპეშტში ამზადებდნენ ყალბ ფრანკებს, ბერლინში სტერლინგებს

ლონდონი, 11 იანვ. ბერლინში პოლიციამ დაატუსაღა ყალბი ფულის მჭრელნი, რომლებიც ამზადებდნენ და უშვებდნენ 5 გირ. სტერლინგის ბილეთებს. პოლიციას ხელში ჩაუვარდა მანქანები, ქვები და დამზადებულ ბილეთების მარაგი.

გამოძიება დამთავრდა

ბერლინი, 11 იანვ. გამოძიება ყალბი ბანკნოტების დამზადების შესახებ ბუდაპეშტში დამთავრებულია და გადაცემულია პროკურორისათვის.

დამნაშავეთა დასჯას მოითხოვენ

პარიზი, 11 იანვ. ჩეხო-სლოვაკიის ავსტრიის და იტალიის წარმომადგენლებს ბელგრადში თათბირი ჰქონდათ ნინჩიჩთან ჰუნგრეთში ყალბი ფულების დამზადების შესახებ. გაზეთი „პოლიტიკა" სწერს, რომ მცირე ანტანტა გადასდგამს სათანადო ნაბიჯს დამნაშავეთა დასასჯელათ და ზარალის ასანაზღაურებლად.

ჰუნგრეთის საზღვრების დახურვა.

პარიზი, 11 იანვარი. „ჟურნალის" ცნობით ჰუნგრეთის საზღვარი დახურულია.

„მატენ"-ის კითხვები.

პარიზი, 11 იანვარი. „მატენი" ფიქრობს, რომ საფრანგეთის მთავრობამ უნდა მოითხოვოს პასუხი შემდეგ კითხვებზე: 1) რატომ არ მიეცა მსვლელობა 1924 წელში გამო აშკარავებულ საქმეს იმის შესახებ, რომ ვინდიშგრეცცი ემზადება ყალბი ფულების მოსაჭრელად, 2) მართალია თუ არა ის, რომ ჰუნგრეთის მთავრობამ არაფერი არ იცოდა ყალბი ფულის მომჭრელთა მოღვაწეობის შესახებ, 3) მიიღო თუ არა თავის თავზე ხორტიმ მძიმე პასუხისმგებლობა, როცა მან მხარი დაუჭირა ალბრეხტს, რომლის მომხრეები ცდილობენ საზავო ხელშეკრულების გაუქმებას. იმდენათ, რამდენათაც საქმეში გახვეულია ყოფილი კრონპრინცი, „მატენი" ფიქრობს, რომ ეს საქმე მეტად სერიოზულია და მოითხოვს სისწორით და წინდახედულათ გადაჭრას.

საფრანგეთის დასაკმაყოფილებლათ

პარიზი, 11 იანვარი. „სანდი ტაიმსის" ცნობით, ჰუნგრეთის მთავრობამ გადასწყვიტა დაშალოს უძლიერესი ორგანიზაცია „მადიარების გამოფხიზლება", რომელიც აერთიანებს უკიდურეს ნაციონალისტურ ელემენტებს.

ხორტის განცხადება

პარიზი, 11 იანვარი. მინისტრთა საბჭოში ხორტმა განაცხადა, რომ მან გადასწყვიტა ენერგიულად განაგრძოს გამოძიება.

ჩეხო-სლოვაკიის წინადადება.

პარიზი. 11 იანვ. ჩეხოსლოვაკიამ გადასწყვიტა მიმართოს მცირე ანტანტის სხვა სახელმწიფოებს წინადადებით, რომ შეერთებულად გამოვიდენ ერთა ლიგის წინაშე ყალბი ფულების დამზადებელთა საქმის პოლიტიკური სარჩულის გამოსარკვევად.

ბეტლენი თავს იმართლებს.

პარიზი. 11 იანვ. გრაფი ბეტლენი უარყოფს პოლიტიკური სარჩულის არსებობას. „მატენის" კორესპონდენტთან საუბარში მან განაცხადა, რომ არ არის საჭირო ბრალდებულთა საქმის გაზვიადება. არა გვაქვს არავითარი საბუთი ვიფიქროთ, რომ მათ მიზანს შეადგენდა მთავრობის ჩამოგდება ან რეჟიმის შეცვლა. საქმეს არა აქვს არავითარი პოლიტიკური სარჩული.

შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადება

პარიზი, 11 იანვარი. „პტი პარიზენის" ცნობით, ჰუნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რაკოვსკიმ განაცხადა: „ჩვენ ჯერ კიდევ ვერ გამოვარკვიეთ, რამდენად მართალია ბრალდებულთა განცხადება ნაციონალურ და პატრიოტულ მიზნების შესახებ. მე მგონია, რომ ისინი, ვისაც გულწრფელად სწამდა ეს მიზნები და იმავე დროს მონაწილეობა მიიღეს ამ საქმეში, გახდენ ერის ნერვიულობის მსხვერპლი იმ მომენტიდან, როცა მან გაიგო, რომ ის დამარცხებულია.

პარიზი, 11 იანვარი. დატუსაღებულია კიდევ 23 კაცი.

ნაციონალისტები იმუქრებიან

ლონდონი, 11 იანვარი. ბუდაპეშტიდან მიღებული ცნობებით ნაციონალისტები იმუქრებიან, რომ შურს იძიებენ მათი ორგანიზაციის დაშლისათვის. მოსალოდნელია ექსცესები. ოპოზიცია მოითხოვს, რათა მთავრობამ მიიღოს ზომები უწესოების თავიდან ასაცილებლად. მალე მოხდება კაბინეტის რეორგანიზაცია.

საბჭოთა პრესა

საბჭოთა საზოგადოებრიობის გზა

სამეურნეო აღორძინების ნიადაგზე იზრდება აქტივობა არა მარტო მუშურ-გლეხურ მასსების, არამედ ჩვენდამი მტრულად განწყობილ სოციალურ ფენებისაც—კულაკების და ნეპმანების. მაგრამ აქედან ყოვლად დაუშვებელია ისეთი დასკვნის გამოყვანა, რომ უკანასკნელთა მოსასპობად ჩვენ უნდა დაუბრუნდეთ სამხედრო კომუნიზმის, ადმინისტრატიული რეპრესიების მეთოდებს, როგორც ამას ფიქრობდა ოპოზიცია. ესაა უნდობლობა მშრომელთა ორგანიზატორულ ნიჭიერებისა და შემოქმედებითი ძალებისადმი. ნამდვილად კი კაპიტალისტურ ელემენტების აქტივობის დაძლევა ყველაზე უკეთ შეიძლება მუშათა და ღარიბ—საშუალო გლეხობის დარაზმვით და აქტივობის ზრდით. ყრილობამაც გარკვევით აღნიშნა, რომ საჭიროა მტკიცედ გავაგრძელოთ წინანდელი პოლიტიკა საბჭოთა დემოკრატიის ყველა ფორმების გაშლისა და ხელი შეუწყოთ ქალაქის და სოფლის მშრომელ მასსების შეკავშირების და აქტივობის ზრდას.

„რაც უფრო ფართე და მრავალწყალიანი იქნებიან პროლეტარულ-გლეხურ საზოგადოებრივ ცხოვრების ის შტოები,—სწერს „იზვესტია",—რომლებსაც მივყევართ ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ერთიან მძლავრ ნაკადისაკენ, მით უფრო უძლური და უშიშარი გახდებიან ჩვენთვის კაპიტალიზმის ელემენტები, რომელთაც დაიფრთხვს ყრილობის ოპოზიცია.

პარტია და საბჭოთა ხელისუფლება შემდეგშიაც ივლიან მასსების თვითმოქმედების წაქეზების გზით, ყელში წაჭერის პოლიტიკის წინააღმდეგ. მუშათა და გლეხთა მილიონიანმა მასსების შემოქმედებითი გაქანებით და თაოსნობით, ჩვენი კონსტიტუციის და საერთო საბჭოთა კანონმდებლობის საფუძველზე, ჩვენ უფრო მეტი სისწრაფით და წარმატებით მოვახდენთ კულაკის და ნეპმანის ეკონომიურ და პოლიტიკურ განიარაღებას, ვინემ ადმინისტრატიული ზედ დაწოლით".

ამგვარად, საბჭოთა დემოკრატიის ბოლომდე გატარება, მასსების აქტიური და უშუალო ჩაბმა სახელმწიფოებრივ, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში—აი გზა, რომლითაც ჩვენ შევსძლებთ წარმატებით სოციალისტურ მშენებლობას და კულაკურ-ნეპმანურ ელემენტების დაუძლურებას—გარიყვას.

სოფლის კოოპერაცია და სახელმწიფოებრივი მრეწველობა.

დღევანდელ პირობებში, როცა ჩვენ ვიწყებთ ფართე და სისტემატიურ სოციალისტურ მშენებლობას, კოოპერაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. კოოპერაცია სოფლად მთავარი გზაა სოციალიზმისაკენ. ის მოწოდებულია განდევნოს კულაკი, დაიცვას საშუალო გლეხობა, ფეხზე წამოაყენოს ღარიბი გლეხობის მეურნეობა, ხელი შეუწყოს უკანასკნელთა შეკავშირებას და მათი სამეურნეო განვითარება მიაქციოს სოციალისტურ კალაპოტში. ამ ამოცანის განხორციელებას კოოპერაცია შესძლებს, თუ იგი მიიღებს სათანადო სახელმწიფოებრივ დახმარებას—კრედიტით, საქონლის მიწოდებით და სხ. ამ მხრივ კერძოდ უაღრესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახელმწიფოებრივი მრეწველობის ზრდას. „ეკონომიჩესკაია ჟიზნ" სწერს:

„პირველ ყოვლისა, მრეწველობის განვითარების და მასში მუშების სულ უფრო მეტი რიცხვის დაბანდებას შეუძლია შეამციროს მიწის სივიწროვის გამო წარმოშობილი მოსახლეობის სიჭარბე და გაუჩინოს სამუშაო სოფლის ზედმეტ მუშა-ხელს და ამავე დროს შექმნას ბაზარი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის, რომლის რაოდენობა დღითი დღე იზრდება. ღარიბი გლეხობა, რომელსაც ეძლევა ფართო შესაძლებლობა ქალაქში გასვლის, სამრეწველო პროლეტარიატის რიგებში მოქცევის, შესძლებს ენერგიულად დაიცვას თავი კულაკისაგან. მეორე, სახელმწიფოებრივი მრეწველობის განვითარებამ უნდა უზრუნველყოს საქონლით კოოპერაციის სათანადო მომარაგება, საჭირო ასორტიმენტის საქონლით და იმ პირობებში, რომლებიც შეეფერებიან მის სოციალურ ამოცანებს. ამზადებს რა საკმაო რაოდენობით წარმოების საშუალებებს გლეხური მეურნეობისათვის და ანაწილებს რა ასეთებს განსაზღვრულ პირობებში სოფლის კოოპერაციის საშუალებით, მრეწველობას ეძლევა უფართოესი შესაძლებლობანი—გავლენა მოახდინოს სოფლის ტექნიკაზე, ეკონომიკაზე, კლასობრივ ურთიერთობაზე".

სახელმწიფოებრივი მრეწველობის ზრდა ამავე დროს არის კოოპერაციის მოღონიერებაც, მისი სოციალისტური როლის გაძლიერებაც სოფლის ეკონომიკაში. ჩვენი მრეწველობის გაშლა, და კოოპერაციასთან მისი სწორი ურთიერთობის დამყარება—ერთ-ერთი მთავარი პირობაა სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთის პარლამენტარიები საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 11 იანვ 10 იანვარს მოსკოვში ჩამოვიდა პოლონეთის სეიმის დეპუტატთა ჯგუფი.

ტასის კორესპონდენტთან საუბარში დელეგაციის თავმჯდომარემ ბრილმა განაცხადა:

„ჩვენი მოგზაურობის მიზანი და ამოცანაა საბჭოთა სახელმწიფოს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გაცნობა, რომელსაც ჩვენ ჯერ-ჯერობით ნაკლებათ ვიცნობთ. დღემდე კიდევ პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი იკვებება იმ გაზეთების ცნობებით, რომლებიც ამახინჯებენ ჭეშმარიტებას და ავრცელებენ ჭორებს.

ჩვენ გვინდა უშუალოთ გავეცნოთ საბჭოთა კავშირს და შემდეგ უტყუარი, სრულიად ობიექტიური ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას. თუ ჩვენ აქ ვნახავთ რაიმე ხელსაყრელ მდგომარეობას, ჩვენ ამას დიდი სიამოვნებით აღვნიშნავთ, რადგან ჩვენი მიზანია ხელი შევუწყოთ ორივე ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ დაახლოებას.

ჩვენი პირველი შთაბეჭდილება უფრო ხელსაყრელია, ვიდრე მოველოდით. ჩვენ სრულიად მოუმზადებელი შევხვდით ამას“.

საუბარი გელმანთან

მოსკოვი, 11 იანვარი. დელეგაციის ორგანიზატორმა გელმანმა განუცხადა ტასის კორესპონდენტს: „ჩვენ აქ ჩამოვედით არა იმისთვის, რომ რაიმე პოლიტიკა ვაწარმოოთ, არამედ განსაკუთრებით იმ მიზნით, რომ სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ საბჭოთა კავშირზე.

დელეგაციის მარშრუტი

მოსკოვი, 11 იანვარი. 10 იანვარს, მოსკოვში ჩასვლისას, დეპუტატებმა დაათვალიერეს კრემლი. ერთი ჯგუფი 3—4 დღე დარჩება მოსკოვში და შემდეგ გაემგზავრება უკრაინაში—ხარკოვში, კიევში, ოდესაში და მინსკში. ფიქრობენ ლენინგრადის, ვოლხოვსტროის და შატურას დათვალიერებას.

სოციალისტები და მთავრობა.

პარიზი, 10 იანვ. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის საგანგებო ყრილობაზე დაიწყო სოციალისტების მთავრობაში შესვლის საკითხის გარჩევა. არც ერთ ორატორს არ ულაპარაკნია სოციალისტების მთავრობასთან თანამშრომლობის წინააღმდეგ, თუმცა კემპერ-მორელმა, ლებემ და სხვ. გაილაშქრეს მთავრობაში მონაწილეობის წინააღმდეგ. ყრილობის უმრავლესობა მთავრობაში მონაწილეობის წინააღმდეგია.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

დარბაზობა თეირანის საბჭოთა საელჩოში.

თეირანი, 10 იანვარი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლის იურენევის ელჩად დამტკიცების გამო, სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გაიმართა საზეიმო დარბაზობა, რომელსაც დაესწრენ სპარსეთის მთავრობის წევრები, დიპლომატიური კორპუსი, ამერიკის ფინანსიური მრჩევლები, მეჯლისის გამოჩენილი დეპუტატები, პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეები, პრესის, ვაჭრობის და უცხოეთის და საბჭოთა კავშირის კოლონიების წარმომადგენლები.

იაპონია და საბჭოთა კავშირი.

ტოკიო, 10 იანვარი. მოსკოვიდან დაბრუნდა იაპონელი დელეგატი კავაკამი, რომელმაც პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მოლაპარაკება კონცესიების შესახებ წარმატებით მიმდინარეობდა და მას ჰქონდა დიდი მნიშვნელობა იაპონიის და საბჭოთა კავშირის ინტერესებ- [illegible]

საბჭოთა ხელოვნების გამოფენა ოსაკაში.

ოსაკა, 10 იანვარი. გაიხსნა გამოფენა რუსული მხატვრობის და დიაგრამების, რომლებიც ახასიათებენ საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარებას.

გამოფენამ, რომელიც მოეწყო ლიბერალურ სამრეწველო წრეების ორგანოს „ოსაკა მაინიცის“ მონაწილეობით, დიდი ინტერესი გამოიწვია.

საბჭოთა თამასუქების განაღდება გერმანიაში.

ვარშავა, 10 იანვარი. ლოძის მრეწველები უკანასკნელ ხანებში საბჭოთა თამასუქებს ანაღდებდენ გერმანიაში. პოლონეთის ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ დაავალა ლოძის საოლქო სამმართველოს გამოარკვიოს ეს საკითხი.

მრეწველებმა განმარტეს, რომ საბჭოთა თამასუქების განაღდება გერმანიაში აიხსნება იმით, რომ პოლონეთში ძნელია ამ თამასუქების განაღდება.

შიშს დიდი თვალები აქვს.

ნიუ-იორკი, 10 იანვარი. ნიუ-იორკის შტატის სავაჭრო პალატამ მიიღო რეზოლიუცია ამერიკის მიერ საბჭოთა მთავრობის ცნობის წინააღმდეგ. რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ „საბჭოთა კავშირს არ იცნობენ მანამ, სანამ რუსეთში კომუნისტური პარტია იქნება ხელისუფლების სათავეში“.

პალატის აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი, რომელმაც რეზოლიუცია წარადგინა, აღნიშნავდა „კომუნისტური პროპაგანდის საფრთხეს“. და აცხადებდა, რომ რეზოლიუცია მიმართულია უმთავრესად სენატორ ბორას და საბჭოთა კავშირის ცნობის მომხრეთა მოქმედების წინააღმდეგ.

რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული.

ერთა ლიგა მკვლელებს იცავს.

სტოკჰოლმი, 10 იანვარი. სტოკჰოლმი გაზეთის „ტიდნინგენის“ ჟენეველი კორესპონდენტი [illegible] რა შვეიცარიის მთავრობის ოფიციალურ განმარტებას, გადასწყვიტა თავი შეიკავოს ყოველგვარ ცდისაგან დაარწმუნოს საბჭოთა კავშირი, რათა მონაწილეობა მიიღოს განიარაღების წინასწარ კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნება 15 თებერვალს. ლიგას არ შეუძლია მოითხოვოს, რათა შვეიცარიის მთავრობამ თავის თავზე მიიღოს პასუხისმგებლობა ვოროვსკის მკვლელობისათვის, რასაც საბჭოთა მთავრობა მოითხოვს, რადგან მოკვლის მომენტში ვოროვსკი უკვე აღარ ყოფილა დელეგატად ლოზანის კონფერენციაზე, რამდენათაც საბჭოთა მთავრობა არ ყოფილა მიწვეული აქ კონფერენციის მეორე ნაწილზე.

ლიგის წრეებში ანგარიშს უწევენ საბჭოთა კავშირის არყოფნას განიარაღების წინასწარ კონფერენციის სხდომებზე, მაგრამ ჟენევიდან სადმე სხვაგან კონფერენციის გადატანის საკითხს მხედველობაში აღარ იღებენ.

ომი მაროკოში

საფრანგეთს და ესპანეთს არა სურთ მშვიდობიანობა მაროკოში

პარიზი, 10 იანვ. მხოლოდ კომუნისტურმა გაზეთმა „იუმანიტემ“ გამოაქვეყნა აბდ-ელ-კერიმის ემისარის კანინგის წერილი დეპუტატთა პალატაში ბრიანის განცხადების საპასუხოთ. კანინგი აცხადებს, რომ ჩამოვიდა პარიზში გამოჩენილი მოღვაწეთა გამოძახებით. თავის ჩამოსვლას კანინგი სთვლიდა სასარგებლოთ, რადგან ფიქრობდა, რომ რამდენადაც ივლისში გამოქვეყნებული საფრანგეთის პირობები რჩება ძალაში, შესაძლებელია მოლაპარაკება, რაც აბდ ელ ქერიმმა დაავალა მას აწარმოვოს არა მარტო საფრანგეთთან, არამედ ესპანეთთანაც. კანინგის ცნობით, აბდ-ელ-ქერიმი თანახმაა, რომ საფრანგეთმა გამოარკვიოს საზღვრები, რომელიც უზრუნველჰყოფს კავშირს ალჟირთან; აბდ-ელ-ქერიმი არ მოითხოვს გუტუანას შეერთებას რიფების ავტონომიურ ოლქთან. მადრიდზე გავლის დროს პრიმო-დე-რივერამ უარი განაცხადა კანინგის მიღებაზე.

მონარქისტული მოძრაობა პოლონეთში.

„მონარქისტების ხმა“.

ვარშავა, 20 იანვ. ჩენსტოხოვში გამოვიდა ყოველკვირეული ჟურნალის „მონარქისტის ხმა“-ს პირველი ნომერი.

ჟურნალს სცემს დეპუტატი ცვიაკოვსკი, რომელიც გამოვიდა „ვიზვოლენიას“ პარტიიდან.

ჟურნალი მიზნად ისახავს მონარქისტული აგიტაციის გაწევას გლეხებს შორის.

ბალკანეთის ლოკარნო

ლონდონი, 10 იანვ. გაზეთ „ტელეგრაფის“ ათინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ოსმალეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების დადების შემდეგ, საფრანგეთმა და ინგლისმა გადაჭრით ურჩიეს ბალკანეთის სახელმწიფოებს დასდონ „ბალკანეთის ლოკარნოს ხელშეკრულება“. საფრანგეთის ელჩმა ათინაში ბელგრადზე გავლის დროს წინადადება მისცა სამხრეთ-სლავიის მთავრობას თავს იდოს ბალკანეთის სახელმწიფოების საგარანტიო ხელშეკრულების მომზადება. ამ სთან დაკავშირებით სამხრეთ-სლავიის ელჩმა ათინაში ინახულა საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრი.

პოლონეთის საპარლამენტო დელეგაცია.

ქამპანია დელეგაციის წინააღმდეგ.

ვარშავა, 10 იანვ. პილსუდსკისთან ახლოს მდგომი ორგანო „კურიერ პორანი“ განაგრძობს თავდასხმას პოლონეთის სეიმის იმ დეპუტატების წინააღმდეგ, რომელნიც გაემგზავრენ საბჭოთა კავშირში.

გაზეთი განსაკუთრებით თავს ესხმის პარტია „ვიზვოლენიას“ დეპუტატს გელმანს.

გრძელი წერილი თავდება გესლიანი თავდასხმით საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენელზე ვოიკოვზე და საბჭოთა დიპლომატიაზე.

ანალოგიური წერილი დაბეჭდილია აგრეთვე გაზეთ „ფშეგლონდ ვეჩორნ-ში“.

ნეგორელოე, 11 იანვ. 9 იანვარს ვარშავიდან ნეგორელოეში ჩამოვიდა პოლონეთის პარლამენტის წევრთა დელეგაცია.

დელეგაციას შეხვდენ გარეშე საქმეთა სახ. კომისარიატის, ბელორუსიის მთავრობის და საბჭოთა კავშირის საზღვარგარეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების წარმომადგენელნი.

საუბარი დელეგაციის თავმჯდომარესთან.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში დელეგაციის თავმჯდომარე ბრილმა განაცხადა:

„პარლამენტის დელეგაციის მგზავრობის მიზანია—სწორი ინფორმაციის მიღება საბჭოთა კავშირის მდგომარეობის შესახებ. ჩვენ პოლონეთში გვაქვს მრავალგვარი, მაგრამ, ხშირად სიმართლეს მოკლებული, ინფორმაცია საბჭოთა კავშირის შესახებ. ჩვენ გვაინტერესებს საბჭოთა კავშირის ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული აღმშენებლობა. ჩვენი დელეგაციის უმრავლესობა გლეხური პარტიების წარმომადგენლებია. ამიტომ ჩვენ განსაკუთრებით გვაინტერესებს გლეხობის მდგომარეობა“.

კითხვაზე, თუ როგორ აქვს დელეგაციას წარმოდგენილი პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მომავალი ურთიერთობა, ბრილმა განაცხადა:

„პოლონეთი გლეხური ქვეყანაა, საბჭოთა კავშირიც აგრეთვე გლეხური ქვეყანა არის. ასე რომ ჩვენ გვაქვს საფუძველი შევქმნათ ნორმალური კეთილმეზობლური ურთიერთ დამოკიდებულება. ჩვენ უარვყოფთ ყოველგვარ სამხედრო ავანტიურას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ვიბრძოლებთ მტკიცე მშვიდობიანობის დასამყარებლად“.

მინსკში.

მინსკი, 11 იანვ. ჩამოვიდა პოლონეთის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც სადგურზე შეხვდენ ბელორუსიის ცაკის და სახ. კომისართა საბჭოს, მინსკის ქალაქის საბჭოს და სხვ. წარმომადგენლები.

ბელორუსიის მთავრობის წარმომადგენელმა დელეგაციის მისასალმებელ სიტყვაში გამოსთქვა რწმენა, რომ დელეგაციის ჩამოსვლა საფუძველს ჩაუყრის პოლონეთის ხალხის და საბჭოთა კავშირის ერთა უფრო მჭიდრო კულტურულ და ეკონომიურ დაახლოებას.

საბჭოთა ბელორუსიის მთავრობის სახელით ხინკევიჩმა მიიპატიჟა დელეგაცია უკან დაბრუნებისას ბელორუსიის სატახტო ქალაქში მინსკში, სადაც ის გაეცნობა ბელორუსიის საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიურ და კულტურულ მიღწევებს.

საპასუხო მისალმებაში დელეგაციის თავმჯდომარე ბრილმა აღნიშნა, რომ პარლამენტის დელეგაცია არის პოლონეთში მცხოვრებ პოლონელ, ბელორუსელ, გერმანელ და უკრაინელ გლეხების წარმომადგენელნი, იმ გლეხების, რომელთა გული ისევე ფეთქს, როგორც საბჭოთა კავშირის მშრომელის გული. დელეგაცია იხმარს ყოველივე ძალღონეს, რათა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის დამყარებულ იქნეს კეთილმეზობლური ურთიერთობა, რომელიც დაეყრდნობა კულტურულ და ეკონომიურ თანამშრომლობის საფუძველს.

დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვში.

გერმანიაში

ამხ. კორშის გასამართლება.

პარიზი, 11 იან. „როტე ფანეს“ ცნობით რეიხსტაგის კომუნისტ დეპუტატს კორშს წაყენებული აქვს ბრალდება სახელმწიფოს ღალატში. კორში დიდხანს იყო იენის უნი- [illegible]ტის პროფესორად და ერთ დროს აგრეთვე იუსტიციის მინისტრად ტიურინგიაში.

კელნის ზონის ევაკუაცია

პარიზი, 11 იან. კელნიდან მიღებული ცნობით კელნის ზონის საბოლოო ევაკუაცია მოხდება თებერვლის დასაწყისში.

საჩუქარი ჰოჰენცოლერნებს.

პარიზი, 11 იანვ. რეიხსტაგის [illegible] მთავრობას გადაწყვეტილი აქვს გადაუხადოს ჰოჰენცოლერნებს 184 მილ. მარკა ოქროთი.

ფრანგ „სოციალისტების“ კონგრესი

პარიზი, 11 იანვარი. გაიხსნა სოციალისტური კონგრესი. რეგისტრაციაში გატარებულია 2.900 მანდატი. სიტყვის თქმის ვადა განსაზღვრულია 30 წუთით. გაზეთები აღნიშნავენ კონგრესის დიდ მნიშვნელობას, რადგან მისი გადაწყვეტილებები გავლენას მოახდენს ეხლანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზე.

მთავრობაში მონაწილეობის წინააღმდეგ

ბერლინი, 11 იანვარი. სენის დეპარტამენტის სოციალისტების კონფერენციამ 2.084 ხმის უმრავლესობით 1.570 ხმის წინააღმდეგ უარყო წინადადება სოციალისტების ბურჟუაზიულ კაბინეთში მონაწილეობის შესახებ.

ჩემბერლენის „ამხანაგები ჟენევიდან“.

ლონდონი, 10 იანვ. „რეიტერის“ სააგენტო იუწყება, რომ ახალ წელიწადს ჟენევის ფაშისტების ერთი ჯგუფი მაიორ პოოლის მეთაურობით გამოცხადდა ჩემბერლენთან რაპალოში და მიულოცა მას ახალი წელი.

მილოცვის საპასუხოთ ჩემბერლენმა უძღვნა ფაშისტებს თავისი ფოტოგრაფიული სურათი შემდეგი წარწერით ფრანგულ ენაზე: „ჩემს ჟენეველ ამხანაგებს საუკეთესო სურვილებით“.

საბინაო კრიზისი ლონდონში

ლონდონი, 10 იანვ. მიუხედავად იმისა, რომ ლონდონში, ლონდონის საგრაფო საბჭო, ქალაქის განაპირა საბჭოები და კერძო პირები მრავალ სახლებს აშენებენ, ქალაქში დიდი საბინაო კრიზისია. 1918 წლიდან ლონდონის საგრაფო საბჭომ ააშენა 11.000 სახლი, რომელსაც უნდა დაეკმაყოფილებია 84.000 კაცი. საბინაო აღმშენებლობა ფართე მასშტაბით სწარმოებს, ყოველ კვირაში შენდება 40 სახლი. 1918 წლიდან საბინაო აღმშენებლობაზე დაიხარჯა 18.600.000 გირ. სტერლინგი. აღმშენებლობის ეხლანდელი ტემპის მიხედვით ლონდონის საგრაფოში საბინაო კრიზისი მოისპობა 10 წლის შემდეგ.

სათბობ მასალის დამზადების პროგრამის გაფართოება.

მოსკოვი, 11 იანვ. სახ. საგეგ. კომისიამ შრომისა და თავდაცვის საბჭოში აღძრა საკითხი, რომ სასწრაფოდ დაინიშნოს საბჭოს საგანგებო რწმუნებული შეშის დამზადების გასაძლიერებლად.

საბჭოთა კავშირი გადადის სათბობ მასალის კრიზისის ხანაში. ამ მდგომარეობიდან თავის დასაღწევათ განზრახულია შეშის დამზადების გაძლიერება 54 პროცენტით, ნახშირისა—50 პროცენტით. რადგან შეშის დამზადებაში ემჩნევა ერთგვარი შეფერხება, შრომისა და თავდაც. საბჭომ გადასწყვიტა, საგანგებო რწმუნებული გამოჰყოს შეშის დამზადების საუკეთესოდ მოწყობისათვის.

საბჭო აგრეთვე წინადადებას აძლევს, ყველა რესპუბლიკებში აირჩიონ საგანგებო რწმუნებულები, რომლებიც უშუალო კავშირს დაიჭერენ შრ. და თავდაც. საბჭოს საგანგ რწმუნებულებთან.

სხვა და სხვა ამბები

— „სისხლის სამართლით დასასჯელი ანარქია“. დაიწყო უორკერსის პარტიის ორგანოს გაზეთ „დეილი უორკერის“ დირექტორის მორიც ლების საქმის გარჩევა, რომელსაც ბრალდება ინდიანის შტატის კანონის დარღვევა „სისხლის სამართლით დასასჯელ ანარქიის“ შესახებ.

ლებს ბრალდებათ უყენებენ სიტყვას, რომელიც მან წარმოსთქვა 1923 წ. 1 მაისს ფოლადის მრეწველობის ცენტრში ქალაქ გარიში.

ლების პროცესის დამთავრების შემდეგ დაიწყება მეორე კომუნისტის ომელიანის საქმე, რომელსაც წაყენებული აქვს ანალოგიური ბრალდება.

— გაფიცულთა გამარჯვება. უზენაესმა სასამართლომ გაარჩია საქმე ნავთის კამპანიის „ფიგლ ოილ კამპანია“-ს წარმოებებში მომხდარი გაფიცვის შესახებ და გამოიტანა განაჩენი გაფიცულთა სასარგებლოდ.

სასამართლოს გადაწყვეტილება გაფიცვას კანონიერად აცხადებს და წინადადებას აძლევს მწარმოებლებს გადაუხადონ გაფიცულებს ჯამაგირის ნაწილი.

თბილისის პარტაქტივი მთლიანად და სავსებით უერთდება პარტყრილობის გადაწყვეტილებებს

(ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება)

გუშინ, ოპერის თეატრში, შესდგა თბილისის პარტაქტივის გაფართოებული კრება, რომელზეც ამხ. სერგო ორჯონიკიძემ გააკეთა ვრცელი მოხსენება პარტიის მეთოთხმეტე ყრილობის შესახებ (მოხსენება იქნება გამოქვეყნებული).

მომხსენებელს მისცეს უამრავი კითხვები, რომლებზეც მან გასცა დაწვრილებითი პასუხი. შემდეგ კრებამ ერთხმად (ორის თავის შეკავებით) მიიღო ასეთი

რეზოლიუცია:

„მოისმინა რა ამხ. სერგო ორჯონიკიძის მოხსენება მეთოთხმეტე პარტყრილობის შედეგების შესახებ, თბილისის ორგანიზაციის პარტაქტივის საერთო საქალაქო კრება 1.500 კაცის შემადგენლობით, მხურვალე სალამს უძღვნის პარტიის ახალ ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს.

კრება სთვლის მეთოთხმეტე პარტიულ ყრილობის გადაწყვეტილებებს აბსოლიუტურად სწორად და მთლიანად და სავსებით უერთდება მათ.

აქტივის კრება აღნიშნავს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გამარჯვებიდან გამარჯვებამდე მიჰყავდა ქვეყანა სოციალისტური აღმშენებლობის შემდგომი ზრდისა და გაფართოების გზაზე.

პარტიის მეთოთხმეტე ყრილობამ ნათლად და მკაფიოდ ჩამოაყალიბა ლენინის პარტიის ძირითადი ხაზი და კონკრეტიულად მიუთითა პარტიის მუშაობაზე აღმშენებლობის ყოველ დარგში.

კრება სიამოვნებით აღნიშნავს ჩვენი პარტიის განუყოფლობას და იდეურ მთლიანობას და გაოცებას გამოსთქვამს იმ პოზიციის გამო, რომელიც დაიკავა ლენინგრადის დელეგაციამ, რომელიც თავისი გამოსვლებით და მოქმედებით შეეცადა დეზორგანიზაცია შეეტანა ყრილობის მუშაობაში. კრება შემცდარ ნაბიჯად სთვლის ამხ. ზინოვიევის გამოსვლას თანამოხსენებით ცეკას ანგარიშის გამო, რამაც არამც თუ ხელი არ შეუწყო მთელი პარტიის რიგების შემჭიდროებას და ამა თუ იმ უთანხმოების მოსპობას, არამედ მას შეეძლო შეექმნა საფრთხე პარტიის მთლიანობისათვის.

კრება მტკიცედ დარწმუნებულია, რომ ლენინგრადის ორგანიზაცია ახლო მომავალში სავსებით დაგმობს ლენინგრადის დელეგაციის მოქმედების ხაზს, ჩადგება პარტიის მოწინავე რიგებში და, გაერთიანებული ლენინურ ცენტრალური კომიტეტის ირგვლივ და მის ხელმძღვანელობის ქვეშ, მტკიცედ დაიცავს პარტიის ლენინურ მთლიანობას და რკინის დისციპლინას მის რიგებში.

აღნიშნავს რა პარტიის მეთოთხმეტე ყრილობის გადაწყვეტილებათა უდიდეს მნიშვნელობას ჩვენი აღმშენებლობის მთელ მახლობელ პერიოდისათვის, თბილისის აქტივის გაფართოებული კრება მოუწოდებს ორგანიზაციის ყველა წევრებს ყრილობის ყველა გადაწყვეტილებათა ყურადღებით შესწავლისა და მათი გადაუხვევლად ცხოვრებაში გატარებისაკენ“.

დასასრულ კრებამ მიიღო რეზოლიუცია ამხ. კიროვის გადაყვანის შესახებ ლენინგრადში საგუბ. პარტკომის მდივნად. კრება მწუხარებით აღნიშნავს ამიერ-კავკასიიდან მის გადაყვანას და გამოსთქვამს რწმენას, რომ მისი ხელმძღვანელობით ლენინგრადის ორგანიზაცია ამოსწორებს არანორმალურ მდგომარეობას ლენინგრადში, ძველებურად იქნება პარტიის მოწინავე რიგებში და ლენინის პარტიის მთლიანობის დარაჯად.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

რკინისგზის ტარიფების გადიდება

მოსკოვი, 11 იანვ. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შრომის და თავდაცვის საბჭოში შეიტანა წინადადება 1926 წლ. 1 თებერვლიდან ტარიფების გადიდების შესახებ სამგზავრო ბილეთებზე (გარდა ქალაქის განაპირა გზებისა სასეზონო ბილეთებით) და ბარგის დატვირთვის გადაზიდვაზე სამგზავრო მატარებლების სიჩქარით 10 პროცენ., ხოლო ტვირთის გადაზიდვაზე სპეციალური სიჩქარით (გარდა საექსპორტოსი) 5 პროცენტით. შრომის და თავდაცვის საბჭომ მიიღო სახელმწიფო საგეგმო კომისიის წინადადება.

ფინანსთა სახ. კომისარიატის განმარტება

მოსკოვი, 11 იანვ. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახ. კომისარიატი განმარტავს, რომ პირველი საფეხურის სასოფლო კოოპერატივებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ბაზრობებზე და საერთოდ უნდა გადახდეს შემოსავლის კვალობითი გადასახადი.

სასოფ. მანქანების დამზადების გაძლიერება

ზინოვიევსკი, 11 იანვ. სასოფ.-სამეურნეო მანქანების ქარხანამ „კრასნაია ზვეზდამ“ გასულ წელს დაამუშავა—7.800.000 მანეთის მანქანები. ამგვარად გადააჭარბა 30 პროცენტით. აგრეთვე გადააჭარბა ომის წინა დროსაც, როცა მთელი წარმოება არ ასცდენია 6 მილ. მანეთს.

ფეიქარ ქალთა ყრილობა

მოსკოვი, 11 იანვ. 9 იანვარს მოსკოვში გაიხსნა ფეიქარ ქალთა სრულიად საკავშირო ყრილობა.

ყველაზე პირველ მოსმენილ იქნა ფეიქართა პროფკავშირის ცეკას მდივნის ამ. ლებედევის მოხსენება—კავშირის მოღვაწეობის შესახებ უკანასკნელ დროში.

20.000 ბიბლიოთეკა მასწავლებელთათვის

მოსკოვი, 11 იანვ. განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცეკამ გადასწყვიტა დაგზავნოს სათემო პუნქტებში 20.000 ბიბლიოთეკა დაბალ მასწავლებელთა აკიროებისათვის.

სესხი სამეურნეო აღდგენისათვის

როგორ იქნება განაწილებული სესხი

მოსკოვი, 11 იანვ. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ შრომის და თავდაცვის საბჭოს [illegible] აღმშენებლობის სესხის განაწილების პროექტი, რომლის თანახმად მრეწველობამ უნდა მიიღოს—190.320.000 მანეთი, ტრანსპორტმა—46.500.000 მანეთი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის—15.000.000 მანეთი, საყინულეების, ელევატორების, ბეკონის ფაბრიკების და სხვ. ასაგებად—10 360.000 მანეთი, საკურორტო საქმის განვითარებისათვის—2.320.000 მან. კომუნალურ მეურნეობისათვის- 24.000.000 მ. და 10 000.000 მ. თანასწორად განაწილებულ უნდა იქნეს სასოფლო მეურნეობის ცენტრო-ბანკის და ელექტრობანკის შორის.

ამ პროექტის შესახებ პიატაკოვმა აღნიშნა, რომ სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მოთხოვნილება ვერ იქნა სავსებით დაკმაყოფილებული [illegible] სის მიერ გათვალისწინებულ თანხას 9 ნახ. მილ. მანეთით აღემატება. ამის გამო სახ. მეურნეობის უმაღლესი საბჭო იძულებული იქნება შეამოკლოს საამშენებლო პროგრამა, კერძოდ პროგრამიდან ამორიცხოს მინის ქარხნების და ლითონის მრეწველობის ზოგიერ წარმოებათა აგება. ამის თავიდან ასაცილებლად, პიატაკოვი წინადადებას იძლევა გადიდებულ იქნეს მრეწველობისათვის გაღებული თანხა საკურორტო საქმის განვითარებისათვის გადადებულ თანხის ანგარიშზე.

შრომის და თავდაცვის საბჭომ მიიღო სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი სამეურნეო აღმშენებლობის სესხის განაწილების პროექტი პიატაკოვის შესწორებით.

მუშა-კორესპონდენტთა საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 11 იანვ. გაიხსნა „რაბოჩაია გაზეტას“ მუშკორების სრულიად საკავშირო თათბირი. დაესწრო 200-ზე მეტი დელეგატი კავშირის ყველა კუთხიდან. თათბირმა მოისმინა მისასალმებელი სიტყვები „რაბოჩაია გაზეტა“-ს რედაქტორის სმირნოვისგან, ცენტრალურ საკონტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენლის კარავაევისაგან, ნორვეგიის შვეციის და შვეიცარიის რევოლიუციონერ მუშათა წარმომადგენლებისაგან, გერმანიის მუშკორებისაგან და აგრეთვე მრავალრიცხოვანი მისალმებანი ჟურნალების, გაზეთების და მუშკორთა წრეებისგან.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

გლეხის სახლი

ოზურგეთი, 11 იანვ. სოფ. ჩოჩხათში და სუფსაში დამთავრდა გლეხის სახლების აშენება და მოწყობა.

მგლები

ოზურგეთი, 11 იანვ. ოზურგეთის მახლობელ სოფლებში გამოჩნდენ მგლები. რამდენიმე სოფელში დააზარალეს ბევრი საქონელი. ნადირებთან ბრძოლა გაძნელებულია რადგან მონადირეები არ მოიპოვებიან.

მიწისძვრა

ახალქალაქი, 11 იანვ. 8 იანვარს ღამით აქ მოხდა საკმაო ძლიერი მიწისძვრა. რყევა გრძელდებოდა 30 წამამდის.

ყველის ქარხანა

ახალქალაქი, 11 იანვ. იმუშავებენ ყველის ქარხნის გეგმას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მაზრაში მესაქონლეობის განვითარებისათვის.

ერთიანი ფრონტი კულაკების წინააღმდეგ

თელავი, 11 იანვ. მაზრის ბევრ რაიონში შესდგა გლეხებისა და სოფლის მოჯამაგირეთა გაერთიანებული კრებები, სადაც გადასწყდა, შეუერთდენ საშუალო გლეხობას და გაერთიანებული ფრონტით გამოვიდენ მომავალ საბჭოთა არჩევნებზე სოფლის მჩაგვრელ კულაკების წინააღმდეგ.

სოფლის მოჯამაგირეები სპობენ წერა-კითხვის უცოდინარობას

თელავი, 11 იანვ. მიწა-ტყის კავშირის ცნობებით, მთელი მაზრიდან 500-ზე მეტი სოფლის მოჯამაგირე სწავლობს პოლიტგანათლების წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებში. იმ შემთხვევაში, როცა პატრონები ხელს უშლიდენ მოჯამაგირეებს კავშირი ერეოდა ყოველთვის და მოჯამაგირეების სწავლაში, სასარგებლოდ აგვარებდა საქმეს.

ვენახების აღსადგენად

თელავი, 11 იანვ. სამაზრო აღმასკომმა შუამდგომლობა აღძრა, რომ სასოფ.-სამეურ. ბანკმა მაზრის საკრედიტო ამხანაგობებს კიდევ დამატებით გაუხსნას 10.000 მან. კრედიტი. ეს კრედიტი სესხათ უნდა გაიცეს გლეხობაზე, რომ მოხმარდეს ვენახების აღდგენას.

სასოფ.-სამეურ. გადასახადი

თელავი, 11 იანვ. სასოფ.-სამეურ. გადასახადის აკრება სასურველათ მიმდინარეობს. ჯერ-ჯერობით აკრებილია 60 პროცენტამდე. გადასახადების დამკლებ და საჩივრების გამრჩევ კომისიამ უკვე დაამთავრა მუშაობა.

პოლიტსკოლები

ჭიათურა, 11 იანვ. კომკავშირის შორაპნის სამაზ. კომიტეტმა გახსნა მაზრაში: 22 პირველი კატეგორიის პოლიტსკოლა, 4-მეორე კატეგორიისა, 31 სასოფ. პოლიტსკოლა და 34 პოლიტსამკითხველო. ამ სკოლებში სწავლობს კომკავშირელების 90 პროცენტი, უპარტიო ახალგაზრდობაც დიდის ინტერესით ეტანება ამ სკოლებს.

ექსკურსია

ჭიათურა, 11 იან. ჩამოვიდა სახელმწ. უნივერსიტეტის ექსკურსანტების ერთი ჯგუფი, რომ გაეცნოს მარგანეცის წარმოების საქმეს.

ფოთის შრომის ბირჟაზე

ფოთი, 11 იანვ. 1 იანვრისათვის ფოთის ბირჟაზე ითვლებოდა 384 უმუშევარი, რომელთაგან 65 ქალია. აქედან კავშირის წევრებათ ითვლება 231 კაცი. პროფესიის მიხედვით 197 შავი მუშა, დანარჩენი—მოსამსახურენი და სხვადასხვა ხელობის მუშები.

ფოთის ქალაქის ბაღი

ფოთი, 11 იანვ. შარშანდელმა ყინვებმა და ქარებმა სულ ერთიან მოსპეს ფოთის ქალაქის ბაღის ყველა ტროპიკული მცენარეულობა. ამჟამათ ბაღი ისევ მოჰყავთ წესრიგში. რგავენ ახალ ტროპიკულ მცენარეებს და აკეთებენ ხეივნებს.

პოლიტმუშაობა ქალთა შორის

ფოთი, 11 იანვ. საქ. კომპარტიის ქალთა განყოფილების მიერ ფოთის საწარმოვო დაწესებულებებში მოწყობილია 4 პოლიტწრე უპარტიო ქალთათვის. ერთ-ერთი წრე დანიშნულია [illegible] ქალების შორის სამუშაოთ.

მარილი

ქუთაისი, 11 იანვ. ცეკავშირმა მიიღო ევპატორიის მარილის მეორე პარტია 60,000 ფუთი, რომელიც დანაწილებულია კოოპერატივებ შორის. მხოლოდ მოტანა გვიანდება საკმაო რაოდენობის უქონლობის გამო. მარილის ერთი მესამედი ჯერ ისევ ფოთის საწყობებში ჰყრია.

ქუთაისის აღწერა

ქუთაისი, 11 იანვარი. ქუთაისის მცხოვრებთა აღწერილობით, რომელიც მოხდა 24 ნოემბერსა და 10 დეკემბერს შუა, 18 წლისაზე მეტი აღმოჩნდა: კაცები—11.436, ქალები—13.544, ქართველები—24.067, ებრაელები—1901, სომხები—441, რუსები—519, სხვადასხვა ეროვნებისა—344, წერაკითხვის უცოდინარი—7.093, შინაური განათლებით—11.789, დაბალი განათ.—2,348, სა შუალოთი —3.398, უმაღლესით—359, მუშები—2.214, გლეხები—1.855, შინამრეწველი—11.867.

აჭარისტანი

ტელეფონები მაზრებში

ბათომი, 11 იანვ. აჭარისწყლის სამაზრო აღმასკომმა დაამთავრა ბოძების დამზადება ტელეფონის ხაზების გასაყვანათ. დაიწყო ბოძების აღმართვა, რაც დასრულდება 1926 წლის მაისში.

სარძეო კოოპერატიული ამხანაგობანი

ბათომი, 11 იანვ. აჭარისტანის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა აჭარისწყალის და ქედას მაზრებში გახსნა ორი ახალი სარძეო-კოოპერატიული ამხანაგობა.

ამასწინად ბათომში დაარსებულმა სარძეო მეურნეობის კოოპერატიულმა კავშირმა გახსნა საკუთარი რძის დუქანი კავშირის წევრთა რძის პროდუქციის გასასაღებლად. კავშირმა შეისყიდა დაღესტანში 2.300 ფუთი თივა, რაც მას დაუჯდა 40 პროცენტით ნაკლები, ბათომის მაზრის ფასებთან შედარებით.

დადებულია ხელშეკრულება აჭარისტანის კოოპერატიულ დაწესებულებებთან რძის პროდუქტების მიწოდების შესახებ.

ყუბანის ოლქში კავშირმა გაგზავნა თავისი წარმომადგენელი აჭარისტანის სასოფლო-სამეურნეო ბანკის დახმარებით 16 ჯიშიან ძროხის შესაძენათ, რაც კავშირს დაუჯდება 200 მანეთი თითო სული, მაშინ როდესაც ადგილობრივი მეწველი ძროხა ფასობს 300—350 მანეთად.

საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოება.

ბათომი, 11 იანვ. აჭარისტანის საბჭოთა კინოს მეგობართა საზოგადოება შეუდგა უჯრედების დაარსებას წარმოებში და კინო ტექნიკურ განათლების სკოლის გახსნას. საზოგადოება ხსნის ბათომში სამეცნიერო კინოს მეცნიერულ შინაარსიან სურათების საჩვენებლათ. სურათების ჩვენების დროს წაკითხულ იქნება ლექციები სამეცნიერო საკითხებზე. კინოს დარბაზი ნავარაუდევია 250 კაცისათვის.

ბრძოლა ეპიზოოტიასთან.

ბათომი, 11 იან. დეკემბრის განმავლობაში აჭარისტანის სავეთლო პუნქტებმა მაზრებში აუცრეს 1600 სულ საქონელს შავი-ჭირის საწინააღმდეგო ვაქცინა. აცრა გრძელდება. საქონლის დაავადმყოფება მნიშვნელოვნად შემცირდა.

მედიკამენტები აჭარისტანისათვის

ბათომი, 11 იან. საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის ბათომის განყოფილებამ საზღვარ-გარეთ დაუკვეთა აჭარისტანისათვის 20.000 მანეთის მედიკამენტები.

ბათომის ნავსადგურში

ბათომი, 11 იან. 8 და 9 იანვარს ბათომში მოვიდენ შემდეგი გემები: ბალტიის სახ. ნაოსნობის გემი „კარლ ლიბკნეხტი“. ჰამბურგიდან 2.190 ტონი ტვირთით (მანქანის ნაწილები, ქაღალდი, მანუფაქტურა და სხვა). იტალიური გემი „რეკკო“—მაზუთის წასაღებათ 8.000 ტონის რაოდენობით ლადო-ნიგურეს (იტალიაში) ნავსადგურისთვის. ყირიმ-კავკასიის ხაზის გემი „სევასტოპოლი“ 5.000 ფუთი ფქვილით და 2.000 ფ. ნედლი ტყავეულობით.

სასოფ.-სამეურ. მანქანები აჭარისტანისთვის

ბათომი, 11 იან. ა.-კ. სახ. ვაჭრობის ბათომის განყოფილებამ აჭ. სასოფ.-სამეურ. ბანკისთვის საზღვარგარეთ შეუკვეთა სასოფ.-სამეურ. იარაღები 60.000 მანეთისა.

აფხაზეთი

საბინაო-საიჯარო კოოპერაცია

სოხუმი, 11 იანვ. თებერვლის დასაწყისისთვის განზრახულია სრულიად აფხაზეთის საბინაო-საიჯარო კოოპერატიულ ამხანაგობათა ყრილობის მოწვევა.

ბეწვეულობის დამზადება

სოხუმი, 11 იანვ. აფხაზეთის კოოპ. კავშირი შეუდგა ბეწვეულობის დამზადებას აფხაზეთის მთიან რაიონებში.

აზერბეიჯანი

80 ტრაქტორი.

ბაქო, 2 იანვარი. „ზაკგოსტორგ“-ის ბაქოს კანტორის მისამართით ამერიკიდან მოტანილია ფორდზონის სისტემის 80 ტრაქტორი, რომელიც გადაეცემა კეიბირლიგის და აზერბეიჯანის სახელმწიფო ვაჭრ. სამმართველოს საწყობს.

ხელოვნური წვიმა.

ბაქო, 2 იანვარი. ხელოვნური წვიმის მოყვანის ცდების მოსახდენად განჯის საცდელ სადგურს მიეცა 5.000 მანეთი.

აზერბეიჯანის მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა დაავალა უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს შეისწავლოს საკითხი აზერბეიჯანში ხელოვნური წვიმის მოყვანის საკითხი.

მეთამბაქოობის აღსადგენად.

ბაქო, 2 იანვარი. აზერბეიჯანის უმაღლესმა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა სთხოვოს ამიერ-კავკასიის უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს მისცეს მას გრძელვადიანი სესხის სახით 580.000 მანეთი რესპუბლიკაში მეთამბაქოობის აღსადგენად.

ჯერ-ჯერობით აზერბეიჯანში მეთამბაქოობის აღსადგენად გაცემულია 7.000 მანეთი.

პურის ქარხანა.

ბაქო, 2 იანვარი. ბაქოს საბჭომ პურის ქარხნის ასაშენებლად ბაქოში გადასდო 50.000 მანეთი.

ნოხების ბაზრები.

ბაქო, 2 იანვარი. ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო აწყობს აზერბეიჯანის მაზრებში ბაზრებს მწარმოებლების მიერ ნოხების გასასყიდათ უშუალოთ „ზაკგოსტორგ“-ზე. ნოხების ხარისხის გასაუმჯობესებლად მოწყობილი იქნება შეჯიბრება პრემიების მიცემით.

ეკონომიური ცხოვრება

თბილისის ბაზარზე

შაქარი და ასანთი

თუმცა მოთხოვნილება შაქარზე საკმაოდ გაცხოველებულია, მაგრამ, ბაზარზე იმდენი საქონელია, უმთავრესათ, ფხვნილი შაქარი, რომ თამამად კმაყოფილდება ბაზრის ყველა მოთხოვნილებები და კიდევ რჩება ზედმეტი რაოდენობა. უკანასკნელ ხანებში ბაზარზე შემოვიდა ნატეხი შაქარი, რომლის ნაკლებობა საგრძნობი იყო ბოლო დროს.

რაც შეეხება ასანთს, ეს საქონელი ნაკლებათ იშოვება ბაზარზე, რაც აიხსნება ასანთის შემოტანის შემცირებით. ასანთის ტრესტს საქონლის მეტათ მცირე მარაგი აქვს და მას არ შეუძლია სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოების და კოოპერაციის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

კერძო ვაჭრებს, რომლებსაც წინათ ეძლეოდათ მარაგის 2 პროცენტი, ეხლა სრულებით აღარ ეძლევათ საქონელი. გზაშიც ცოტაა ასანთი, უკანასკნელ ხანებში კი ასანთის გამოგზავნა ამიერ-კავკასიისთვის რკინის გზით სრულიად შეჩერებულია.

ნედლეულობა

მატყლზე მოთხოვნილება მტკიცეა. მაგრამ საქონელი ცოტა იშოვება ბაზარზე. მოთხოვნილება დიდია როგორც ადგილობრივ, ისე საკავშირო მრეწველობის მხრიდან. მატყლის მთავარი გამსაღებელია ადგილობრივ ბაზარზე კოოპერაცია; უკანასკნელ ხანებში ბაზარზე შემოვიდა მაზანდარის (სპარსეთის) მატყლი, რომელიც იყიდა ადგილობრივმა მრეწველობამ 22 მანეთად ფუთი. ღირსების მხრივ ეს მატყლი ნაკლებია, ვიდრე თუშური მატყლი, რომელიც ფასობს 27 მან. ფუთი.

ღვინო და სპირტი. მოთხოვნილება ღვინოზე და სპირტზე იზრდება, რის გამო მატულობს ამ პროდუქტების ფასები, ღვინის ფასი კახეთში გაიზარდა 200 მანეთამდე საპალნე. სწრაფათ იზრდება ღვინის სპირტის ფასი, რომელიც უდრის 40 კაპ. გრადუსი უაქციზოთ; გაძვირდა აგრეთვე პურის სპირტიც, რომელიც ღირს 10 კაპ. გრადუსი უაქციზოთ. მოთხოვნილება იმდენათ დიდია, რომ მისი დაკმაყოფილება სრულათ შეუძლებელი ხდება.

მთავარი მოთხოვნილება ღვინოზე და სპირტზე მოდის საკავშირო ბაზრებიდან, სადაც მეტად დიდი ფასებია ღვინოზე და სპირტის ნაწარმოებზე.

დიდი მოთხოვნილებაა აგრეთვე აბრეშუმის პარკზე და ნედლეულ ტყავზე; ეს უკანასკნელი საკმაოთ დიდი რაოდენობით შემოდის მეზობელ რესპუბლიკებიდან.

ჩვენი მრეწველობა

ლიტოგრაფიული ქვის წარმოება

ს. მ. უ. ს. პოლიგრაფიულმა ტრესტმა მოახდინა ალაგეთის ლიტოგრაფიული ქვის გამოცდა, რომელსაც მეტად კარგი შედეგი მოჰყვა. რამოდენიმეჯერ მოხდენილი ცდით და გასინჯვით გამოირკვა, რომ ალაგეთის ლიტოგრაფიულ ქვაზე შეიძლება 10.000 ჯერი ანაბეჭდის ამოღება. ალაგეთის ლიტოგრაფიული ქვა კარგათ ითვისებს ლიტოგრაფიულ ცხიმებს, რაც ლიტოგრაფიული ქვის მეტად ძვირფას თვისებათ ითვლება.

ამ ქვაზე შესაძლებელია წარმოებული იქნეს ყოველდღიური ლიტოგრაფიული სამუშაოები. ქვის ნიმუშები ადვილათ უძლევენ მძიმე პრესების წნევას და დაწოლას. გამოცდის დროს ნიმუშები ოდნავ ქონავდენ ქაღალდებს (ეს ნაკლი ადვილათ ასაშორებელია); ქვის ეს თვისება მოწმობს იმას, რომ ქვას აქვს საღებავების ბლომად შესრუტვის უნარი, რის გამოც მზგავსი ლიტოგრაფიული ქვების საშუალებით მოსახერხებელი ხდება ანაბეჭდების დიდი რაოდენობით ამოღება. პოლიგრაფიულ ტრესტს განზრახვა აქვს დაიწყოს ალაგეთის ლიტოგრაფიულ ქვის წარმოება.

ტყავის დასამზადებელი ქარხანა ოზურგეთში

კაი ხანია, რაც ოზურგეთის ტყავის დასამზადებელი ქარხანა არსებობს. უკანასკნელ დრომდე ქარხანა ეკუთვნოდა ერთიან მომხმარებელ საზოგადოებას, მაგრამ ნედლი მასალის უქონლობის გამო მომხმარებელი საზოგადოება მას ვერ ამუშავებდა. გასული წლის პირველი დეკემბრიდან ეს ქარხანა გადავიდა ოზურგეთის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების ხელში. განყოფილებამ ქარხანას გაუკეთა საფუძვლიანი რემონტი და შეიძინა ნედლი მასალა ქარხნის ასამუშავებლად. ნედლი მასალას განყოფილება იძენს გურიის სოფლებში; ქარხანა ამზადებს საძირე ტყავებს, იუხტს და სხვა ხარისხის ფაბრიკატებს,—უმთავრესად ისეთ საქონელს, რომელსაც გასავალი აქვს გლეხობის ფართე მასებში. ამჟამად ქარხანა ამუშავებს მხოლოდ 10 მუშა-ხელს. კომუნალურ განყოფილებას განზრახვა აქვს გაადიდოს მუშათა შტატი და ქარხნის წარმოება აიყვანოს იმ დონემდე, რომ დააკმაყოფილოს ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილება.

ვაჭრობა ოსმალეთთან

ოსმალეთთან ვაჭრობის შესახებ ჩვენს თანამშრომელს ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოში აცნობეს შემდეგი:

—გასული წლის განმავლობაში ოსმალეთიდან ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იყო 1,500·000 მანეთის საქონელი—ორჯერ უფრო მეტი, ვიდრე წინა წელში. იმპორტი სხვადასხვა შეღავათების წყალობით საკმაოთ ჩქარა იზრდება, მაგრამ ექსპორტი რამოდენიმეთ შემცირდა, თუმცა ექსპორტის პერსპექტივები მიმდინარე წელში კარგია: მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ურთიერთობა, რომელიც ამ ბოლო ხანებში დამყარდა ოსმალეთის ბაზრებთან.

ეს ურთიერთობა თანდათან ვითარდება. საბჭოთა კავშირსა და ოსმალეთს შორის დადებულ სპეციალური ხელშეკრულების ძალით ამიერ-კავკასიის ფარგლებში შესაძლებელია შემოტანილი იქნეს ულიცენზიოთ ოსმალეთში დამზადებული ყოველგვარი საქონელი. შესაძლებელია ოსმალური ტყავის, ხილის და სხვა საგნების შემოტანა. თავის მხრივ ოსმალო ვაჭრებს ამიერ-კავკასიიდან ულიცენზიოთ გააქვს მთელი რიგი საქონელი.

ოსმალეთთან ვაჭრობის გაცხოველებას ხელი შეუწყო ბაქოს ბაზრობამ, რომელზედაც პირველად მიიღეს მონაწილეობა ოსმალო ვაჭრებმა; მათ წარმატებით შეუძლეს იმ შეღავათების გამოყენება, რომლებიც მინიჭებული ჰქონდათ აღმოსავლეთის ვაჭრებს.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს ურთიერთობაში ოსმალეთთან ადგილი აქვს არანორმალურ მოვლენებსაც; მაგალითად, ოსმალო ვაჭრები ხშირათ ფრანგულ ტყავს ასაღებენ ოსმალურ ტყავათ და სხვა. მაგრამ ამ არანორმალურ მოვლენებს არ აქვს მასიური ხასიათი· საერთოდ ოსმალეთის ვაჭრებს მჭიდრო კავშირი აქვთ ჩვენს ორგანიზაციებთან.

ოსმალეთის ბაზარზე მრავლათ საღდება ჩვენი ნავთი, ხე-ტყე, ცემენტი, რეზინის ნაწარმოები და შუშეულობა. უცხო ფირმები, რომლებიც აქამდი მტკიცეთ გრძნობენ თავს ოსმალეთის ბაზარზე, თანდათან კარგავენ გავლენას და ადგილს უთმობენ ჩვენი სახელმწიფო ვაჭრობის ორგანოებს.

ეკონომიურ საბჭოში

ეკონომიურ საბჭომ დაადგინა გატარდეს ცხოვრებაში შემდეგი ღონისძიებანი

საქონლის ჭირის წინააღმდეგ

რადგანაც საქონლის ეპიზოტია აღმ. საქართველოში და აჭარისტანში კვლავ ძლიერდება, ამასთანავე, მას დასავლ. საქართველოშიც (გურიაში) მოუკიდია ფეხი, დაევალოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა სხვა რაიონებშიც არ იქნეს იგი გადატანილი.

ხილის დამზადება

მიუხედავად ხილის დამზადების სეზონის მნიშვნელოვანი დროის განვლისა, მისი დამზადების წლიური გეგმა სავსებით არ არის შესრულებული. დაევალოს „ბაღ-ბოსტან-კავშირ“-ს მიიღოს სათანადო ზომები მომავალი წლის ხილის მოსავლის დამზადება-გასაღებისათვის.

სამრეწველო საგნების შემოტანის მოწესრიგება

ვინაიდან სამრეწველო საგნების შემოტანა მეტად მცირე რაოდენობით სწარმოებს და მათი შემოტანის ნავარაუდევი გეგმა—კი მნიშვნელოვნათ არ ხორციელდება, რაც საგრძნობლად აფერხებს ნორმალურ აღებ-მიცემობას და სოფლის თუ ქალაქის მოსახლეობის საჭირო რაოდენობის სამრეწველო საგნებით მომარაგებას, განმეორებით მიექცეს ამ გარემოებაზე შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს ყურადღება და დაევალოს შესაფერი ზომების მიღება.

ამ საკითხის შესახებ სათანადო მოხსენება სასწრაფო წესით წარმოადგინოს საგეგმო კომისიაში.

ნედლი მასალა საპნის ტრესტისათვის

ვინაიდან საპნის ქარხნის პროდუქციის შემცირების ერთ-ერთ მთავარ მიზეზათ საჭირო ნედლეულის (სალომასი) ნაკლებობაა აღნიშნული, დაევალოს ს. მ. უ. ს. წარმოუდგინოს საგეგმო კომისიას არა უგვიანეს ერთი კვირისა ამა დადგენილების მიღებიდან სათანადო მოხსენება.

პურეულის შემოტანა

ვინაიდან პურეულის შემოტანა საკმაოდ არ სწარმოებს და საგრძნობი ნაკლებობაა მესამე ხარისხის ფქვილზე, რომელსაც უმთავრესად მოუსავლიანი რაიონების გლეხობა იძენს, დაევალოს შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულს შესაფერი ზომების მიღება და სათანადო მოხსენების წარმოდგენა.

საბჭოთა აღმშენებლობა

აბრეშუმის სახვევი ქარხანა ოზურგეთში

ამ დღეებში ოზურგეთში საძირკველი ჩაეყარა აბრეშუმის სახვევ და საგრეხ ფაბრიკის შენობას. ფაბრიკა დღეში დაამზადებს 45—50 კილოგრამ აბრეშუმის ძაფს.

ფაბრიკა ახლო ხანში მიიღებს ახალ დაზგებს, რომელთა თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ისინი ავტომატიურათ ანაწილებენ წყალს და ორთქლს, რის გამო მუშა ქალი, რომელიც იმუშავებს ორ აუზზე, იძულებული არ იქნება თვითონ მოაწესრიგოს წყალის და ორთქლის მიმდინარეობა; ამიტომ მას თამამად შეუძლია გამოხარშოს აბრეშუმის პარკი ორი აუზისათვის.

აბრეშუმის სახვევ ქარხნის შენობის სიგრძე უდრის 45 მეტრს, სიგანე—10 მეტრს.

შენობის ერთი ნაწილი იქნება ორ სართულიანი, მეორე—ერთსართულიანი.

ფაბრიკის შენობაზე მიდგმული ფარდულში მოთავსებული იქნება აბრეშუმის გამოსახარშავი და გასახვევი აპარატი.

რკინისგზის სადგურიდან ფაბრიკის შენობამდი გაყვანილია ვიწრო ლიანდაგიანი რკინისგზა, რომლითაც გადააქვთ ფაბრიკის ასაშენებლად საჭირო ყოველგვარი მასალები.

ამ ჟამად ფაბრიკის აგებაზე მუშაობს 100 კაცი.

ფაბრიკა აშენებული და მოწყობილი იქნება მიმდინარე წლის აპრილამდე და აბრეშუმის პარკის ახალი მოსავლის შეგროვების დროისათვის ფაბრიკა უკვე მუშაობას დაიწყებს.

საგზაო მშენებლობა

გზატკეცილების გაყვანა სვანეთში

გასულ წლის ზაფხულ-შემოდგომის განმავლობაში ტეხნიკ-ინჟინერთა კომისია ინჟ. გრუზინის ხელმძღვანელობით კვლევა-ძიებას აწარმოებდა მესტია—ბეჩო—ჯვარს შუა სვანეთში გზატკეცილის გასაყვანად. კომისიამ სვანეთში დაჰყო 6 თვე. ბილიკი, რომლის საშუალებით სწარმოებს მიმოსვლა ბეჩო—ჯვარს შუა, სიგრძით უდრის 100 ნახევარ ვერსს. გასულ წელს დასრულდა ბილიკის გამოკვლევა. ბეჩოდან-მესტიამდე—17 ნახევარ ვერსის სიგრძეზე. ამგვარად ჯვარიდან მესტიამდე ბილიკის სიგრძე უდრის 118 ვერსს, ალაგ-ალაგ ბილიკი სრულიად დაკარგული და მივიწყებული იყო, რის გამოც ძნელი ხდებოდა საცალფეხო მიმოსვლა. ინჟენერ-ტეხნიკოსთა პარტიას დიდი სიძნელის და დაბრკოლების დაძლევა მოუხდა, რომ გაეკაფათ, დაეტკეპნათ მივიწყებული ბილიკი, რასაც შედეგათ მოჰყვა მანძილის შემოკლება თორმეტ ვერს ნახევრით ბეჩო—ჯვარს შუა.

ამ წინასწარი მუშაობის დასრულების შემდეგ გზატკეცილის სიგრძე მესტია—ჯვარს შუა უდრის 105 ვერსს და 350 საჟენს.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა პარტიამ, რომელსაც არც საკმარისი მასალები ქონდა და არც საკმაო დრო, ვერ მოახერხა გაეწმინდა ბილიკი ხაიში—ჯვარის უბანში, სადაც ბილიკი მეტის მეტად დაკლაკნულია და მიჰყვება ენგურის პირად მდებარ მაღლობ ადგილებს, რომელიც ხშირად იფარება ღრმა თოვლით, რის გამოც ბილიკი სახიფათო გასასვლელს წარმოადგენს.

ამ ბილიკის აღდგენა შეამოკლებს გასაყვან გზატკეცილის ორ ვერსზე მეტად.

ინჟენერ-ტეხნიკოსთა პარტიას საჭიროდ მიაჩნია სამი ხიდიდან, რომელიც უნდა აშენდეს მდ. ენგურზე ინჟ. ფელდტის დასკვნის თანახმად, (ინჟ. ფელდტი 1924 წელს აწარმოებდა გზის გამოკვლევას ამ მიმართულებით), აიგოს მხოლოდ ერთი ხიდი ან ხუბერთან და ხაიშის ზევით, რაც ინჟენერ-ტეხნიკოსთა პარტიის აზრით შეამცირებს გზატკეცილის გასაყვანად საჭირო ხარჯებს.

პარტიის კვლევა-ძიების დროს დიდ დახმარებას უწევდა სვანეთის სამაზრო აღმასკომი და აგრეთვე გლეხები, რომელნიც სრულიად უსასყიდლოთ და დიდი ხალისით ეწეოდენ დამხმარე მუშაობას.

საგზაო ბეგარა

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ მიიღო პროექტი დადგენილებისა სოფლის მოსახლეობისათვის შრომითი საგზაო ბეგარის დაწესების შესახებ.

პროექტის მიხედვით, სამაზრო აღმასკომებს უფლება ეძლევათ დააწესონ ადგილობრივი მოსახლეობისათვის შრომითი საგზაო ბეგარა გზების შესაკეთებლათ და საერთოდ წესრიგში მოსაყვანად.

შრომითი საგზაო ბეგარა უნდა დაეკისროს შრომისუნარიან მამაკაცებს 18—45 წლამდე; ბეგარისაგან განთავისუფლებული უნდა იქნენ ის პირები, რომლებიც თავისუფალი არიან მისგან შრომის კანონთა კოდექსის ძალით; ამას გარდა, ბეგარისაგან თავისუფლდებიან სხვა პირებიც — იმის დამიხედვით, თუ როგორია მათი ჯანმრთელობა, ოჯახური მდგომარეობა და სხვა. ამ დამატებით შეღავათებს აწესებენ სათემო აღმასკომები.

გარდა პირადი შრომისა, თვითეული მცხოვრები, რომელსაც ეკისრება შრომითი საგზაო ბეგარა, ვალდებულია გადასცეს სათანადო აღმასკომის განკარგულებაში მისი მუშა-საქონელი საჭირო საგზაო ტრანსპორტით და ინვენტარით. თვითეული მეურნეობა ვალდებულია გამოიყვანოს არა უმეტეს ორ სული საქონლისა.

იმ პირებს, რომლებსაც ეკისრებათ შრომითი საგზაო ბეგარა, შეუძლიანთ ბეგარა შესცვალონ ფულადი გადასახადით. ამ გადასახადის ნორმებს აწესებს სათემო აღმასკომი და ამტკიცებს სათანადო სამაზრო აღმასკომი.

მოსახლეობის ფაქტიური გამოყენება საგზაო მუშაობისათვის შესაძლებელია მხოლოდ ამ მუშაობის ორგანიზაციულად და ტეხნიკურათ მომზადების შემდეგ. ბეგარის მოხდის ვადას და დროს აწესებს სათემო აღმასკომი; ბეგარის დაწესება არ უნდა ხდებოდეს სასოფლო-სამეურნეო მუშაობის მიმდინარეობის დროს.

ადგილობრივ მნიშვნელობის გზების შეკეთება და შენახვა ხდება შრომითი ბეგარის წესით იმ სოფლების მოხოვრებლების მიერ, რომლებიც სარგებლობენ ამ გზებით.

იმ პირებს, რომლებიც არ გამოცხადდებიან ბეგარის მოსახდელათ, გადახდებათ ფული სათემო აღმასკომის მიერ შემუშავებულ წესების თანახმად.

ის თანხები, რომლებიც შემოვა ბეგარის ფულადი გადასახადით შეცვლიდან და აგრეთვე რომლებიც გადაახდებათ ბეგარის მოსახდელად არ გამოცხადებულ პირებს, გადარიცხული უნდა იქნეს სოფლის საბჭოს სპეციალურ თანხებში და უნდა დაიხარჯოს მხოლოდ საგზაო მუშაობაზე.

სასოფლო მეურნეობა

საწვიმარი მანქანები

საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-სამელიორაციო ინსტიტუტმა ამერიკის შეერთებულ შტატებიდან გამოიწერა ეგრედწოდებული „საწვიმარი მანქანები“, რომელიც შემოღებულია ამერიკის ისეთ ადგილებში, სადაც ხშირი გვალვები იცის. როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ამ მანქანების საშუალებით მოსახერხებელი ხდება ხელოვნური წვიმის გამოწვევა. მანქანები საქაჩავების დახმარებით წყალს ღებულობენ წყალის ერთი მეორისგან დიდ მანძილზე დაშორებული ხელოვნურ აუზებიდან და სარწყავი მილების საშუალებით რწყავენ მცენარეულობას, რომელიც გვალვის გამო წყალს უხვად საჭიროებს. მანქანებით მოსახერხებელი ხდება წყალის სხურება როგორც მცირე, ისე დიდი რაოდენობით. როცა მანქანები სრული დატვირთვით მუშაობენ, ზევიდან ჩამოშვებულ წყალის სხურება კოკისპირული წვიმის შთაბეჭდილებას სტოვებს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველი მელიორაციური სადგური აღჭურვილია ასეთი საწვიმარი მანქანებით. თვითეულ მანქანას შეუძლია მორწყას დღეში 50 დესეტინა მიწის მოედანი. საბჭოთა კავშირის სამეცნიერო-მელიორაციულმა ინსტიტუტმა ეს მანქანები გამოიწერა ცდების მოსახდენად.

თუ საწვიმარი მანქანები საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების სასოფლო მეურნეობისათვის შესაფერისი გამოდგა, გამოწერილი იქნება მანქანების მეტი რიცხვი და შემდეგში თვით საბჭოთა კავშირის ქარხნებში დაიწყება მისი დამზადება, რაც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. გამოწერილი მანქანებიდან ერთი საწვიმარი მანქანა მიღებული იქნება თბილისში ამ უახლოეს თვეებში.

სას.-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

1-ლ იანვრამდე აკრეფილია 899.342 მანეთი

მიმდინარე წლის პირველ იანვარს გათავდა ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის შეტანის მეორე ვადა; ამ დროისათვის მთელს რესპუბლიკაში ავტონომიურ ოლქებთან ერთად, სახალხო მამულების და საბჭოთა მეურნეობების გამოკლებით, შეტანილი უნდა ყოფილიყო მთელი გადასახადის 65 პროცენტი, ე. ი. 989,500 მანეთი.

1-ლ იანვრამდი შემოვიდა ცალკე მაზრების მიხედვით:

ახალქალაქის მაზრა—40,216 მანეთი, დავალება შესრულებულია 44,6 პროც-ით, ახალციხის მაზრა—32,179 მანეთი—45 პროც., ბორჩალო—94,625 მან.—53,5 პროც., გორი—69,313 მან.—50,1 პროც., დუშეთი—24,048 მან.—51,2 პროც., სიღნაღი—108,102 მან.—60,7 პროც., თელავი—65,482 მანეთი—54,7 პროც., თბილისი—99,966 მან.—42 პროც., სამხრეთ-ოსეთი—17,650 მან.—59 პროც., ზუგდიდი—21,060 მან.—42,4 პროც., ქუთაისი—41,743 მან.—42,9 პროც., ლეჩხუმი—9,124 მან.—35,6 პროც., ოზურგეთი—16,500 მან.—47,9 პროც., რაჭა—12,458 მან.—67,6 პროც., სენაკი—41,060 მან.—76,2 პროც., შორაპანი—26,000 მან.—85,6 პროც., აჭარისტანი—9,965 მან.—83,9 პროც. და აფხაზეთი—89,451 მანეთი—70,1 პროც.; სულ მთელ საქართველოში 1-ლ იანვრამდე ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადი აკრეფილია—819,342 მანეთის რაოდენობით.

ამრიგათ დავალება შესრულებულია 54 პროცენტით, გადასახადის დანარჩენი ნაწილი შეტანილი უნდა იქნეს პირველ მარტამდი, როდესაც თავდება გადასახადის გასტუმრების უკანასკნელი ვადა.

სამელიორაციო მშენებლობა

მელიორაცია სამხრეთ-ოსეთში

სამხრეთ-ოსეთის მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატმა შეადგინა სამხრეთ-ოსეთის სამელიორაციო მშენებლობის გეგმა. გეგმაში შედის წუნარის მოსარწყავი არხის გაყვანა, ქეხვის სარწყავი არხის აღდგენა და გაფართოება მდ. ლიახვის ნაპირად მდებარე გორაკებიდან მიწის ზვავების შესაჩერებელი ჯებირების აგება და მდ. ლიახვის ნაპირების გამაგრება ქ. ცხინვალსა და დაბა ჯავას შუა. ყველა ამ სამუშაოთა შესრულებისათვის მიწადმოქმედების სახკომატის გამოანგარიშებით საჭიროა 384.643 მანეთი.

პროექტის მიხედვით წუნარის სარწყავმა არხმა, რომელიც სოფელ ქეხვთან იწყება, უნდა მორწყას მთელი წყება სოფლებისა, რომელნიც სოფელ ბრეთის და სოფელ დირბის მხრისაკენ მდებარეობენ. იმ მოედნის საერთო სივრცე, რომელიც წუნარის არხმა უნდა მორწყოს, უდრის 10 ათასს დესეტინას. ამ არხის გაყვანა ერთი ორად გაადიდებს რაიონში მდებარე სოფლების მოსავლიანობას. გლეხობა ყოველ წელიწადს ითხოვს მთავრობიდან ამ არხის გაყვანას.

ქეხვის არხი იწყება სოფელ ქეხვში და გრძელდება 15 ვერსის მანძილზე სოფელ ქვემო ხვითამდე. ამ არხის საშუალებით ირწყვება სოფლები, რომლის მოსახლეობა მებაღეობა-მეხილეობას მისდევს. პროექტით განზრახულია ქეხვის არხის გაფართოება, რასაც რაიონისთვის დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს, ხოლო გაფართოებისთვის საჭირო თანხები კი უმნიშვნელოა.

დიდ საკითხია მდ. ლიახვის ნაპირად მდებარე გორაკებიდან ჩამოშვებული მიწის ზვავების შეჩერება. აგრეთვე დიდ ზარალს აძლევს სოფლებს მდ. ლიახვი, რომელიც გაზაფხულზე გადმოდის რა ნაპირებიდან, დაყვებულ სოფელ ზემო და ქვემო ხვცედან, —22 ვერსის მანძილზე ცხინვალიდან მიაქვს მიწის ახალ-ახალი მოედნები. ამ რამოდენიმე წლის წინად სუხტას რაიონში ყვავოდენ მშვენიერი ბაღები. ამჟამად ეს ბაღები სრულიად წალეკილია და განადგურებულია მდინარე ლიახვის მიერ. ლიახვის ნაპირების გამაგრება ერთი გადაუდებელი ამოცანა არის სამხრეთ-ოსეთის მოსახლეობისათვის.

გლეხკომების მუშაობა

სიღნაღის მაზრაში

საქ. გლეხკომების ცენტ. კომიტეტმა მოახდინა აღმოსავლეთ საქართველოს გლეხკომების გამოკვლევა. პირველ რიგში გამოკვლეულ იქნა სიღნაღის და თელავის მაზრის გლეხთა კომიტეტების მუშაობა.

სიღნაღის მაზრაში გლეხკომების მუშაობა საერთოთ დამაკმაყოფილებელია. მაზრაში არიან ისეთი გლეხკომები, რომლებიც შეიძლება ჩაითვალონ სანიმუშოთ მთელ რესპუბლიკაში, მაგალითად, გურჯაანის, ბაკურციხის, ველისციხის და ლაგოდეხის გლეხკომები.

გურჯაანის გლეხკომის წლიური შემოსავალი უდრის 9.351 მანეთს, გასავალი კი 8.409 მანეთს. გლეხკომს ყავს ცოცხალი ინვენტარი: კამეჩები, ძროხები, ცხენები და სხვა და აქვს აგრეთვე უძრავი ქონებაც. გლეხკომის ინიციატივით ადგილობრივ გახსნილია საფეიქრო და ჭრა-კერვის სახელოსნო. აქვს აგრეთვე ღვინის საწყობი (90 ვედრო ღვინით) და 1 დესეტინა ვენახი სოფ. ვეჯინში. გლეხკომი გაზეთებს უწერს სოფლის ქოხ სამკითხველოებს, დახმარებას აძლევს ღარიბ მოწაფეებს და გახსნილი აქვს პანსიონი ღარიბ გლეხთა შვილებისათვის. ერთი წლის განავლობაში დახმარების სახით გაუციათ ღარიბებისათვის 1068 მ. 24 კ.

ბაკურციხის გლეხკომს გახსნილი აქვს ფურნე, საზონდრო სახელოსნო და ამუშავებს 5 წისქვილს. საზონდრო სახელოსნოსათვის გლეხკომს დაქირავებული ყავს ხელოსნები.

კულტურული მიზნებისათვის გლეხკომს ერთი წლის განმავლობაში დაუხარჯავს 495 მანეთი. ხორბლით დახმარება აღმოუჩენია ღარიბეს გლეხთათვის ერთი წლის განმავლობაში (1924 წ. დეკემბრიდან 25 წლის დეკემბრამდე) 52 ნახ. ფ. რაოდენობით.

ლაგოდეხის გლეხკომის მუშაობა მხოლოთ უკანასკნელ ხანებში გამოცხოველდა. მისი წლიური შემოსავალი (1924 წ. დეკემბ. 1925 სექტემბრ.) უდრის 16.018 მანეთს. გასავალი 15.983 მ. 70 კ.

გლეხკომმა შეიძინა სალეწი მანქანა და ეხლა განზრახვა აქვს ააგოს ლაგოდეხში ელექტრო სადგური.

ველისციხის გლეხკომს გახსნილი აქვს საკასრე ქარხანა, სადაც სოფლის მეურნეთათვის ამზადებენ ღვინის ჭურჭლებს (ბოჩკებს), გახსნილი აქვს აგრეთვე წითელი სასადილო, რომელიც იჯარითაა გაცემული. უწევს დახმარებას ქვრივ ობლებს და სხვ.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

გუთნები

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ გერმანიიდან მიიღო „რუდოლფ საკ“-ის ფირმის გუთნები 25 ვაგონის რაოდენობით.

ეს გუთნები განაწილებული იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის; ამ ჟამათ უკვე ხდება მათი განაწილება.

170 ცალი გაიგზავნება სოხუმში აფხაზეთის რესპუბლიკისათვის.

850 ცალი მიეცემა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკს გლეხებისათვის მისაწოდებლად საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით და 70 ცალს მიიღებს სომხეთის კოოპერატიული კავშირი „აიგეუხკოოპი“.

ტრაქტორები

ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ ამერიკიდან ბათომში მიიღო ფორძონის სისტემის 150 ტრაქტორი, რომლებიც განაწილებული იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის; საქართველო მიიღებს 36, სომხეთი—30 და აზერბეიჯანი—84.

ფორძონის სისტემის ტრაქტორებთან ერთად მიღებულია აგრეთვე „კეის“-ის, „ინტერნაციონალის“ და „კრეტრაკ“-ის სისტემის ტრაქტორები, რომლებიც მიეცემა ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკებს.

1905 წ. რევოლიუციის 20 წლის თავზე

ვის წინააღმდეგ და რატომ აჯანყდა მჭადიჯვარის გლეხობა

(წერილი დუშეთის მაზრიდან)

სოფელ მჭადიჯვარმა თავისი წვლილი შეიტანა 1905 წ. რევოლიუციურ მოძრაობაში. იმ დროს ამ სოფელში ბატონობდა გოგა ბაგრატიონ მუხრანსკი. მთელი სოფლის გლეხობა იმყოფებოდა მის ბრჭყალებში. მჭადიჯვრის გლეხობის უმრავლესობას არ ჰქონდა საკუთარი სახნავი, ვენახები. ნაწილი გლეხებისა იმყოფებოდენ ყმებათ და ნაწილიც ხიზნებათ. ყმებს კიდევ ჰქონდათ ცოტაოდენი ნადელები.

მოსავლის მეოთხედი ბატონის იყო. გარდა ამისა ბატონი საქონელსაც არ უშვებდა მინდვრებში საძოვარზე. თუ ვისმეს შეუვიდოდა ბატონის მინდორში საქონელი, ვაი მისი ბრალი.

ხიზნები უფრო ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდენ, ისინი რომ ამუშავებდენ მიწებს მოსავლიდგან ნახევარი მიჰქონდა ბატონს და ზედმეტ ბეგარაზედაც გაჰყავდა თავის სამუშაოზე.

გოგა მუხრანსკი წინათვე გრძნობდა, რომ მჭადიჯვრის გლეხობის აჯანყება მას არ ასცდებოდა და ის ადრევე შეუდგა სამზადისს. გამოიწვია თბილისიდან ერთი ასეული ყაზახი და ერთი ასეულიც ქვეითი ჯარი.

მაგრამ გლეხებს სრულებითაც არ აშინებდათ ბატონის გამოწვეული შეარაღებული ძალა და გალომებული ემზადებოდენ მათ წინააღმდეგ ბრძოლისათვის.

რა მიზეზით მოხდა აჯანყება? 1905 წელს როდესაც ყანები გლეხებმა დამკეს და ძნებათ დადგეს, ელოდენ, თუ სხვა სოფლებში როგორ მოხდებოდა ღალის გადახდა. ამიტომ ძნების კალოებზე გატანას აგვიანებდენ. ბატონს არ ესიამოვნა გლეხების ასეთი ქცევა. ერთ კვირა დღეს დაიბარა თავის ეზოში მთელი სოფლის გლეხობა და მუქარით გამოეცხადა მათ, რომ მეოთხედი აუცილებლივ მოეტანათ თავიანთ ურმებით და დაედგათ ბატონის ეზოში, თორემ საქმე უსისხლოთ არ გადარჩებაო.

ასეთმა მუქარამ გლეხობა ააღელვა. მათ უარი განუცხადეს. გაცხარდა გოგა მუხრანკი და წინადადება მისცა ყაზახთა ოფიცრებს გამოეყვანათ ჯარი და იძულებული ძალით შეებმეინათ ურმები გლეხებისათვის მეოთხედის მისატანათ.

ყაზახთა ოფიცრები ასეც მოიქცენ. მაგრამ ხალხი სახლებში არ დახვდა. ყაზახები იძულებულნი გახდენ თვითონ შეებათ ურმები და თითონვე მოეტანათ მეოთხედი. დიდი წვალებით იმ დღეს ძლივს მოზიდეს ას ათეულამდის ძნები, რადგანაც ხარკამეჩებს და ქართულ ურმებს ვერ ხმარობდენ. მეორე დღეს, ამისათვის შეაჩერეს ყაზახებმა ძნის ზიდვა.

ამ დროს გლეხობამ თავი მოიყარა მიყრუებულ ადგილას მჭადიჯვრიდგან ერთი ვერსის მანძილზე, სახელდობრ ახალშენის ვენახებში და შეუდგენ მოწინავე ამხანაგების ამორჩევას, რომელნიც უხელმძღვანელებდენ ბრძოლის დროს.

ბევრი მსჯელობის შემდეგ ამოირჩიეს მოწინავე ამხანაგები: 1. ლექსო მახარაშვილი, 2. შიო ქარჩაიძე, 3. ბაგრატ ბესუაშვილი, 4. გიგო დინუაშვილი და 5. გრიგოლ მელიშვილი.

მათ იკისრეს ხელმძღვანელობა, მაგრამ ხალხს განუცხადეს, რომ მარტო მჭადიჯვარი ვერას გახდებოდა. შეუდგენ მჭადიჯვართან მდებარე ახლო სოფლებში კაცების გაგზავნას, რომ კომლზე კაცი გამოსულიყო და მონაწილეობა მიეღოთ ბრძოლაში.

გათენდა დილა და იწყეს ყველა სოფლებიდან წითელ დროშით და სიმღერათ დენა. „გაუმარჯოს ჩვენს დღევანდელს ბრძოლა“-ს ძახილით მისალმენ ერთმანეთს, დილიდგან დაწყებული შუადღემდის თითქმის უწყვეტლივ მოდიოდა ხალხი და უერთდებოდა მებრძოლ რიგებს. მთელი მჭადიჯვრის ქუჩები გაივსო ხალხით. თითქმის სამმა ათასმა კაცმა მოიყარა თავი.

მონაწილეობა მიიღეს შემდეგ სოფლებმა 1. წილკანმა, 2. ძალისმა, 3. ციხედავ, 4. მღლის წყარომ, 5. შუახევმა, 6. ილტოზა, 7. კოდის წყარომ, 8. ქსოვრისმა, 9. ლამის ყანამ, 10. თეზმა, 11. ოკამმა 12. ოძისმა, 13. ჭალურტმა, 14. ებნისმა, 15. მთელმა გრემისხევის სოფლებმა და ბაზალეთის ნაწილმა. მამაკაცებთან ერთად ბრძოლაში მონაწილეობას იღებდენ მჭადიჯვრის მცხოვრები ქალებიც.

როდესაც ნახა ბატონ გოგამ მრავალი რიცხოვანი აღელვებული ხალხი, გამოგზავნა ბოქაული ხალხში რათა გლეხები მორიგებით მოუტყუებინა. ბოქაული გამოვიდა ქუჩაში და უთხრა გლეხებს: „ხალხნო, რომლებიც გარეშე სოფლიდგან ხართ, გთხოვთ წახვიდეთ თქვენს სახლებში, მხოლოდ მჭადიჯვრის მცხოვრებლები დარჩით აქ და თუ რაიმე თხოვნა გინდათ, ამოირჩიეთ სამი კაცი და შევიდეთ ეზოში კნიაზთან მოსალაპარაკებლად, თორემ დიდი უბედურება დატრიალდება, ხომ ხედავთ ყაზახები როგორ მზათ დგანან, ერთი ბრძანების მეტი მათ არ დასჭირდებათო.

კაცების ამორჩევაზე ხალხი დათანხმდა, მაგრამ ყრილობის დაშლაზედ უარი გამოუცხადეს, ბატონ ბოქაულს იმედი გაუცრუვდა.

კნიაზი გოგა მარტო ყაზახთა ასეულს და ჯარის კაცების ნაწილს არ დაყაბულდა, შეატყობინა მაზრას მიშველეო და სამი საათის განმავლობაში გაჩნდა მჭადიჯვარში დუშეთის პოლიცია. ამ დროს დუშეთის ყაზარმებში იდგა მერვე კავკასიის მსროლელთა პოლკი. იმ ჯარის უფროსსაც მისცეს ბრძანება, რათა ერთი ასეული მოეშველებინა.

კნიაზთან მოსალაპარაკებლად ამოირჩიეს 1. შიო ქარჩაიძე. 2. ლექსო მახარაშვილი და 3. გიგო დინუაშვილი. ხალხის პირველი მოთხოვნილება იყო, რომ უკანვე დაუბრუნებინათ ის ძნები, რომელიც ყაზახებმა მიზიდეს ძალით, თანვე დაავალეს ამორჩეულ კაცებს, რომ მჭადიჯვარი გაენთავისუფლებინათ ყაზახებისაგან და ჩამოვარდნილიყო მშვიდობიანი ცხოვრება.

ამორჩეული კაცები შევიდენ ეზოში და თითქმის ერთი საათის ლაპარაკის შემდეგ გამოვიდენ ხალხში და უთხრეს: ხალხნო, ბევრი ვილაპარაკეთ კნიაზსა და ლაპარაკით ვერა გამოვიდარა. დიდ უარზედ დადგა კნიაზი. არ გვაძლევს ძალით წამოღებულ ძნებსა. ასე სთქვეს ყაზახებმა, თავებს დავიხოცავთ და ჩვენს მოზიდულ ძნებს არ დავანებებთ გლეხებსო. ხალხი ძალიან აღელდა და გადასწყვიტეს ან გამოვიტანოთ ძალით ძნები, ან ყველა აქ დავიხოცნოთო.

ნაჩალნიკმა, ხალხის აღელვება რომ დაიწყო, უბრძანა ყაზახთა ასეულს, რომ გაეფანტათ გლეხები. ბრძანება იქნა შესრულებული. გავიდენ ეზოდგან ხმლებ ამოღებული ყაზახები, მაგრამ სამაგიერო პასუხი გასცეს ხალხმა. შეხვდენ მათ ქვებით, კეტებით და ორთითებით. ქალებმაც დაუშინეს ქვები ყაზახებს. ასტყდა ბრძოლა. გლეხმა გრიგოლ მელიშვილმა კეტი სთხლიშა ოფიცერის ცხენს თავში. ცხენი წაიქცა. ოფიცერი გადმოვარდა ცხენიდან. თავი დაარტყა ქვასა, ხმალი ხელიდგან გაუვარდა, კარგახანს უსულოდ ეგდო, ერთმა გლეხმა მისი ხმალი აიღო და თან გაიტაცა. გლეხები გალომებულნი ებრძოდენ ყაზახებს.

ყაზახთა ასეული მთლად გაგიჟდა. არ იცოდენ რა ექნათ და უკანვე ბატონის ეზოში შეცვივდენ. შეიყვანეს თავ გატეხილი ოფიცერიც.

მაგრამ ამითი ბრძოლა არ დამთავრდა. ხლმები ჩააგეს ქარქაშებში და გადმოიღეს ვინტოვკები. ხელახლად შეუტიეს ხალხს, დაიწყეს სროლა. აჯანყებულებს რამდენიმე მოუკლეს და დაუჭრეს. გლეხები იძულებულნი გახდენ დაეხიათ. დაედევნენ ხალხს და, სადაც კი მოასწრებდენ, დაუნდობლად ხოცავდენ. გოგა კნიაზიც არ ჩამორჩა ყაზახებს. იგი ჩასაფრებულიყო თავის სახლის კუთხეში და იქედან ესროდა ხალხს. ერთი ბედნიერება ის იყო ხალხისა, რომ სოფელთან ახლოს მდებარეობდა ვენახები, სადაც თავს აფარებდა ხალხი, თორემ მსხვერპლი იქნებოდა ა

შეიქნა სოფლებში ტირილ-წივილი კვნესა დაჭრილებისა, ყველაფერი მწუხარება ესმოდათ ვენახებში გაფანტულ ხალხსა, მაგრამ ძალა იმედი არსაიდან ჰქონდათ და თავიანთ ბოლმებს ისევ გულში იბრუნებდენ.

ამ ბრძოლაში დაიხოცნენ, რაც მე ვიცი, შემდეგი ამხანაგები: 1. მელიშვილი გრიგოლი, 2. ნავროზაშვილი ევაგრო, 3. მუმლაური ქიტო, 4. ძრიელიშვილი გაბრო, 5. სამაშვილი რაჟდენ. 6. გაგოშვილი ილიკო, 7. ბიკინაშვილი შაქრო. კოდის წყაროდან იყვნენ ეს სამი ამხანაგები: 8. ოკმელი, 9. ლამისყანელი, 10. გრემისხეველი და კიდევ სხვები, დახოცილების გარდა ოცდა ხუთამდის დაიჭრა ყაზახები.

უიარაღო ხალხზე გამარჯვების შემდეგ კნიაზმა მიიწვია ყაზახები და ღვინის ქვევრი აუხადა, ურა'ს ძახილი და სიმღერა გაისმოდა ჯალათების ეზოდგან. სოფლიდგან კი დახოცილთა ოჯახების და დაჭრილების კვნესა-ტირილი მოისმოდა. გარეშე სოფლებიდგან მოვიდენ მკვდრების პატრონები ურმებით. წაასვენეს დიდის მწუხარებითა.

სამი დღის განმავლობაში ამორჩეულ კაცს, შიო ქარჩაიძეს სტაცეს ხელი და ციმბირში გადაასახლეს.

ამ რიგათ დამთავრდა მჭადიჯვრის აჯანყება 1905 წელში. ეხლა განზრახული აქვთ მჭადიჯვრის აღმასკომს და ხალხს სამპარტკომის მდივნის ამხ. აზრუმელაშვილის ხელმძღვანელობით ძეგლი დაუდგათ იმ დახოცილ ამხანაგებს, რომლებმაც 1905 წელში აგვისტოს 5-ში თავი და უმანკო სისხლი შესწირეს მშრომელთა საბოლოო გამარჯვების საქმეს.

იოსებ არუთინოვი.

17 ოქტომბრის მანიფესტის შეხვედრა ციხეში

1905 წ. იანვრის დასაწყისში მე ვიყავი ხელმეორედ დატუსაღებული და ჩაკეტილი ბნელ კარცერში. რამდენიმე საათის შემდეგ შევიტყვე, რომ ჩემს გარდა დაუჭერიათ მე-3-მე ბატალიონის კომიტეტის სამი წევრი და 100-დე თანამგრძნობიც. ჩემთან კარცერში არავის არ უშვებდენ. სხვები კი ერთად იყვნენ დიდ საკანში.

მახსოვს, როდესაც დანიშნეს კავკასიაში ვორონცოვ-დაშკოვი და, როდესაც ის ჩამოვიდა თბილისში, ერთი კვირის შემდეგ დაიწყო შემოვლა ყველა ნაწილების, დაწესებულებების და აგრეთვე ნახულობდა სამხედრო ციხეებსაც. როგორც საპატიო სტუმარს, მას უნდა გაენთავისუფლებინა სამხედრო ტუსაღები. ვორონცოვ-დაშკოვი მოვიდა ჩვენს საკანთანაც, მაგრამ უეცრად დაბრუნდა უკან... მეორე დღეს გაზეთებში ამოვიკითხეთ, რომ „მის ბრწყინვალებას“ სურდა ჩვენც ვენახეთ, მაგრამ გაიგო რა, რომ იქ არის ბევრი პოლიტიკური დამნაშავე, არ ისურვა ჩვენი ნახვა.

შემდეგ მე გადამიყვანეს სამხედრო სატუსაღოს მეორე განყოფილებაში და დამამწყვდიეს ცალკე პატარა საკანში. ჩემ პირდაპირ დიდ საკანში იყვნენ 25-მდე ჯარისკაცი მესანგრე ბატალიონიდან. მათ მუდამ დღე ორი საათით უშვებდენ ეზოში სასეირნოთ, მე კი არა.

ამგვარად მე ვიჯექი განცალკევებულ პატარა ოთახში, სასტიკი იზოლიაციით. მაგრამ, მიუხედავათ ამისა კავშირი მაინც მქონდა გარეთ მყოფ მომუშავე ამხანაგებთან, რომელნიც მაწვდიდენ ზოგჯერ გაზეთებსაც. ამ ამხანაგების საშუალებით გავიგე ქალაქის გამგეობის შენობაში მომხდარ ტრაღედიაზე და ვღებულობდი ცნობებს რევოლიუციონურ მუშაობის გაფართოება-გაღრმავებაზე.

ახლოვდებოდა 17 ოქტომბერი...

ვატყობ ჩვენ ზედამხედველმაც შეიცვალა ფერი, ჩქარ ჩქარა მნახულობს და მაიმედებს, უფრო კარგ სადილს გვაძლევენ და სხვა.

18 ოქტომბერია... საათის 12-ზე გამოვიდნენ ჩემ პირდაპირ მყოფი პოლიტიკური ტუსაღები და მხიარული სახით ჩემსკენ იცქირებიან. მანიშნებენ რაღაცას თვალით, საერთო მხიარულება ეტყობათ. საათის შემდეგ ერთმა მათგანმა ვერ მოითმინა და ხმა მაღლა დამიძახა: „გიხაროდეს, კარგათაა საქმე. რევოლიუციამ გაიმარჯვა და ჩვენ ჩქარა გაგვანთავისუფლებენო“. მე ვიფიქრე ალბათ რუსეთის მუშებმა თუ დაამხეს თვითმპყრობელობის ტახტი მეთქი და აღტაცებაში მოვედი. ეს იყო უდიდესი წუთი...

რამდენიმე ხნის შემდეგ მოგვესმა ხმაურობა, ყვირილი, „გაუმარჯოს“ ძახილი. ხმაურობა მატულობს, გვიახლოვდება, ზრიალი გააქვს არე-მარეს. გვიხარიან, ყველა ეზოშია, მხოლოდ მე ისევ ჩაკეტილში ვარ. მოსთხოვეს უფროსს ჩემი კარიც გაეღო და მათთან ერთად მიმეღო მონაწილეობა საერთო მხიარულებაში... გული მიფეთქავს, მოთმინება მეკარგება... უფრო გარკვევით გვიახლოვდება ხმაურობა. ისმის „ძირს ციხე, გაანთავისუფლეთ ჩვენი ამხანაგები—ჩვენი ძმები“ და სხვა... უფროსი იძულებული გახდა გაეღო ჩემი კარცერის კარი... მეც ეზოში ვარ ამხანაგებთან ერთად. ულოცავთ ერთმანეთს, ვიხედებით ალაყაფის კარებიდან... ვხედავთ ზღვა ხალხი წითელი დროშებით და რევოლიუციონური სიმღერით მოადგა ჩვენ სატუსაღოს. ყვირიან: „მოგვეცით ჩვენი ამხანაგები“-ო.

ჩვენც ავაფრიალეთ წითელი ნაჭერი, ჩვენი ხმაც შეუერთდა მათ ხმას. ხალხი დგას და მოითხოვს ჩვენს განთავისუფლებას. მოდის პროკურორი და აცხადებს, რომ ყველა პოლიტიკურებს ხვალვე გავანთავისუფლებთო. დემონსტრანტები ჩვენი სიტყვით შემდეგ წავიდნენ და ჩვენ კი მეორე დღეს გაგვანთავისუფლეს.

მ. ქვარაცხელია.

პარტიული ცხოვრება

წითელი არმია და ფლოტი პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე

ამხ. ს. ორჯონიკიძის მოხსენება ლენინგრადში

ლენინგრადი, 1 იანვარი. 30 დეკემბერს, საღამოს, ურიცკის სასახლის დიდი დარბაზი (ყოფ. თავრიდის სასახლე) გაჭედილი იყო. ლენინგრადის გარნიზონის და ბალტიის წითელი ფლოტის მომუშავე კომუნისტების კრებაა.

კრებას აღელვება ეტყობა.

ხმა მაღლა ესალმებიან ტრიბუნაზე გამოსულს ამხ. ს. ორჯონიკიძეს, რომელმაც ვრცელი და დასაბუთებული მოხსენება გააკეთა მე-14 პარტყრილობის მსვლელობის შესახებ.

ამხ. ორჯონიკიძის შემდეგ გამოვიდა ამხ. ევდოკიმოვი, რომელიც ცდილობდა დაერწმუნებია კრება იმაში, რომ ლენინგრადის დელეგაცია გამოხატავდა მთელ ორგანიზაციის აზრს (კრებამ ერთხმად უპასუხა: „არა") და რომ ლენინგრადის დელეგაციის ყრილობის გადაწყვეტილებები სავალდებულოთ მიაჩნია (კრებამ ამაზედაც ერთხმად უპასუხა „ეს მხოლოდ სიტყვით").

შემდეგ ამხ. ევდოკიმოვი ცდილობდა განემარტა კრებისათვის, თუ რატომ გამოუშვა თანამოხსენებელი ლენინგრადის დელეგაციამ და რატომ მისცა მან ხმა წინააღმდეგ იმ რეზოლიუციას, რომელიც იწონებს ცენტრალურ კომიტეტის მოქმედებას. მაგრამ ორატორმა ვერავითარი სერიოზული მოსაზრებების მოყვანა ვერ მოახერხა.

კითხვაზე, სცნობს თუ არა ევდოკიმოვი ყრილობის გადაწყვეტილებებს სწორად, უკანასკნელმა უპასუხა: „ყრილობის გადაწყვეტილებანი მე პარტიის ყველა წევრისათვის სავალდებულოდ მიმაჩნია".

საბოლოო სიტყვაში ამხ. ორჯონიკიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ ეს პასუხი ნამდვილად იმის მაჩვენებელია, რომ ამხ. ევდოკიმოვს ყრილობის ხაზი არ მიაჩნია სწორად.

შემდეგ ამხ. ორჯონიკიძემ აღნიშნა, თუ რა საშიშია პატარა უთანხმოებაც კი წითელ ჯარსა და ფლოტში მომუშავე კომუნისტებს შორის, და მოუწოდა კრებას ხელიხელ ჩაკიდებული იმუშაონ მე 14 ყრილობის რეზოლიუციას ნიადაგზე.

კითხულობენ რეზოლიუციას, რომელსაც მქუხარე ტაშით ხვდებიან.

შემოაქვთ მეორე რეზოლიუცია, რომელიც არ იწვევს თანაგრძნობას.

პირველ რეზოლიუციას ხმას აძლევს 2.500 კაცი, მეორეს—32.

იგივე 32 კაცი აძლევს ხმას მეორე რეზოლიუციას.

რეზოლიუცია

ამხ. ორჯონიკიძის მოხსენების გამო მიღებული რეზოლიუცია შეიცავს შემდეგს:

ქ. ლენინგრადის გარნიზონის, უმაღლეს სასწავლებლების და აკადემიების, და აგრეთვე ბალტიის წითელი ფლოტის ნაწილების რ. კ. პ. (ბ) წევრთა საერთო კრებამ, რომელსაც დაესწრო 2.000 კაცზე მეტი, მოისმინა რა მოხსენება მე-14 პარტყრილობის მუშაობის მსვლელობის შესახებ, მთლიანად, სრულიად და ყოველგვარ პირობის გარეშე (целиком, полностью и безоговорочно) უერთდება მას.

ამასთანავე ერთად კრება მთლიანად უერთდება ვიბორგის რაიკომის პლენუმს და ვიბორგის რაიონის პარტაქტივის კრების რეზოლიუციას, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ლენინგრადსკაია პრავდაში" 30 დეკემბერს.

გაუმარჯოს მე-14 პარტყრილობას.

გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას.

გაუმარჯოს პარტიის ბელადს—რ. კ. პ. (ბ) ცეკას.

ამის შემდეგ გამოვიდა ბებელის სახელობის ფაბრიკის მუშათა წარმომადგენელი, რომელმაც გამოაქვეყნა ფაბრიკის პარტკოლექტივის მიერ მიღებული რეზოლიუცია ლენინგრადის დელეგაციის ყრილობაზე მოქმედების წინააღმდეგ.

მხარს უჭერენ პარტყრილობის რეზოლიუციებს

ნიკოლაევი, 11 იანვ. მარტის სახელობის გემების საამშენებლო ქარხნის პარტკოლექტივის კრებაზე, რომელსაც დაესწრო 1300 პარტიული, მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლითაც მხარს უჭერენ მეთოთხმეტე ყრილობის ყველა რეზოლიუციებს და სასტიკათ ჰგმობს ოპოზიციის დეზორგანიზატორულ მოქმედებას.

არტემოვსკი, 11 იანვ. საოლქო კომიტეტის გაფართოებულ პლენუმზე ერთხმად არის მიღებული რეზოლიუცია, რომელიც სავსებით ეთანხმება მეთოთხმეტე ყრილობის გადაწყვეტილებათ.

პოლიტსკოლების ხელმძღვანელები საჭიროებენ პედაგოგიურ-მეთოდიურ ცოდნას

(დისკუსიის წესით)

მეორე რაიონის პოლიტსკოლების ხელმძღვანელებისა და მდივნების თათბირმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მეცადინეობის ერთ-ერთ დამაბრკოლებელ მიზეზად უნდა ჩაითვალოს ჩვენ ხელმძღვანელთა უმრავლესობის პედაგოგიურ-მეთოდიური მოუმზადებლობა.

ეს საკითხი დაკავშირებული იყო მსმენელთა მეცადინეობაზე არდასწრებისა და საქმ-სადმი ცივად მოპყრობის საკითხთან, რაიც მასიურ მოვლენას წარმოადგენს.

რა არის მიზეზი, რომ მსმენელები მეცადინეობას არ ესწრებიან? გაკვეთილებს ცივად და უგულოდ ეკიდებიან? სხვა ობიექტიურ პირობების გარდა, ამის მიზეზებს თვით ხელმძღვანელებმა თავის თავში დაუწყეს ძებნა. „იქნებ ჩვენ ვერ უდგებით მსმენელებს ისე, როგორც ეს საჭიროა? იქნებ ვერ ვაინტერესებთ მეცადინეობის იმ ფორმებითა და შინაარსით, რომლითაც მათ უდგებით?

ასე აყენებდენ კითხვას, თვით ხელმძღვანელები, და სამართლიანად. მართლადაც, მსმენელებში, ინტერესის გაძლიერებას პედაგოგიკის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს კი მთლიანად ხელმძღვანელის საქმეა. მხოლოდ ხელმძღვანელი ამას მაშინ შესძლებს, თუ თვითონ სათანადოთ არის აღჭურვილი პედაგოგიურ-მეთოდიურ ცოდნითა და გამოცდილებით. პოლიტსკოლების ხელმძღვანელების უმრავლესობა კი სათანადო პედაგოგიურ-მეთოდიურ ცოდნა-გამოცდილებას მოკლებული არიან.

ჩვენი ხელმძღვანელები, პედაგოგიურ მოღვაწეობის მიხედვით ახალგაზრდები არიან და რომ მათ პედაგოგიურ გამოცდილებათა სათანადო მოქნილობა არა აქვთ, აქ გასაკვირი არაფერია. ამ გამოცდილების მიღება შეიძლება მათი პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობის რამდენიმე ხნის შემდეგ.

მხოლოდ, რაც შეეხება პედაგოგიკისა და მეთოდიკის თეორიულად ელემენტარულ უცოდინარობას—ეს სამწუხარო მოვლენაა, როგორ შეიძლება პედაგოგობა-ლექტორობას იწყებდე—ისიც მუშათა და გლეხთა აუდიტორიაში და პედაგოგიკისა და მეთოდიკის, საკითხებს თეორიულად, ელემენტარულად მაინც არ იცოდე.

ამავე თათბირზე, ზოგიერთი ამხანაგები აღნიშნავდენ, რომ საჭიროა მოეწყოს საჩვენებელი მეცადინეობა. ეს მდგომარეობს შემდეგში: გამოცდილი მასწავლებელი ამეცადინებს წრეს. ამ მეცადინეობას ესწრებიან პოლიტ-სკოლების ხელმძღვანელები, რომლებიც იღებენ მაგალითს ამ მეცადინეობიდან და შემდეგ ასე ამეცადინებენ თავის სკოლასაც. ასე კითხვის დაყენება და ასეთ ფორმებში მეთოდიკის საკითხების შესწავლა არის „კუსტარობა". ხელმძღვანელებს ვერ მისცემს ის სათანადო პედაგოგიურ-მეთოდიურ ცოდნას, რაიც ასე აუცილებელი საჭიროა თანამედროვე ახალგაზრდა ლექტორ-პროპაგანდისტისათვის.

რატომ არ გამოიღებს ასეთი „საჩვენებელი გაკვეთილების" სისტემა ნაყოფს. პირველი იმიტომ, რომ ყოველი ასეთი „საჩვენებელი გაკვეთილი" გულისხმობს პედაგოგიკისა და მეთოდიკის თეორიულ ცოდნას (რასაც ჩვენი ახალგაზრდა ხელმძღვანელები მოკლებულია) და წარმოადგენს ამ თეორიის პრაქტიკაში გამოყენების მაგალითს.

მეორეც იმიტომ, რომ ეს აფუჩეჩებს პედაგოგიკისა და მეთოდიკის დარგში დაგროვილ გამოცდილებისა და პრაქტიკის შესწავლის საკითხს. ამ გამოცდილებისა და პრაქტიკის შესწავლა აუცილებელია, რაიც ნიშნავს პედაგოგიკისა და მეთოდიკის თეორიის შესწავლას რომელსაც უარყოფენ „საჩვენებელი გაკვეთილების" ავტორები.

მესამეც იმიტომ, რომ ერთ წრეში მოწყობილი „საჩვენებელი გაკვეთილი" არ შეიძლება გამოსაყენებელი იყოს ყველა წრეებში, ამ უკანასკნელთა სხვადასხვა ტიპისა და აუდიტორიის შემადგენლობის გამო. სხვადასხვა ტიპის სკოლებს სხვადასხვა მეთოდი უნდა. ამისათვის ერთ ან ორ წრეში ჩატარებული „საჩვენებელი გაკვეთილი" სხვადასხვა გვარად მიდგომის მეთოდს, ვერ მისცემს ჩვენს ხელმძღვანელებს, თუ ამ უკანასკნელს სათანადო თეორიული ნიადაგი არა აქვს პედაგოგიკისა და მეთოდიკის საკითხებში. „თეორიული მითითებანი და რეცეპტები—ამბობს მინჩენკო—ეს პირველი ნაბიჯი და საყრდენი წერტილია ყოველი მასწავლებლისათვის, მხოლოდ დახელოვნება კი შესაძლებელია მიღწეულ იქნეს, უბრალოდ, რომ ვსთქვათ, საკუთარი ხელებით". (მეთოდიკა გვ. 47).

გამოდივარ რა ზემო აღნიშნულიდან ჩემი წინადადება იქნება:

1. ყველა ტიპის სკოლების ხელმძღვანელებისათვის, რაიონებში, რაიკომებთან წაკითხულ იქნას რამოდენიმე ზოგადი ხასიათის ლექცია პედაგოგიკისა და მეთოდიკის საკითხებზე.

2. ზოგადი ხასიათის ლექციების დამთავრების შემდეგ, მოეწყოს რაიკომებთან სკოლის ტიპის მიხედვით სემინარები სკოლების ხელმძღვანელთაგან პედაგოგიკისა და მეთოდიკის საკითხების შესასწავლად. სემინარებს მეცადინეობა უნდა ატარებდეს სისტემატიურ ხასიათს.

3. რაიკომებთან არსებულ სააგიტაციო-საპროპაგანდო კაბინეტისათვის შეძენილ იქნეს პედაგოგიკისა და მეთოდიკის საკითხებზე, სათანადო რაოდენობის ლიტერატურა, რომლითაც შეეძლებათ სარგებლობა სკოლების ხელმძღვანელთ.

რ. მელაძე.

წერილები ადგილებიდან

პარტმუშაობა კიწიის თემში

(სენაკის მაზრა)

კიწიის თემის კომიტეტი აერთიანებს სამ კომუჯრედს 27 წევრით და 7 კანდიდატით. მას შემდეგ, რაც თემის სისტემაზე გადავედით ჩვენს მაზრაში, კომუჯრედების მუშაობას ეტყობა გამოცოცხლება. კრებები კომუჯრედში იმართება სისტემატიურად, როგორც ღია, ისე დახურული. ღია სხდომები ხდება თვეში ერთხელ, სადაც ესწრებიან უპარტიო გლეხებიც. უპარტიო გლეხები პარტამხანაგებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებენ კამათში. ღია კრებებზე ისმება ისეთი საკითხები, როგორიცაა რევოლიუციონური კანონიერება, რემედასი, ავიაქიმია და სხ. ისეთი საკითხები, რომლის გაშუქებას მოითხოვს აუცილებლათ ჩვენი მშრომელი მასის და განსაკუთრებით სოფლის გლეხობის დღევანდელი ცხოვრება. დამოკიდებულება კომკავშირთან კარგია, დაცულია წარმომადგენლობითი სისტემა პარტიასა და კომკავშირს შორის.

ქალთა შორის მუშაობა ჯერ ჯერობით სუსტია,—სულ ათი დღეა, რაც ჩამოყალიბდა ამ თემში ქალთა ორგანიზაცია. თემის ისეთ კუთხეებში, სადაც არ არსებობს კომუჯრედები, თემის კომიტეტის მდივანი აწყობს სასოფლო კრებებს და მართავს საუბრებს გლეხობისათვის საინტერესო კითხვებზე.

პარტამხანაგები ჩაბმული არიან სხვადასხვა კომისიებში და საბჭოს სექციებში. ამ ნაყოფიერ მუშაობასთან ერთად ჩვენ კომუჯრედს თან ახლავს ერთი ნაკლი, ეს არის პოლიტიკურად მოუმზადებლობა.

პ. შრომიშვილი.

ს. სკრის კომუჯრედი

ზემოხსენებული უჯრედი 1924 წლიდან არსებობს. უჯრედში ირიცხებოდა 2 წევრი და 36 კანდიდატი. ამხანაგები დიდი გულმოდგინებით ეკიდებიან მუშაობას, არავინ კრებებს არ აკლდება. მაგრამ ერთმა გარემოებამ გაუტეხა გული ამხანაგებს. საქმე იმაშია, რომ 36 კანდიდატიდან საკანდიდატო ბარათი მხოლოდ 4 მიიღო, დანარჩენები უბარათოდ დარჩენ.

ჩვენი უჯრედის მდივანია თემის აღმასკომის თავმჯდომარე, რომელიც ვერ ასწორებს სათანადოთ უხელმძღვანელოს უჯრედის მუშაობას.

არის კიდევ ერთი გაუგებრობა ჩვენთან. სკრის და სოფ. ბეთლემის პარტიულები ერთად იკრიბებიან. მაგრამ საქმე იმაშია, რომ სკრაში არიან რკინის გზის მუშები, რომელთაც სურთ უჯრედის კრება მუშაობის გათავების შემდეგ ჩატარდეს; ბეთლემში კი გლეხები არიან, რომლებიც თხოულობენ უჯრედის კრების მოწვევას სად. 5 საათზე. უთანხმოების თავიდან ასაცილებლათ საჭიროა სკრაში და ბეთლემში ცალ-ცალკე უჯრედები დაარსდეს.

უჯრედს გამოცდილი და მომზადებული ხელმძღვანელი უნდა ეყოლოს. ეს გამოაცოცხლებს უჯრედის მუშაობას.

უჯრედის წევრი გლეხი.

აკეთის ა. ლ. კ. კ. უჯრედი (გურია)

ეს უჯრედი 1921 წლიდან არსებობს და დღემდე ის ვერ გაიზარდა, ვერც რიცხვობრივათ და ვერც თვისობრივათ. მაგრამ ამ ბოლო დროს მდგომარეობა შეიცვალა. თუ თემში ამდენ ხანს იყო ერთი უჯრედი 17 წევრით, ეხლა არის ორი უჯრედი 36 წევრს. ამათში 5 ქალია. ამ რამოდენიმე დღის წინ არჩეულ იქნა თემკომი. თემკომმა საქმეების მოწესრიგება არჩევისთანავე დაიწყო. გამოუშვა ყოველთვიური კედლის გაზეთი და ჩამოაყალიბა ყველა საკითხები მთელ რიგ საზოგადოებრივ მნიშვნელობისა არსებობს „წერკუმს"-ის უჯრედი, „რემედას"-ი, ახკორთა წრე და სხვა. ყველანი ნამდვილ ლენინურ ხაზით ატარებენ იმ დავალებებს, რომელიც აუცილებელს წარმოადგენს ა. ლ. კ. კ—სთვის.

უპარტიოებთან დამოკიდებულება დღითი დღე უმჯობესდება. პარტიაც ხელმძღვანელობას გვიწევს.

შ. ჭ.

პროფკავშირებში

აღმშენებელთა კავშირის მე-5 ყრილობა

პირველი სხდომა

10 იანვარს, საღამოს 5 საათზე გაიხსნა სრ. საქართველოს აღმშენებელთა კავშირის მე 5-ყრილობა.

პასუხისმგებელი მდივნის ამხ. ალლაძის მოკლე მისასალმებელი სიტყვის შემდეგ ყრილობამ აირჩია 15 კაცისაგან შემდგარი ყრილობის პრეზიდიუმი და ხუთ-ხუთი კაცისაგან შემდგარი სამდივნო და სამანდატო კომისია.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარეებად არჩეულ იქნენ ერთხმად შემდეგი ამხანაგები: რიკოვი, სტალინი, ორჯონიკიძე, ტომსკი, ტროცკი, ლოზოვსკი, ბოგდანოვი, ყურულაშვილი, მახარაძე და ცხაკაია.

დღის წესრიგში სდგას შემდეგი საკითხები: 1. აღმშენებელთა კავშირის ცენტ. კომიტეტის და საქართველოს კავშირის ცენტ. გამგეობის ანგარიშები, მოხსენებები სარევიზიო კომისიის, საქ. სოც. დაზღვევის სამმართველოს, საქართველოს წყალთა მეურნეობის, შავი ზღვის რკინის გზის და აღმშენებლობის პერსპექტივები საქართველოში, დაბოლოს არჩევნები ცენტ. გამგეობისა, სარევიზიო კომისიისა და საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების.

კავშირის ცენტ. კომიტეტის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ცენტ. კომიტეტის წარმომადგენელმა ა. ხ. სავინმა.

კავშირის ამოცანები

მომხსენებელი შეეხო რა აღმშენებელთა კავშირის განსაკუთრებულ ზრდას, სთქვა, რომ დღეს კავშირის წინაშე სდგას სამი მთავარი ამოცანა:

1. კავშირის ძირითადი უჯრედების მოწყობა ისე, რომ მათ შესძლონ მრავალრიცხოვანი წევრთა მასის კარგი ხელმძღვანელობა, 2. მუშების ყოფაცხოვრების გაუმჯობესება. აქ კავშირს ბევრი აქვს გასაკეთებელი და 3. უნდა მოისპოს წერა-კითხვის უცოდინარობა აღმშენებელთა კავშირში.

კავშირის წევრთა რაოდენობა.

მთელ საბჭოთა კავშირში აღმშენებელთა კავშირს 1925 წ. 1 ოქტომბრისათვის ყოლია გაერთიანებული 535.256 კაცი.

ამათ რიცხვში 20 839 ქალია. აღსანიშნავია, რომ 72.447 აღმშენებელი მუშა ჯერ კიდევ კავშირის გარეშე ყოფილა. ამ მხრივ კავშირმა კიდევ ბევრი მუშაობა უნდა აწარმოოს.

უმუშევრობა.

მთელ კავშირში აღმშენებელი უმუშევართა რიცხვი 61.782 აღწევს. აღსანიშნავია ის, რომ ამ რიცხვში დიდი უმრავლესობა არა კვალიფიკაციური მუშებია.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო ძირითადი უჯრედების მუშაობას და აღნიშნა ის მხარეები, რომელსაც მათ მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. მასთან მოიყვანა მან ცნობები საკავშირო ფულის გაფლანგვის შესახებ.

1924 წელში გაფლანგულა 78.126 მან. 1925 წლის განმავლობაში კი მხოლოდ 30.148 მან. როგორც ვხედავთ, გაფლანგვას ნახევარჯერ უკლია.

სატარიფო საეკონომიო მუშაობა.

აქაც ცენტ. კომიტეტს ჰქონდა მიღწევები შრომის ხელფასი 1 [illegible] ხედში გადიდებული იყო 18 პროცენტით, ხოლო მეორეში კი—12—15 პროც.

კულტმუშაობისა და სტუდენტთა შორის მუშაობის შემდეგ ამხ. სავინმა აღნიშნა ის საერთაშორისო მდგომარეობა, რომელშიაც დღეს იმყოფება აღმშენებელთა კავშირი. ეს მდგომარეობა კავშირის სასარგებლოდაა. მეზობლები დარწმუნდენ, რომ აღმშენებელთა კავშირი გამაგრდა და გაიზარდა. კავშირი მომავალშიაც შესძლებს სწორად გაუძღვეს აღმშენებელ მუშებს და გაასრულოს ის ამოცანები, რომელიც მის წინაშე სდგას.

მისალმების მოსმენის შემდეგ ყრილობის პირველი სხდომა დაიხურა.

პროფმუშაობის ქრონიკა

პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

— **ხელოსნებთან მომუშავე შეგირდების დაზღვევა.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო დაზღვეულ იქნენ ხელოსნებთან მომუშავე შეგირდები. მათზე უნდა გატარდეს შეღავათიანი დაზღვევა. დასაზღვევ ანარიცხების აღებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ნატურალური სამუშაოს ხელფასიც.

— **ფაბქარხადგილკომების დეცენტრალიზაცია.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. ალ. ფანცხავას მოხსენება გაერთიანებულ ფაბქარხადგილკომების დეცენტრალიზაციის საკითხი და მან საჭიროდ სცნო მოახდინოს გაერთიანებულ ფაბქარხადგილკომების დეცენტრალიზაცია.

— **მხატვრების კავშირის წევრებად ჩარიცხვის შესახებ.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა მოხსენება მხატვრების კავშირის წევრებად ჩარიცხვის შესახებ—და საჭიროდ სცნო სახლში მომუშავე მხატვრების კავშირებში ჩარიცხვა იმ შემთხვევაში, თუ კი მათი სამუშაო ხელფასის განსაზღვრა შესაძლებელი იქნება.

— **მუშათა ბინების გამოსაკვლევად.** მუშათა ბინების გამოკვლევა უკვე დამთავრდა. დაგროვილია დასამუშავებელი მასალა, რისთვისაც საჭიროა 1.108 მან. 82 კ. ამ საქმის შესრულება პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა ჩასთვალა საზოგადოებრივ სამუშაოდ და სთხოვა შრომის სახალხო კომისარიატს საზოგადოებრივ სამუშაოს თანხიდან გაიღოს 1.108 მან. 82 კ.

— **სამტრედიის რკ. გზის საუბნო კომიტეტის მოხსენება.** პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მოისმინა სამტრედიის რკ. გზ. საუბნო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. ჩაჩუას მოხსენება მუშაობის შესახებ. ამ უკანასკნელ ხანში მუშაობა პრეზიდიუმმა დამაკმაყოფილებლად ჩასთვალა. შემჩნეულია ზოგიერთი ნაკლულევანებანი, რის გამოსასწორებლად მიეცა შესაფერისი წინადადება საუბნო კომიტეტს.

რკინის-გზის პროფკავშირში

— **ბათომის უბნის სატარიფო-ეკონ. განყოფილების სამუშაო გეგმა.** ბათომის საუბნო კავშირის სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას გამომუშავებული აქვს: დეკემბრის, იანვრის და თებერვლის სამუშაო გეგმა. ამ გეგმის თანახმად, მან უნდა გააკეთოს შემდეგი:

საწარმოო კომისიების შესახებ

უნდა მოეწყოს საწარმოო კომისიები იმ ადგილკომებში, სადაც ასეთები არ არსებობენ. გადათვალიერებული უნდა იქნეს ორგანიზაციული მხარე ამ კომისიების და მიღებულ უნდა იქნეს ზომები მათში აქტიურად მასის ჩასაბმელად. საწარმოო კომისიებს და თათბირებს იდეური ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ სატარიფო-ეკონომიურმა განყოფილებებმა. ჩატარებული უნდა იქნეს ფართო კამპანია საწარმოო კომისიების და თათბირების საშუალებით, მუშებისა და მათი ხელფასის აღსარიცხავად. საწარმოო კომისიებთან უნდა მოეწყოს გამომგონთა სექციის ბიუროები და მათთან უნდა იქნეს მიმაგრებული ყველა მათი წევრები. უნდა მოეწყოს გამორკვევა საწარ. კომისიების თათბირების შედეგებისა და მიღწევების, როგორც პროცენტულად, ისე მანეთის ღირებულების მიხედვით.

შრომის დაცვა

მოწვეულ უნდა იქნეს ფართო თათბირი შრომის დაცვის კომისიებისა, შრომის ზედამხედველის თანდასწრებით, მათი ვალდებულების და შრომის კანონების წესების დეტალურად გაცნობისათვის.

მუშაობის აღრიცხვა

შემოღებულ იქნეს წარმოებებში მუშაობის აღრიცხვა, მათი თავის დროზე შესრულებისა და თვისობრიობის თვალსაზრისით.

ნაჭრობითი ფასების გადასინჯვა

დაჩქარებულ უნდა იქნეს საგზაო-კომიტეტის მიერ შემუშავებული საყუდის ნაჭრობითი მუშაობის ფასების გადასინჯვა, რომელიც დაწესებულია და არსებობს უკანასკნელ დროს სამმართველოსაგან გამოყოფილ კომისიის მიერ.

სამუშაოების შეტანა ტარიფში

აღრიცხულ უნდა იქნეს ის მუშაობა, რომელიც არის შეტანილი ტარიფში.

კვალიფიკაციის აწევა

მუშა-ხელის კვალიფიკაციის ასაწევად ჩატარებულ იქნება ფართო კამპანიები საწარმოო კომისიების სხდომებზე და თათბირებზე.

ზედმეტ საათებში მუშაობასთან ბრძოლა

სერიოზული ყურადღება ექნება მიქცეული ზედმეტ საათების მუშაობას (სადაც ასეთს აქვს ადგილი) და მიღებულ იქნება სასწრაფო ზომები მათ მოსასპობად.

ხელფასის თავის დროზე დარიგებისათვის

ვინაიდან მუშა-მოსამსახურეები თავის დროზე ვერ ღებულობენ კუთვნილ ხელფასს, რითაც ირღვევა კოლექტიური ხელშეკრულება, ამისათვის მოეწყობა ასეთების აღნუსხვა სათანადო ზომების მისაღებად.

საბინაო აღმშენებლობისათვის

აღძრული იქნება საკითხი ქალაქის საბჭოსთან, რათა საუბნო კომიტეტს გადაეცეს იჯარით ადგილი სახლების აშენებისათვის კოოპერატიულ წესით.

კომპენსაცია — სპეცტანისამოსის ნაცვლად

ვინაიდან რამოდენიმე დაწესებულება-წარმოებებში მუშა-მოსამსახურეთა თითქმის 50 პროცენტს მიუღებელი აქვთ სპეცტანისამოსი, ამისათვის მოხდება ასეთების აღნუსხვა და, თუ მათ არ დაურიგდათ ასეთები, მიეცემად მის ნაცვლად კომპენსაცია.

სატარიფო თათბირის მოწვევა

ყველა იმ საკითხების დეტალურად გასაცნობათ, რომლებიც ეხებიან სატარიფო-ეკონომიურ მუშაობას, მოწვეულ იქნება უბნის მასშტაბით სატარიფო თათბირი.

ფრ. ენგელსი
„ნაწყვეტები პოლიტეკონომიის კრიტიკიდან"
ქართულ ენაზე
ფასი 30 კაპ. იყიდება ყველგან.

მუშათა ცხოვრება

მჭედლის სიმღერა

ამ გამურულ სამჭედლოში,
მე იქ ვშრომობ, ვიბრძვი, ოფლს ვღვრი,
სადაც ქურა ღვივის, ქშინავს;
მასზე ვფიქრობ, ნაკლებ მძინავს.
კვერს მარჯვედ ვცემ გრდემლი მბანავს,
ცხელი რკინა იჭედება;
ჭედვისა და შრომის დრო-ჟამს.
ნაპერწკლები გამოკრთება.
ბრძოლა, შრომა, შრომა, ბრძოლა,
ოფლი, მური, მჭვარტლი, მტვერი,
სადაც კვერით მიუთითებ
მედგრადა სცემს უროს მრტყმელი.
ქურა ქშინავს, გრდემლზე კვერით
ვაკაკუნებ, უროც მყვება.
ერთად ვმღერით ქარხნის ჰანგზე,
მშრომელთ ბედი იჭედება.
მე და კვერი, ურო, მრტყმელი,
გრდემლის ირგვლივ ვიკრიბებით.
საბერველი, ქურა, ცხელი,
ერთმანეთსა ვეკუთვნებით.
ერთსულოვნად და უბრალოდ
წინ მივიწევთ, მედგრად ვჭედავთ
მჩაგვრელთათვის გულის საპობ
ბასრ მახვილებს უხვად ვჭედავთ.

მუშა შაქრო ნათლუღელი.

სოცდაზღვევის საკითხებიდან

მუშა-მოსამსახურეებისა და მასწავლებლების უფასო საექიმო სარგებლობის ახალი წესი.

22 დეკემბერს, ამხ. ალ. ფანცხავას თავმჯდომარეობით შემდგარმა საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმის სხდომამ მოისმინა რესპუბ. სოც. დაზღვევის სამმართველოს უფროსის ამხ. პ. გოგიბერიძის მოხსენება.

მან გააცნო პრეზიდიუმს სოციალურ დაზღვევის ხარჯზე მუშა-მოსამსახურეთა და მოსწავლეების უფასო ექიმობის სარგებლობის წესის პროექტი, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია.

მთავარი საკამათო საკითხი იყო მოსწავლეების (სტუდენტების, მოწაფეების) და დაუზღვეველ უმუშევარ კავშირის წევრთა საექიმო დახმარების საკითხი.

კამათში სამმა მიმდინარეობამ იჩინა თავი:

1) რაც შეიძლება მეტი დახმარება მიეცეთ კავშირის მოსწავლე წევრებს და მათ ოჯახის წევრთ;

2) ყველა უმუშევარი კავშირის წევრები აუცილებლად უნდა სარგებლობდენ საექიმო დახმარებით სოციალური დაზღვევის ხარჯზე და

3) უმუშევართა უფლებების გაფართოება უფასო საექიმო დახმარების მხრივ.

კავშირის წევრ მოსწავლე დაზღვეულთა სამმართველოს ხარჯზე უფასო საექიმო სარგებლობის მომხრე თითქმის ყველა პრეზიდიუმის წევრი იყო, ოღონდ ეს წესი არ უნდა გავრცელებულიყო მათ ოჯახის წევრებზე. ხმის მიცემის დროს გავიდა წინადადება, რომ ყველა მოსწავლე სარგებლობდეს საექიმო დახმარებით ისე, როგორც მუშა-მოსამსახურენი. უფასო წამლობით სარგებლობენ აგრეთვე მოსწავლეთა ოჯახის წევრებთაგან მხოლოდ ცოლ-შვილი, მათი დედ-მამა და დები კი არ სარგებლობენ.

რაც შეეხება უმუშევარ კავშირის წევრთა უფლებების გაფართოებას უფასო საექიმო დახმარების მხრივ—პრეზიდიუმი იმ აზრის იყო, რომ ყველა უმუშევარ კავშირის წევრზე გავრცელებულიყო ეს წესი. ზოგიერთმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ამით, შესაძლოა, საექიმო დახმარების საქმე შესუსტდეს. გამოითქვა კიდევ აზრი რომ უმუშევართა დასაზღვევი სტაჟის ხანგრძლივობა უნდა შემცირდეს, თუ დღემდე უმუშევარს სამი წლის სტაჟი უნდა ჰქონოდა, ეს სტაჟი, რაც შეიძლება მინიმუმამდე უნდა შემცირდეს.

ამ საკითხს დაკვირვებით გადაწყვეტა უნდა, რის გამოც პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო განსაკუთრებული კომისია გამოეყო ამ საკითხის შესასწავლად.

კამათის დასასრულს პრეზიდიუმმა მიიღო პროექტი. ამ პროექტით სოციალური დაზღვევის სამმართველოს ხარჯზე უფასო ექიმობის, წამლობის უფლება ეძლევათ:

1) მუშა-მოსამსახურეებს, რომლებიც დაქირავებით მუშაობენ და მათ ოჯახის წევრებს.

2) უმუშევრებს: ა) რომლებიც დახმარებას იღებენ დაზღვევის წესით ბ) უმუშევრებს, რომლებსაც დახმარების მიღების უფლება ჰქონდათ მაგრამ განსაზღვრული ვადის გასვლის გამო დახმარება არ მიეციათ; გ) უმუშევარ კავშირის წევრებს. მეორე პუნქტში აღნიშნულ პირთა ოჯახის წევრებს.

3) შრომის ინვალიდებს და მათი ოჯახის წევრები.

4) კავშირის წევრთ—მოსწავლეებს და მათ ცოლსა და შვილებს.

მუშა-მოსამსახურეთა და-ძმებს, უფლება აქვთ ისარგებლონ უფასო წამლობით 16 წლამდე, თუ სწავლობენ—18 წლამდე. ნაშვილები პირნიც ისე სარგებლობენ, როგორც სხვა ოჯახის წევრებიც.

ოჯახის წევრებად ჩაითვლებიან ისეთი პირები, რომლებიც დაზღვეულის სრულ ხარჯზე იმყოფებიან.

ეს დადგენილება ფართოდ, ვრცელდება მოსწავლეებზე და მომუშავე და უმუშევარ მუშა-მოსამსახურეებზე, რის გამოც შედარებით წინა წლებთან რესპუბლიკის სოციალური დაზღვევის სამმართველოს ხარჯები საგრძნობლად გაიზრდება.

ეს ხარჯები მიმდინარე წელში ნავარაუდებია შვიდ მილიონამდე მთელ რესპუბლიკაში.

კავშირელი.

„აბჯესის" მუშკომი (სენაკის მაზრა)

ახლად არჩეული ადგილკომი ცხრა კაცისაგან შემდგარი, ამხ. პ. ჩარქაზიას თავმჯდომარეობით ენერგიულად მუშაობს.

კავშირის წევრთა რიცხვი აქ 300 აღწევს. მათგან თვიური მომუშავეები დაზღვეული არიან. თვიურად მუდმივ და დღიურები კი დროებით.

ადგილკომთან არსებობენ სხვა და სხვა კომისიები: კულტურული, შემფას.-საკონფლიქტო, შრომის დაცვის და ეკონომიური.

კომისიების მუშაობაში ჩაბმული არიან თვით მუშები. მათი სხდომები კვირაში ერთხელ სისტემატიურად ხდება. მუშებში არსებობენ უჯრედები: „რემედასი", „ავიოქიმი", „წერკუმსი". მუშების შესვლა ამ უჯრედებში ნებაყოფლობითია და ყველა ჩაწერილია ამ უჯრედებში და საწევრო გადასახადებიც სისტემატიურად შემოდის.

არის მუშათა კლუბი და კინო. კინო შეიძინეს თვით მუშებმა **და მათ მიერ არჩეული გამგეობა ეწევა მის ექსპლოატაციას.**

არსებობს აგრეთვე ამბულატორია, რომელიც იქვე უწევს საექიმო დახმარებას მუშებს. არის სამკითხველო, სადაც მოდის ყველა ჟურნალ-გაზეთები. მუშებშიც ბლომად ვრცელდება გაზეთები. მაგ. „ახ. სოფელი" ვრცელდება 60 ცალი, „კომუნისტი" 46 ცალი, „მუშა" 45 ცალი, „სოფ. კომ." 45 ცალი, „ზარ. ვასტოკა" 8 ც., ჟურნ. „პოსტროიკა" 10 ცალი და სხვა.

საზოგადო კრებები იმართება თვეში 2-ჯერ და ყოველ კრებას ესწრება მუშების 100 პროც.

მუშების ხელფასი ასეთია: თვიურები ღებულობენ 144 მ.—120 მ.—250 მ.—150 მ. და ასე თანამდებობის მიხედვით, ხოლო დღიური მუშები კი 1 მ. 20 კ—3 მ. 50 კ. ხელფასი ეძლევათ თავის დროზე.

საერთოდ, ადგილკომის მუშაობა იმ გზით, რომლითაც ის ეხლა მიმდინარეობს მოგვცემს მეტად სასურველ შედეგებს.

მუშკორი უჩა.

მადლობის ღირსია!

ამ რამოდენიმე დღის წინად დაარსდა რკ.-გზის უბ. კავშირში უმუშევართა სექცია. ჩვენ დაშინებული ვიყავით სექციის ყოფ. გამგესგან, რომელმაც უმუშევრებს შეგვაძულა ბირჟაში სიარული. მაგრამ ამ ახალ დაარსებულ უმუშევართა სექციის გამგემ შესძლო საქმის რიგზედ დაყენება და მიუხედავად იმისა, რომ მთელი სექციის საქმეს აწარმოებს ერთი გამგე და ერთი აღმრიცხველი, აქ დაცულია ყოველივე წესრიგი; აღარ ისმის უკმაყოფილო საყვედურები, გინება და ლანძღვა.

უმუშევართა საკითხი, მწვავე საკითხია და ვინც შეეცდება, რომ ის მოაგვაროს და დახმარებას გაუწევს, ის მადლობის ღირსია. ამ მხრივ კი დიდი მადლობა ეკუთვნის რკ.-გზის უმუშევართა სექციის გამგეს.

მუშკორი ვ. სალუქვაძე.

ასეთი ენერგიული მუშაობით მშრომელთა საქმე წინ წავა

შემთხვევით შევედი რკ. გზის უბნის დამზღვევ სალაროში. რაღაც უნდა მეკითხა, მაგრამ, უკაცრავად. ჩემთვის არავის სცალოდა, ყველანი ელვის სისწრაფით მუშაობდენ. აღტაცებაში მოვედი, როდესაც ასეთი ენერგიული მუშაობა ვნახე. ვინ იცის, რამდენი გაჭირვებულთა და დავრდომილთა საქმე აქ კეთდება ამ ენერგიული მუშაობით. ვინ იცის, რამდენი მშიერი ელოდება ლუკმაპურის ფულს: და აი ყველა ზემოდ ჩამოთვლილ საქმეებს, დამზღვევი სალაროს თანამშრომლები ელვის სისწრაფით აკეთებენ.

ბევრჯერ მინახავს, ზოგიერთ დაწესებულებაში, რომ მაგიდა ცარიელი იყო და კალმის წვერი მშრალი, თითქოს მთელი დღე მელნის წვენში არ ჩაეწოთ, კუთხეში კი კერძო მუსაიფი და ბევრ მოსამსახურეებს თვალები მიშტერებული ჰქონდა კედლის საათისაკენ—როდის დაჰკრავს სამი საათიო.

რკ. გზის უბნის დამზღვევ სალაროში კი სულ სხვა ვნახე: რამაც დამაინტერესა გავცნობოდი ძირითად მუშაობას.

ამისათვის მომიხდა გამგესთან ცნობის მიღება.

აი სალაროს მუშაობა, რომელსაც გამოუღია დიდი ნაყოფი ყველა მის გარშემო დაზღვეულ 14.000 ათასი წევრებისა და მათი ოჯახის წევრებისთვისაც.

რა თქმა უნდა, რომ დამზღვევ სალაროს დიდი ვალი ადევს, მას უჭირავს ხელში რამოდენიმე ასეული გაჭირვებულის, ავადმყოფების ბედიღბალი, მაგრამ აღსანიშნავია ის, რომ, დამზღვევ სალაროს დიდი ენერგია გამოუჩენია. დაუწყია შენობების აგება, რომელნიც 26 წ. შემოდგომაზე მზად იქნება რამოდენიმე 100 საწოლით.

გაუცია ზედმეტი დახმარების ფულები.

დიდ ყურადღებას აქცევს დავრდომილთ და მუშაობის დროს დასახიჩრებულ მუშებს; თავის დროზე მსწრაფლ დახმარებას უწევს ყველა სხვადასხვა სახის ავადმყოფებს.

დიდი დახმარება გაუწევია უმუშევართათვის.

განსაკუთრებით სალაროს დიდი ყურადღება მიუქცევია სანატორიების, კურორტების და დასასვენებელი სახლებისთვის.

საგრძნობი პროცენტი მუშა-მოსამსახურეებისა გადაუგზავნია სხვადასხვა სანატორიებში და დასასვენებელ სახლებში და კურორტებზე.

გაუმჯობესებია სალაროში ტექნიკური წარმოება იმ მიზნით, რომ მუშა-მოსამსახურეები არ მომცდარიყვენ წარმოებაში.

უბნის პროფკავშირს დიდი დახმარება გაუწევია სალაროსთვის. სალაროს მიზნად აქვს დასახული, მომავალში უფრო გააორკეცოს მუშაობა და მთელი 100-ვე პროცენტი მუშა-მოსამსახურეების და მათი ოჯახის წევრებისა უზრუნველჰყოს ყოველი დახმარების მხრით.

მუშკორი ვ. სალუქვაძე.

რას ჰგავს ეს?

3 იანვარს, [illegible] ტრამვაიზე მუშაობდა დილით ვაგონი № 107-ზე ვატმანი, ვინმე გელიტაშვილი, რომელიც იცავდა წესიერებას წინა სადგომზე, სადაც თვითონ იდგა, (აქ კანონით უნდა ყოფილიყო 4 ფასიანი ადგილი და ერთიც უფასო) როდესაც პირადათ მე ვაგონზე ავედი, მან სთქვა: ვგონებ [illegible] არ დააყენებს კონდუქტორიო. მეც უპასუხე: „როდესაც კონდუქტორი იტყვის, გადავალ მეთქი", და ისიც გაჩუმდა. ხმა აღარ გამცა. ვატმანი ჯერ კიდევ იდგა და ელოდებოდა „სიგნალს". ამ დროს მოადგა ერთი ახალგაზრდა და ვატმანს უთხრა: „რაღა დგეხარ?!", ვატმანმა მე მომმართა ამ სიტყვებით: „გადადი, უნდა წავიდეო!" მე გადმოველი, მაგრამ ჩემ მაგიერ კი მან ის ახალგაზრდა აიყვანა, და მუშა, რომელიც სამუშაოზე მივეჩქარებოდი უყურადღებოთ დამტოვა.

საჭიროა ამნაირ მამიდაშვილობას ბოლო მოეღოს.

მუშა გალიპოლი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **ზუგდიდის საბავშო სახლი.** ზუგდიდის საბავშო სახლს ადგილობრივ ხელისუფლების მხრივ ნაკლები ყურადღება ექცევა. ის შენობა, სადაც იგი ამჟამად მოთავსებულია მოითხოვს კაპიტალურ რემონტს. სახლს არა აქვს სასადილო, სამეცადინო ოთახი, სამზარეულო და სხ. მრავალი წვრილმანი. სამ პატარა გალიის მსგავს ოთახში მოთავსებულია ოცდაორი ბავში. სახლში მომუშავენი კეთილსინდისიერად და თავდადებულად მუშაობენ, მაგრამ ვერას გახდენ.

ადგილობრივ ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ყოველგვარი ზომები, რომ ამ სახლის მდგომარეობა გააუმჯობესოს.

სამხკორი მნახველი.

— **მადლობის ღირსი არიან ასეთი ლექტორები.** როზა ლიუქსენბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკის ქართ. საღამოს პარტსკოლაში ქართულ საგნებს გვასწავლიან ამხ. ი. სირაძე და რ. მელაძე. მუშა-მოსამსახურეებს ისინი მეტად თავაზიანად და ყურადღებით ეპყრობიან. ხშირია შემთხვევები, როცა მუშა-მსმენელი ვერ ერკვევა გაკვეთილებში. მაშინ ჩვენი ლექტორები ხელმეორედ უხსნის მათ გაკვეთილებს. ამის გამო მსმენელები დიდად მადლობელი არიან მათი.

მსმენელი თ. ანდრონიკაშვილი.

— **ლიტერატურული გასამართლება.** ა. წ. 8 იანვარს, დ. ხარაგოულში, (შორაპნის მაზრა) რკინისგზის მუშათა კლუბში მოწყობილ იქნა ეგნატე ნინოშვილის მოთხრობა „ქრისტინე"-ს გმირების გასამართლება. გასამართლებას დაესწრენ ადგილობრივი მუშები და გლეხები. წმინდა შემოსავალი მოხმარდება ადგილობრივ ცხრა წლედს. ამავე კლუბში 10 იანვარს დაიდგა წარმოდგენა, პიესა ირეთელის „დამარცხებულნი". წარმოდგენა დასდგეს ადგ. თემის მასწავლებლებმა. შემოსავალი მოხმარდება ადგილობრივად წარმოებულ სხვადასხვა კულტურულ საქმეებს.

ად. პ.-მგ. გ. კ—ნიძე.

— **აქ არ უნდა იქნეს ადგილი შრომის კანონების დარღვევას!** ა.-კ. კომუნისტურ უნივერსიტეტის სასადილოში მუშაობდა რამოდენიმე ათეული მუშა-მოსამსახურე უნივერსიტეტის სამეურნეო ნაწილს გადაწყვეტილი აქვს მოახდინოს სასადილოს კაპიტალური რემონტი და ამის გამო ითხოვს მუშა-მოსამსახურეთა მთელ შტატს. არ ვიცით, თუ რაშია საქმე. ამ ზამთარში ჩვენი ქუჩაში გასტუმრება დიდ სასოწარკვეთილებაში გვაგდებს აქაურ მუშებს და რა წყალში ჩავარდეთ, არც კი ვიცით.

ხელს აწერს 17 კაცი.

— **გამოიწერეთ გაზეთები მეტი რაოდენობით.** სამკითხველოები რიცხვობრივ ბევრი გვაქვს, ხოლო წასაკითხი წიგნები და ჟურნალ-გაზეთები სამ-ოთხიოდე. სამკითხველოებში მოდის დიდძალი მკითხველი. სამკითხველოში კი ორიოდე კაცი კითხულობს გაზეთებს, სხვებისთვის, გაზეთები არ არის და ისინი ძალაუნებურად ბრუნდებიან უკან.

უნდა გამოსწორდეს ეს ნაკლი.

მუშკორი ა. გ ნ ძე.

მუშათა ქრონიკა.

პასუხი ამხ. „ოქრო-ვერცხლს".

(იხ. „კომუნისტი" № 1 1456)

გაზეთ „კომუნისტი"-ს № 1/1456 მოთავსებული იყო ცნობა ვინმე „ოქრო-ვერცხლის", სადაც აღნიშნულია, რომ თითქოს სასინჯო სამმართველოს უფროსმა მოქ. ნიშნიანიძემ მოამარაგა შეშა დაწესებულებისათვის, რომლის ნახევარიც თვით მიისაკუთრა და სამმართველო კი უშეშოდ დასტოვა.

ამის გამო საქართველოს ფინსახკომის თანამშრომელთა ადგილკომმა საკონტროლო განყოფილების საშუალებით მოახდინა კვლევა-ძიება და გამოირკვა შემდეგი: 1) სასინჯო სამმართველოს უფროს ა. ნიშნიანიძეს უყიდია ს. მ. უ. ს. ტყის მრეწველობის ტრესტიდან ერთი საჟენი შეშა, რომელიც მოტანით დაჯდა 80 მან. ნახევარი საჟენი დაწესებულებისათვის დაუტოვებია და ნახევარი კი თავის ანგარიშზე მის ბინაზე გაუგზავნია.

საავანსო ანგარიშების გამართლების დროს ამხ. ნიშნიანიძეს ფინსახკომის სამმართველოსთვის წარუდგენია შეშის საფასური ნახევარი საჟენის 40 მან. აგრეთვე საწყობში შეშის დაწყობა, სამმართველოში მე-2-ე სართულზე ამოსატანი და დასახერხი ანგარიშები ეხება მხოლოდ ნახევარ საჟენს.

საქ. ფინსახკომის ადგილკომის პ./მ. ჭიპაშვილი.

ქართველ ებრაელობის კულტურულ საკითხების გარშემო

ა. კ. ს. ფ. ს. რ. მთავრობის თავმჯდომარეს*) მამია ორახელაშვილს

ასლი განათლების სახალხო კომისარს **დ. კანდელაკს**

ამას წინეთ გაზ. „კომუნისტი“-ს საშუალებით გავიგეთ, რომ ებრაელთა ერთ ჯგუფს მიუმართავს მთავრობისათვის და მოუთხოვიათ საქართველოს ებრაელთათვის, ჩვენდა სამწუხაროდ, ებრაულ ენის შემოღება სკოლებში, თვითონ ებრაელთა სკოლების და, სადაც მოსახერხებელია, ცალკე ებრაულ თემების და კოოპერატივების გამოყოფა და სხვა.

ვაცხადებთ, რომ ეს მოთხოვნილება არ არის ქართველ ებრაელთა უმრავლესობის აზრის გამომხატველი-ეს არის წინააღმდეგი საქართველოს ებრაელების ძველთაგან ძველი ისტორიისა და ფაქტებისა; ჩვენ არასოდეს არ გავყოფილვართ ქართველი ერისაგან ენით, პოლიტიკით, ეკონომიკით და სხვა; ჩვენი ჭირი და ლხინი განუყრელია ქართველი ერისაგან ყოველთვის.

მურადღებას ამ ჯგუფის მოთხოვნილებას“.

ხელს აწერენ ქუთაისის ქართველ ებრაელთა რწმუნებულები: გაბრიელ მ. ფიჩხაძე, ისრაელ აბრამის ძე ფიჩხაძე, ელისაბედ არონის ასული მაწონაშვილი, როზა თევდიშვილი და სხვ.

---

*) ჩვენ მივიღეთ ზემოთ მოყვანილი დოკუმენტი, რომელსაც ვაქვეყნებთ ინფორმაციის წესით.

ერთად ვიყავით, ერთად ვრჩებით

(ქართველ ისრაელთათვის ცალკე სკოლის დაარსების შესახებ)

ქართველ ებრაელებისათვის ცალკე შრომის სკოლის გახსნა იქნება დიდი შეცდომა. ასეთი გათიშვა და კულტურული განკერძოება ქართველი ისრაელებისათვის კიდევ დიდის ხნით იქნებოდა უკვე არსებულ კულტურული კარჩაკეტილობისა და პატრიარქალური წყობილების დაკანონება.

ვისა და რათ ესაჭიროება ეს გამოყოფილი შრომის სკოლები?

საქართველოს ებრაელების კულტურული ავტონომიის ავტორები, როგორც მე გადმომცეს, რაბინი ბააზოვი და კომპანია, მოითხოვენ თურმე ასეთ ეროვნულ სკოლების გახსნას, რათა ჩვენმა ბავშვებმა ამ სკოლებში „სხვა“ საგნებთან ერთად შეისწავლონ „თავისი“ ნაციონალური ენა და ისტორიაო.

ძალიან უბრალოთ და მარტივათ დაულაგებიათ მათ ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრა, რასაკვირველია სიონისტების ბაზელის ცნობილ პროგრამასთან შეთანხმებით...

პირველად ყოვლისა: ტერმინი „საქართველოს ებრაელები“ გულისხმობს არა მარტო „ქართველ ებრაელებს“, არამედ საქართველოში ყველგან მცხოვრებ რუსის ებრაელებს, თბილისში ბლომათ მცხოვრებ სპარსელ ებრაელებს, აგრეთვე ყუბელებსაც და სხვებს.

თუ ხსენებული ავტონომიის მუხლების წარმომადგენლებს მხედველობაში ჰყავთ ყველა კუთხის ისრაელები, მაშინ ამ უკანასკნელებსაც შეეძლოთ დაენიშნათ თავისი კაცები კომისიებში თუ სხვაგან, სადაც სკოლებისა და სხვა პოლიტიკურ ეკონომიური საკითხები იქნებოდა მოსაგვარებელი.

ხოლო, თუ მარტო ჩვენ გვგულისხმობენ აღნიშნული ავტონომიის ავტორები, მაშინ ჩვენთვის ახალი ტერმინის გამოგონება აღარ არის საჭირო: ისტორიულად ჩვენ გვეწოდება ქართველი ებრაელებ

აქ ჩვენ არ შევეხებით ავტონომიის პროექტის წვრილ მუხლებს (ცალკე ებრაული კოოპერატივები, ცალკე ბანკები, ებრაული საქალოსნო სასწავლებლები, ებრ. არტელები, კლუბები და სხ.), რომლებიც ჩვენი ხალხის ერთი ნაწილის გარდამავალი მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო ასე დემაგოგიურათ არის შედგენილი.

მთავარი საგანია ცალკე ებრაული შრომის სკოლები; ისრაელურ-ქრისტიანული შრომის სკოლები; საშაბათო და საკვირაო სასწავლებლების გახსნა.

საჭიროა [illegible] ამ ჩვენი ხალხის „კულტურტრეგერებმა“, ამ ჩვენმა „განმანათლებელმა“, ამ „საქართველოს ებრაელების“ მამიდაებმა: რატომ უნდა გაურბოდენ ჩვენი ბავშვები ჩვენი მოძმეების სკოლებს? რა მიშლის მე, ჩემს შვილს, ან ვინმე ისხაკო მაწონაშვილს ვინმე პეტრე მგალობლიშვილთან ერთად, გვერდი-გვერდ ერთსა და იმავე შრომის სკოლაში, საერთო მშობლიურ ენაზე ვისწავლო ყველა საგნები. დიდს, უზომო და უმაგალითო უკულმართობას სჩადიან ჩვენი არა მკითხე ავტონომისტები იმით, რომ ჩვენთვის, ქართველი ებრაელებისათვის, დღეს, —როდესაც „Боже царя храни“-ს ნაცვლად ჩვენს სკოლებში უპროცენტოთ მიღებულ ბავშვებს—ამღერებენ ძმობა, თავისუფლება, ერთობა და თანასწორობის ჰიმნს—ინტერნაციონალს,—როცა ასეთ დროს მოითხოვენ გამოყოფილათ ებრაული შრომის სკოლების გახსნას.

მერე რა მიზანი აქვს ამას.

მხოლოდ ერთი, რომ მოხდეს რაც შეიძლება მეტი კულტურულად და პოლიტიკურად განცალკევება და გათიშვა, რომ ამით გაღრმავდეს გაუგებრობა და გადიდდეს უთანხმოება ერთი ენისა და ერთი კუთხისა და ერთი მთლიანი პოლიტიკური ორგანიზმის მშრომელ მოსახლეობაში...

საჭიროა თუ არა ჩვენთვის ცალკე პოლიტიკური ორგანიზაციების შექმნა? საზოგადოთ და კერძოთ განცალკევებული ებრაელთა შრომის სკოლების გახსნა. საჭიროა თუ არა ამ სკოლებში „თავისი“ (სარწმუნოებრივი) ენის (რომელსაც ქვია „ლაშონ ჰაკოდეშ“—„ენა წმინდა“) და ებრაული (ე. ი. რელიგიური) ისტორიის სწავლება.

დავასახელებ მხოლოდ ერთ ფაქტს (და მსგავსი მაგალითები ძალიან ბევრია ჩვენში).

იყო თურმე შემთხვევები, როდესაც მედროგეების არტელის წევრები, ქართველი ებრაელები, გამორიცხეს არტელიდან, რადგან მათ არ მოისურვეს ემუშავნათ შაბათობით.

და აი ასეთი რელიგიური ფანატიზმის დროს, ლამობენ თურმე „საქართველოს ებრაელთა“ ავტონომისტები გახსნან მთავრობის დახმარებით „არა—საშაბათო“ შრომის სკოლები.

მაგრამ, ასეთი „არა—საშაბათო“ ებრაული შრომის სკოლების გახსნა განა საკითხის სწორი გადაჭრაა? განა ეს იქნება ნამდვილი სოციალისტური მიდგომა ქართველ ებრაელთა მშრომელი მასების კულტურული საქმისადმი?

არა და არა.

ვერც ერთი მეგობარი მშრომელი ხალხისა ასე ვერ გადასწყვეტს საკითხს. ჯერ-ჯერობით სწორია ეს სკოლის საკითხი გამხდარა გარჩევის საგნად ჩვენი სახალხო განათლების კომისარიატისა და ავტონომიის ავტორების შორის. საკითხის საბოლოოდ გადასაჭრელათ და პრაქტიკულ ღონისძიებათა გამოსამუშავებლად დაუნიშნავთ სხვადასხვა კომისიები.

მოვითმენთ და დავინახავთ, თუ ჩვენც, ქართველი ებრაელები, საქართველოს „ეროვნული უმცირესობა“ („მაღალუზე“ უფრო ახირებული ტიპისა), როგორ ავტონომიას მივიღებთ, და ეს პოლიტიკურ-კულტურულ-ეკონომიური გათიშვა ორი იმ თავითვე მჭიდრათ შეკავშირებული მშრომელი ხალხისა იქნება თუ არა ისტორიულად სწორი, ან რეალურად ხელსაყრელი და სასარგებლო რომელიმე მხარისათვის.

ყოველ შემთხვევაში, ჩვენი, როგორც საბჭოთა სამშობლოსი, საქართველოს, ღვიძლი მშრომელი ქართველი ებრაელებისა, გულწრფელი მეგობრების და ერთგული მოქალაქეების ვალია ახლავე განვაცხადოთ საბჭოთა საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის საყურადღებოთ, რომ ჩვენთვის, ქართველი ებრაელებისათვის, საერთო განათლების მხრით, განცალკევებული შრომის სკოლების გახსნა საზარალოა და მიუღებელი.

მიხაკო ხანანაშვილი.

ჭლექის მკურნალობა ოქროთი

(საუბარი ექიმ აბაკელიასთან).

საზღვარგარეთიდან დაბრუნდა ექიმი აბაკელია, რომელიც გაგზავნილი იყო გერმანიაში ჭლექის მკურნალობის ახალი მეთოდების შესასწავლად.

ჩვენს თანამშრომელთან საუბრის დროს ექ. აბაკელიამ ჭლექის ოქროთი მკურნალობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

— უკანასკნელ ხანებში გერმანიაში ჭლექის სხვა მკურნალობასთან ერთად ოქროთი წამლობამ თითქმის პირველი ადგილი დაიკავა. ოქროთი თერაპია (მკურნალობა) არ არის ახალი თერაპია, მაგრამ წინათ არ მზადდებოდა ისეთი პრეპარატები, რომლებიც ორგანიზმში შეშხაპუნებული ზიანს არ მიაყენებდენ ორგანიზმს.

უკანასკნელ წლებში კი მრავალი ცდების შემდეგ აღმოაჩინეს ისეთი პრეპარატები, რომელთა შეშხაპუნება არ ვნებს ადამიანის ორგანიზმს. ასეთია შემდეგი პრეპარატები: „კრიზოლგანი“, „ტრიფალი“, „აუროფოსი“ და „სანოკრიზინი“. ამ ოთხ პრეპარატში პირველი სამი ძლიერ არ ვნებს ორგანიზმის ქსოვილებს, უკანასკნელი კი („სანოკრიზინი“) არც ისე ადვილი ასატანი გამოდგა ორგანიზმისათვის.

„სანოკრიზინი“ აღმოაჩინა კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორმა მეელგაარდმა. სანოკრიზინი წარმოადგენს თეთრ ამორფიულ ფხვნილს, რომელიც კარგათ იხსნება წყალში; მისი ხსნარი (1:100.000) კლავს ჭლექის ჩხირებს 24 საათის განმავლობაში. თვით პრეპარატი იწვევს სიცხის აწევას, თირკმელების გაღიზიანებას და სხვა. ამიტომ წამლობის დაწყება საჭიროა პატარა დოზებით, რომ დავრწმუნდეთ თუ რა რეაქციას იძლევა ორგანიზმი. თუ პირველმა შეშხაპუნებამ სისხლში კარგად ჩაიარა, ავადმყოფს 5—8 დღის შემდეგ „სანოკრიზინს“ აძლევენ გადიდებული დოზით.

თვითონ პროფესორი მეელგაარდი „სანოკრიზინის“ მოქმედებას ასე ხსნის: „სანოკრიზინი“ ორგანიზმში მოქმედობს ჭლექის ჩხირზე, კლავს მას, მაგრამ ავადმყოფის ორგანიზმს კი ზიანს არ აყენებს. ჩხირების სიკვდილის და დაშლის გამო, ადამიანის ორგანიზმი იჟღინთება ჩხირების ტოქსინებით (შხამით), რომელიც იწვევს ადამიანის მოწამვლას, რაც ხასიათდება ტემპერატურის აწევით, გულის რევით, ღებინებით, გულის ქსოვილის სისუსტით და სიკვდილითაც კი თავდება“.

ამიტომ იყო, რომ ამ შხამის წინააღმდეგ პროფ. მეელგაარდმა დაამზადა შრატი, რომელსაც უშხაპუნებენ ადამიანს „სანოკრიზინის“ შეშხაპუნებისთანავე. ამ შრატის ხმარების შემდეგ ჭლექის მკურნალობა სანოკრიზინით უკეთესათ წავიდა, მაგრამ ვინაიდან ზოგიერთ სანატორიუმებში ამ უკანასკნელ თვეებში დაიწყეს მკურნალობა პატარა დოზებით, შრატი საჭირო აღარ შეიქნა.

1925 წლის განმავლობაში გერმანიაში ჭლექიანთა ყველა საავადმყოფოებში და სანატორიუმებში ხდებოდა „სანოკრიზინით“ მკურნალობა. ასევე სწამლობენ ჭლექს საფრანგეთში და ინგლისში.

იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც მე მაქვს მიღებული გერმანიაში და ინგლისურ და ფრანგულ ლიტერატურიდან, „სანოკრიზინით“ მკურნალობას ჯერ-ჯერობით კარგი შედეგები მოაქვს ფილტვების ტუბერკულიოზის შემდეგი ფორმების მკურნალობის დროს: პროდუქტიული ტუბერკულიოზის და დაწყებითი ფორმის ექსუდატიური ტუბერკულიოზისა.

„სანოკრიზინით“ წამლობამ აგრეთვე კარგი შედეგები მისცა ევროპის მეცნიერებს ქირურგიულ და კანის ტუბერკულიოზის მკურნალობის დროს.

დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ „სანოკრიზინი“ ერთბაშად გადატრიალებას არ ახდენს მედიცინაში, ის ყოველ შემთხვევაში გვაახლოვებს ჩვენ ჭლექის მკურნალობის სწორ გზასთან.

ბ—ნი.

მილიციაში

თბილისის მილიციის დღესასწაული

თბილისის მილიციას თავის არსებობის განმავლობაში არ ჰქონია ასეთი ბედნიერი დღე როგორც კვირა, 10 იანვარი.

ამ დღეს თბილისის მილიციამ თავისი თავდადებული მუშაობისთვის ჯილდოთ მიიღო აღმასკომისაგან ბრძოლის წითელი დროშა.

ამდღეს საქართველოს გასაბჭოების დღიდან პირველად გამოშვებულ იქნა 40 მებრძოლი, მამაცი და სავსებით მომზადებული უმცროსი მილიციონერი, გარდა ორი კურსელისა, რომლებმაც წარჩინებისათვის მიიღეს უფროსი მილიციელის სახელწოდება.

საზეიმო გამოშვების დღეს მოხდა მილიციის და სისხლის სამართლის მილიციის წარჩინებულ მუშაკთა დასაჩუქრება საათებით, ბიბლიოთეკით და პოლიტ-წიგნებით.

დღის 12 საათისათვის სტუმრების—მთავრობის წარმომადგენელთა მოლოდინში მილიციის სკოლის ეზოში გამწკრივებული იყვნენ ახლად კურს-დამთავრებული მილიციელები, მილიციის და სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები.

მიუხედავათ თვენახევრის სწავლისა, კურსელები სავსებით მომზადებული არიან.

დღის 1 საათზე 5 ავტომობილით მილიციის სკოლის ეზოში შევიდენ სტუმრები, რომლებსაც მილიციელები შეხვდენ „ვაშას“ ძახილით და ინტერნაციონალით! საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე სხვა ამხანაგების თანხლებით მიესალმა მილიციელებს, შემდეგ ამხ. ფ. მახარაძემ აღმასკომის სახელით ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსს ამხ. ხმალაძეს გადასცა დროშა.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. სტურუამ, ვარძიელმა, გეგეჭკორმა, მათიკაშვილმა, ბუჯიაშვილმა და სხვ.

ახლად კურს-დამთავრებულებმა უჩვენეს სტუმრებს თავიანთი მიღწევები, რის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს სკოლის შენობა და მაძებარ ძაღლების კარვები.

საღამოს გაიმართა ამხანაგური ვახშამი.

ზეიმი გადაღებულ იქნა ეკრანისათვის.

კოოპერაცია

კოოპერაცია ზუგდიდის მაზრაში

ზუგდიდის ერთიანი მომხმარებელი საზოგადოება „ახალი გზა“ არსებობს 1923 წლის სექტემბრიდან. ამ ჟამად კოოპერატივის წევრთა რიცხვი 4000 კაცს აღემატება. კოოპერატივის ფინანსიური მდგომარეობა სუსტია.

შეტანილი საპაიო და საწევრო ასაქმების საერთო ჯამი ამ ჟამად 25 ათას მანეთს აღწევს. გამგეობას მართებს დიდი ენერგია და სიფხიზლე, რომ შეკრეფილ იქნეს ზემოხსენებული თანხები.

თვით ქალაქში მომხმარებელ საზოგადოებას აქვს ერთი მაღაზია და ორი განყოფილება. წევრები მოითხოვენ, რომ გახსნილ იქნეს მესამე განყოფილებაც ქალაქის განაპირა უბანში.

ამასთან ერთად ზუგ. მომხმარებელ საზოგადოებას განყოფილებები აქვს აბასთუმან-ცაიში, ცაიშის-კახათში, კახათში, რიყეში, შამგონაში და ქადუაში. სათემო განყოფილებები კარგათ მუშაობენ. მომხმარებელი ნდობით ეპყრობა კოოპერატივს, რომელიც სცდილობს, რათაც არ უნდა დაეჯდეს, შეიძინოს საქონელი და წესიერად გაანაწილოს მომხმარებელთა შორის.

მომხმარებელი საზოგადოების ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ დროზე და საკმარისი რაოდენობით ვერ აწვდის გლეხებს ნავთს.

ცუდია მდგომარეობა აგრეთვე მანუფაქტურის მიწოდების დარგში. კოოპერატივს საშუალება აქვს დააკმაყოფილოს მოთხოვნილების მხოლოდ 15—20 პროცენტი, დანარჩენი საქონლით კოოპერატივი აკმაყოფილებს წევრთა მოთხოვნილებას 100 პროცენტით.

ზუგდიდის მომხმარებელმა საზოგადოებამ გასულ საოპერაციო წელს თავს იდვა სასოფლო მეურნეობის პროდუქტების შესყიდვა გლეხობისგან. დაამზადა და მომარაგა სულ 6 ათასი ფუთი ნედლი პარკი, და 7 ათასი ფუთი თხილი. ამავე კოოპერატივმა ააგო პარკის სახმობი ფარდული, რომელიც 11 ათასი მანეთი დაუჯდა. სახ. „აბრეშუმს“ მართებს ზუგ. ემოსის 2 ათასი მანეთი, რომლის გაუსტუმრებლობა აბრკოლებს სახ-ის მუშაობას. ამ ჟამად საზოგადოება ამზადებს სიმინდს, რისთვისაც გამოთხოვილია ავანსი ცეკავშირიდგან.

ემოს. საქონელს აწვდის ცეკავშირი და საეჭიკოო სინდიკატი.

ზუგდიდის ემოსის, ბრუნვა უდრის 100 ათას მანეთს.

საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი

1905--26 წლისათვის

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა, ფინსახკომის წარმუნებულის სამმართველოს მიერ წარმოდგენილი, საქართველოს 1925—26 წ. ადგილობრივი ბიუჯეტი, რომლის შემოსავლის ნაწილი უდრის 16.762.027 მან.

ქალ. თბილისის შემოსავალი დამტკიცებულია 7.847.500 მან. რაოდენობით. დამატებითი გასავლის ხარჯთაღრიცხვა მთელ რესპუბლიკაში პირველ ხარისხოვანი საწარმოო საჭიროებისათვის, რომელიც შეტანილი იყო 1925—26 წ. ბიუჯეტში მისი განხილვის შემდეგ და, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საქართველოს ს. ს. რ. ძირითად ბიუჯეტით, დამტკიცებულია 1.402.566 მან. რაოდენობით. ქალ. ბათომს, ფოთს და ჭიათურას უნდა მიეცეს კომპენსაცია, ვინაიდან აღნიშნულ ქალაქებს 1925—26 წ. ბიუჯეტში დააკლდათ საფუთო გადასახადის დაკარგვით 814.000 მანეთი.

ახალციხის მაზრას უნდა მიეცეს სატყეო მრეწველობის ტრესტისათვის გადაცემული ქონების ღირებულება 60.000 მან. მასთან თემის ბიუჯეტის გატარება და გამტკიცება პოლიტიკურ და ეკონომიურ თვალსაზრისით მიზანშეწონილად იქნა ცნობილი, რადგან ეს საშუალებას მისცემს გლეხების ფართო მასებს უშუალოდ ჩაებან სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში და სოფლის კულტურულ-სამეურნეო ცხოვრებაში. რადგან თავიდან აცილებულ იქნეს საერთოდ ბიუჯეტში რაიმე ცვლილების შეტანა, მისი შემუშავების შემდეგ, სახკომსაბჭომ დაადგინა: დაუშვებლად იქნას ცნობილი მაზრა-აღმასკომების მიერ ხარჯების გადიდება, ან დამატებითი ხართაღრიცხვის შედგენა თუ ამისათვის წინასწარ არ იქნება გათვალისწინებული შემოსავლის რეალური წყაროები. ყოველგვარი გადიდება ბიუჯეტით მიღებულ ნორმისა, რომელიც გამოწვეულია ხელფასის მომატებით ან სხვა სახის ხარჯებით, რაც იწვევს მაზრების დავალიანებას, და რომელიც ვერ დაიფარება საქ. სახკომსაბჭოს თანხებიდან—აბსოლიუტურად დაუშვებელია. მთელს პასუხისმგებლობას ამ შემთხვევაში კისრულობს სამაზრო აღმასკომი.

საფინანსო კონტროლის მუშაკთა თათბირი

ამიერ-კავკასიის ფინსახკომში შესდგა ამიერ-კავკასიის საფინანსო კონტროლის მუშაკთა თათბირი. საფინანსო კონტროლის მუშაობისა და მომავალი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ა/კ. ფინსახკომის საფინანსო-საკონტროლო სამმართველოს უფროსმა ამხ. ავაკიანმა, რომელმაც აღნიშნა საფინანსო კონტროლის მნიშვნელოვანი ზრდა გასულ საბიუჯეტო წელში 23—24 საბიუჯეტო წელთან შედარებით. ეს ზრდა აიხსნება, ერთის მხრივ, ობიექტიურ ხასიათის პირობებით—ქვეყნის სამეურნეო სიძლიერის განმტკიცება მტკიცე ვალიუტის და მტკიცე ბიუჯეტის ნიადაგზე, მეორე მხრივ კი კვალიფიციური მუშაკების ძირითადი კადრის შექმნით.

საფინანსო კონტროლის მუშაობა განსაკუთრებით გაცხოველდა მიმდინარე საბიუჯეტო წლის პირველ კვარტალში (წლის მეოთხედი), რაც მთელ რიგ საორგანიზაციო ღონისძიებების შედეგია.

შემდეგ მომხსენებელი შეჩერდა საფინანსო კონტროლის უახლოეს ამოცანებზე, რომლებიც მდგომარეობენ შემდეგში: საფინანსო კონტროლის ფართო პოპულიარიზაცია საფინანსო კონტროლის მუშაობის, უფლების და მოვალეობის მომწესრიგებელ დებულებების და წესების გატარება საკანონმდებლო ორგანოების საშუალებით, უფრო მჭიდრო კავშირის დამყარება მუშათა და გლეხთა ინსპექციასთან, სარევიზიო დასკვნების დაგროვება, რაც საჭიროა ხარჯთ-აღრიცხვების შესასწორებლად და სხვა.

ამხ. ავაკიანის მოხსენების შემდეგ მოსმენილი იქნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საფინანსო-საკონტროლო განყოფილებების წარმომადგენელთა მოხსენებები. მომხსენებლებმა დაახასიათეს საკონტროლო საქმის დაყენება ადგილებზე, შეჩერდნენ ადგილობრივი ფინანსების კონტროლის მოწყობაზე და განხორციელებაზე და აღნიშნეს მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარება აუცილებელია კონტროლის ავტორიტეტის კიდევ უფრო განსამტკიცებლად, უფრო მჭიდრო და ცოცხალი კავშირის დასაჭერად ადგილებთან, კვალიფიციურ მუშაკთა კადრის შესაქმნელად და სხვა.

ყველა მოხსენებების შესახებ მიღებული იქნა რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს საფინანსო-საკონტროლო განყოფილებების მუშაობის შედეგებს და დეფექტებს და ამავე დროს საფინანსო-საკონტროლო მუშაკებს მიუთითებს იმ ღონისძიებებზე, რომელთა გატარება აუცილებელია საფინანსო კონტროლის განსამტკიცებლად.

შიო არაგვისპირელის დაკრძალვა

კვირას, 10 იანვარს, დაკრძალეს მხცოვანი მწერალი შიო არაგვისპირელი.

წინა დღით განსვენებულის ცხედარი გადასვენებულ იქნა ქვაშვეთის ტაძრიდან ხელოვანთა სასახლეში.

აქ რიგ-რიგობით მის კუბოსთან იდგა საპატიო ყარაული, რომელიც ქართველ მწერალთაგან შესდგებოდა.

კვირას დილით გასვენებამდე გადახდილ იქნა სამოქალაქო პანაშვიდი. უკრავდა ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოების სიმებიანი ორკესტრი და სამგლოვიარო ჰიმნებს გალობდა აკადემიური გუნდი ფოცხვერაშვილის ლოტბარობით.

პანაშვიდზე სიტყვები წარმოსთქვეს მხცოვანმა მწერალმა დავით კლდიაშვილმა, ვახტანგ კოტეტიშვილმა, პროლეტარულ მწერალთა კავშირის წარმომადგენელმა და სხ. პანაშვიდს დაესწრო განსვენებული მწერლის პირადი მეგობარი—საქართველოს ცაკის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძე.

ნაშუადღევის პირველი ნახევრის საათზე ცხედარი გამოასვენეს ხელოვნების სასახლიდან. განსვენებული მწერლის პატივსაცემად მოსულ საზოგადოებით გაჭედილი იყო მთელს სიგრძეზე მაჩაბლის ქუჩა (ყოფილი სერგეევის) და სოლოლაკის ქუჩის ერთი ნაწილი.

ცხედრის ქუჩაში გამოსვენებისას ხელოვნების სასახლის აივნიდან სიტყვა წარმოსთქვა მწერალმა არისტო ჭუმბაძემ. მისი სიტყვის შემდეგ პროცესია რუსთაველის პროსპექტით გაემართა დიდუბის სასაფლაოსკენ. კუბოს სამგლოვიარო მარშით მიაცილებდა სამხედრო ორკესტრი. პროცესია—დაახლოებით 5000-კაცამდე,—გაჭიმული იყო კომინტერნის (სასახლის) ქუჩიდან რუსთაველის თეატრამდე.

2 საათზე ცხედარი მისვენებული იქნა დიდუბის პანთეონში. აქ სიტყვები წარმოსთქვეს მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის საბეითლო განყოფილების წარმომადგენელმა, რომელმაც განსვენებული მწერალი დაახასიათა როგორც პრაქტიკული მუშაკი სასოფლო მეურნეობის დარგში. რკინისგზელების სახელით სიტყვა წარმოსთქვეს აროშიძემ და ვ. ყიფიანმა (ლვანკითელმა), აგრეთვე აპ. წულაძემ, შეკირდების სახელით ორმა მოწაფემ—ქალმა და ვაჟმა.

დასასრულ უკანასკნელი გამოსათხოვარი სიტყვა სთქვა თედო სახოკიამ.

წერილები სოფლიდან

გავაუმჯობესოთ ქოხ-სამკითხველოები

ბეჯით გლეხის ოჯახს არასოდეს არა აქვს მოსვენება. მაგრამ ზამთარი წლის სხვა დროსთან შედარებით, უფრო შეღავათიანი და სულდათქმულ მუშაობის თვეებია. ამ ხნის განმავლობაში ყველაზე უფრო შეიძლება სოფლად კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის წარმოება. არასოდეს ისე ნაყოფიერი არაა ეს მუშაობა, როგორც ზამთარში.

ამისათვის საჭიროა, რომ ზამთრის თვეებში, რაც შეიძლება გაძლიერებულ იქნეს სოფლად არსებულ კულტურულ ორგანოების მუშაობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ მხრივ ჩვენ ქოხ-სამკითხველოებს. კრებები, მოხსენებები, წარმოდგენები, მოძრავი კინო-სურათები და სხვა ასეთი—მხოლოდ შემთხვევითი ხასიათის მუშაობათ უნდა ჩაითვალოს.

კულტურის მუდმივ და ძირითად კერას სოფელში ქოხ-სამკითხველოები წარმოადგენენ. აქ გლეხი დღიდან-დღეზე, მთელი თვეების განმავლობაში საკუთარი ინიციატივით ეტანება ჩვენს ყოველდღიურ გამოცემებს და კითხულობს წიგნებს.

რა მდგომარეობაა ჩვენში ქოხ-სამკითხველოების მოგვარების მხრივ. აქ, უნდა ითქვას, ბევრ ნაკლულოვანებებთან გვაქვს საქმე. მთელ რიგ სოფლებიდან ვკითხულობთ გლეხკორების წერილებს, საიდანაც იტყობინებიან, რომ ამა და ამ სოფელში დაიხურა ქოხ-სამკითხველო, რადგან გამგეს ჯამაგირი მოუსპეს.

გარდა ამისა არის სამკითხველოები, რომლის გამგებიც ფორმალურათ ჯამაგირზე ირიცხებიან, ხოლო ხედრ ფულს სამი და ოთხი თვეობითაც ვერ იღებენ. ასეთია მაგალითად ლიხაურის თემის სამკითხველო გურიაში. მეორე მხრივ ქოხ-სამკითხველოების მუშაობა ბევრ შემთხვევაში მოისუსტებს იქაც, სადაც გამგეები არიან. ეს აიხსნება გამგეების მოუმზადებლობით და თავის დანიშნულების არცოდნით. სამკითხველოებს ხშირათ აკლიათ არა თუ წიგნების აუცილებელი რაოდენობა, არამედ ისინი ვერ ღებულობენ ყველა ჩვენ ყოველდღიურ თუ პერიოდულ გამოცემებსაც კი.

ამის შედეგათ ის მოსდევს, რომ ჩვენს დაბა-სოფლებში ხშირათ შეხვდებით დუქნების წინ უსაქმოთ თავშეყრილ გლეხებს, რომლებიც თავისუფალ დროს ბანქოს თამაშობაში, ღვინის სმაში ან უბრალო ლაზღანდარობაში ატარებენ.

ქოხ-სამკითხველოების ქსელის გაფართოება, მათთვის საჭირო ლიტერატურის მიწოდება და გამგეების გადამზადება—აი, სოფლად კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის ერთი მთავარი მნიშვნელოვანი ამოცანათაგანი.

აქ შეიძლება ჩვენ წინ გადაგვეღობოს ნივთიერი ხელმოკლეობა და ეს ასედაც არის. ჩვენი ქოხ-სამკითხველოების დღევანდელი უმწეო მდგომარეობა უმთავრესად სწორეთ ამით აიხსნება. მაგრამ თუ ჩვენ გვინდა განათლებული და საბჭოთა აღმშენებლობის საკითხებში გათვითცნობიერებული სოფელი, უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები, რომ ეს ნაკლი ნაწილობრივათ მაინც გადავლახოთ.

მკითხველი გლეხი.

პროვოკაციას არ დაუშვებთ

(ტობანიერის თ., ქუთ. მ.)

უკვე საკმაოდ ცნობილი აზრია, რომ სარწმუნოებრივ სიბნელესთან ბრძოლა ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გვესმოდეს ეგრეთ წოდებულ უხეშ პროპაგანდის სახით, რომელიც გამოიხატება მორწმუნეთა დაცინვა-გამასხარავებაში ან ადმინისტრატიულ დევნაში.

აქ ყველაზე მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლია იდეურ პროპაგანდას, შთაგონებითი მეთოდს. ამისათვის საჭიროა სოფლად კულტურულ მუშაობის გაფართოება და საბჭოთა აღმშენებლობის განვითარება. ეს უკვე საკმაოთ კარგათ აქვთ შეგნებული სოფლად მომუშავე ამხანაგებს და ძალიან იშვიათია დღეს ისეთი შემთხვევა, როცა ისინი არღვევენ პარტიის ამ სწორ ხაზს.

მაგრამ სამაგიეროთ სოფლებში აქა-იქ მოიძებნებიან ბნელი ძალები, რომლებიც ამ მხრივ წყალს ურევენ და უნდათ, რომ სოფლის მორწმუნე მოსახლეობაში ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება დასთესონ. ისინი არ ერიდებიან სარწმუნოების წინააღმდეგ აშკარა პროვოკაციასაც კი, მათი გამოსვლები ზოგჯერ იმდენად აღმაშფოთებელია, რომ ადგილობრივი ხელისუფლება უთუოდ უნდა ჩაერიოს საქმეში, თუ ის ხელისუფლების ავტორიტეტის და რევოლიუციონურ კანონიერების სადარაჯოზე მტკიცეთ სდგას.

სამწუხარო ისაა, რომ თავის პროვოკაციულ გამოსვლებს ეს ბნელი ელემენტები ხელისუფლების მოქმედებათ ასაღებენ. მაგალითისათვის ავიღებ ორ ფაქტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქუთაისის მაზრის ტობანიერის თემში. ამ თემის სოფელ ქვეიშის ეკლესიაზე მოგროვილი იყო რამოდენიმე მოხუცი გლეხი წირვის მოლოდინში. მორწმუნე გლეხები გალავანში ისხდენ და სავების მოსვლას ელოდენ. საყდარი ღია იყო.

ამ დროს ვიღაც არამზადა ფარულად შეიპარა ეკლესიაში და ეგრეთ წოდებულ ტრაპეზზე ყველაფერი თავდაყირა გადაუტრიალებია. თან ბარათიც დაუტოვებინა ღვდლისა და დიაკვნის მიმართ: „დაანებეთ თავი წირვა-ლოცვას, თორემ დაიცოლხებითო“.

მეორე მაგალითი. პროვოკატორებმა ეს არ იკმარეს ერთ დღეს აღმოჩნდა, რომ ტობანიერის თემის ორი ეკლესია გატეხილია. აქედან გაუტაცნიათ ღვდლის შესამოსი და ვერცხლის ჭურჭლეულობა. წიგნები და სხვა რამეები იგივე ეკლესიაში დაუწვავთ.

აშკარაა, გლეხობის შეგნებულმა ნაწილმა მაშინვე გაიგო ვისი ხელიც ტრიალებს აქ. ყველა ერთხმათ ამბობდა, რომ ეს პროვოკატორებისა და ქურდ-ბაცაცების საქმეა. მაგრამ რაც უნდა იყოს, მორწმუნე გლეხებზე ამ ფაქტებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა.

სოფლად მომუშავე ამხანაგებმა თვით უნდა მიიღონ ზომები ასეთ ბოროტმოქმედთა და პროვოკატორების გამოსააშკარავებლად. ეკლესიებზე ასეთი ავაზაკური თავდასხმა და მორწმუნე გლეხების გრძნობების შელახვა ყოვლად დაუშვებელია. ჩვენ ამას ვერ შევეგუებით.

ადგილებზე მომუშავე ამხანაგები სარწმუნოების საკითხში უნდა ვხელმძღვანელობდეთ ორი მთავარი მოსაზრებით: ერთი მხრივ რაც შეიძლება ფართო იდეური და [illegible] პროპაგანდა სოფლის რელიგიურ ცრუ-რწმუნოებიდან გასათავისუფლებლათ და მეორე მხრივ სასტიკი ბრძოლა ისეთ პროვოკატორების წინააღმდეგ, რომლებიც ზოგჯერ შეუგნებლათ და ზოგჯერ აშკარა ბოროტი განზრახვით სახელს უტეხავენ მშრომელთა ხელისუფლებას მორწმუნე გლეხების თვალში.

ნ. მაქსიმელიძე.

ქრონიკა

აღმასკომში

— **შოფერების გამოცდა.** თბ. აღმასკომმა შეადგინა კომისია შოფერების ცოდნის შესამოწმებლად.

— **საბინაო საკითხების** საბოლოოდ დასამუშავებლად შესდგა კომისია ელბაქიანის, იბაშიძის, კალანდაძის და ფედიაევსკის შემადგენლობით.

— **წყალსადენის გაყვანა** დაევალა კომ. განყოფილებას გამოარკვიოს იმ სახლების რიცხვი, სადაც სანიტარული პირობების დასაცავათ აუცილებელია წყალსადენის გაყვანა.

— **სააფთიაქო სამმართველოს** გადაეცა სეკარის სითხის საქართველოში და სომხეთში გავრცელების მონოპოლიური უფლება.

— **გასული წლის** სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან თბ. მაზრიდან აღმასკომს იანვრისათვის შემოუვიდა 3.894 მან.

დამზღვევ სალაროში

— **დაზღვეულთა საექიმო დახმარების** საქმეზე დამზღვევმა სალარომ 1924—25 წელში დახარჯა 701,885 მანეთი.

— **სალაროს დადგენილებით** უმუშევრებს და პენსიონერებს დახმარების ანგარიშში აღარ მიეცემათ ავანსები.

სატყეო ტრესტში

— **ხეტყის სახერხი ქარხანა.** სატყეო ტრესტი სვანეთში აგებს ხეტყის სახერხ დიდ ქარხანას.

— **ახალციხის ქარხნის** გადასაკეთებლად და გასაუმჯობესებლად სატყეო ტრესტმა გადასდო საჭირო თანხა.

— **ტყეების დასამუშავებლად** სატყეო ტრესტმა საზღვარგარეთიდან გამოიწერა საჭირო იარაღ-მანქანები.

შრომის კომისარიატში

— **შეღავათი წითელარმიელებს.** შრომის კომისარიატის დადგენილებით ყოფ. წითელარმიელები სამუშაოზე მიღების დროს სარგებლობენ პროფკავშირის წევრის უფლებებით.

— **შრომის კოლექტივებში** წევრებათ შეიძლება მიღებულნი იქნენ 18 წლის ჰასაკს აცილებული პირნი, რომლებიც არ სარგებლობენ სხვისი შრომით.

— **სპეცფონდები** სპეციალისტებისთვის, შრ. კომისარიატის დადგენილებით, განსაზღვრულია ნახევარი წლის ვადით.

— **მოზარდთა დაქირავება**, ან საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში მიღება ხდება მხოლოდ შრომის ბირჟის საშუალებით.

სხვადასხვა

— **სოციალურ დაზღვევის** სამმართველო სცემს თავის 1924—25 წლის მუშაობის ანგარიშს.

კრებები და მოხსენებები

— **აგრონომი ქურდიანი** ამ დღეებში სასოფლო-სამეურნეო მუზეუმის შენობაში წაიკითხავს ლექციას: „ბამბის მეურნეობა საქართველოში და მისი მომავალი“.

— **ა/კ. სამედიცინო საზ-ბაში** დღეს, საღამოს 8 ს. ექიმი სემენსკი წაიკითხავს ლექციას: „ლითონის ქარხნებში მომუშავეთა სისხლის გამოკვლევა“.

— **ნორჩ-პიონერთა** თბილისის ბიუროს სხდომა შესდგება დღეს, დილის 10 საათზე.

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** სამშაბათს, 12 იანვარს, საღამოს 6 საათიდან ხელოვნების სასახლეში გაიმართება ლიტერატურული სხდომა, ნაცვლად გასულ შაბათის კრებისა. წაკითხულ იქნება იანვრის ნომერ ჟურნალისათვის ახალი მასალა და დარიგდება დეკემბრის ჟურნალის ახალი ნომრები.

წერილებიდან

ს. ასურეთი (თბ. მ.)

ვაჟების მოყვარული. აქ არსებობდა წითელი სასადილო, რომელიც ორფეხი ვირთხების წყალობით მალე დაიხურა. შემდეგ ეს სასადილო იჯარით აიღო ორმა ვეჭარმა. ერთ მათგანს მეტად ავი ზნე სჭირს. ის განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ახალგაზრდა კაცებისადმი. ამ ნიადაგზე ამას წინათ ერთი აყალ-მაყალი მოხდა სასადილოში. ასეთი მოიჯარადრე უნდა გაეცილოს სოფლიდან.

მათხოვარი.

ხეფეთის თ. (სენ. მ.)

უპატრონოთ დაგვრჩით. მას შემდეგ, რაც პოლიტგანმა მოგვისპო ჯამაგირიანი ქოხ-სამკითხველოს გამგე, სამკითხველო დაკეტილია და გაზეთებით ვეღარ ვსარგებლობთ. ადგილობრივ აღმასკომს ძალა არ შესწევს, რომ სამკითხველოს ხარჯები თავის თავზე აიღოს. ეს მდგომარეობა უნდა გამოსწორდეს.

მლ. ოჩიგავა.

გორი

ცუდი მიბაძვა. თბილისში ხშირად შეხვდებით უცნაურ წარწერებს აბრებზე. არა ერთხელ იყო ამის შესახებ მუშკორთა შენიშვნები, მაგრამ პროვინციამაც წაბაძა თბილისს ამ ჩვეულებაში. მაგალითად, გორში, ა. წერეთლის ქუჩას ამშვენებს ერთი ასეთი წარწერა: „პლოდოვინტრესტი“. ამ დაწესებულებასთან ყველაზე მეტად გლეხებს უხდებათ საქმის დაჭერა. აბა, რომელი წერა-კითხვის მცოდნე გლეხი გაიგებს ამ წარწერიდან რამეს?!

კოხი.

ს. კიცხი (შორ. მ.)

არც ცხენი, არც გზა, არც ტელეფონი. ჩვენი თემი რაიონიდან დაშორებულია 12 ვერსით და კიდევ უფრო შორსაა მაზრიდან. გზები არ გვაქვს, ცხენი აღმასკომს არა ჰყავს და არ გვაქვს ტელეფონიც. ამნაირათ ჩვენი ერთად ერთი კავშირი რაიონთან და მაზრასთან შესაძლებელია მხოლოდ ფეხით. ეს ხელს უშლის აღმასკომის ნორმალურ მუშაობას.

ა. ცხადაძე.

ს. რკონი (გორ. მ.)

მგლებმა აგვიკლეს. ამ ბოლო ხანს მგლების ხროვა მოსვენებას არ აძლევს ჩვენი სოფლის გლეხობას. დეკემბრის ორი კვირის განმავლობაში მგლებმა შეჭამეს ხუთი სული მსხვილფეხა საქონელი და 24 სული ცხვარი. სოფელი სთხოვს [illegible] გორის მონადირეთა კავშირს.

ვ. ქარელიძე.

ს. ზეკარი (ქუთ. მ.)

უკან ჩამოვრჩით. იშვიათია ჩვენს მაზრაში ისეთი სოფელი, რომელიც კულტურულათ ჩვენს სოფელზე დაბლა იდგეს. ზეკარის გლეხობის უმრავლესობამ წერა-კითხვა არ იცის. სკოლა არა გვაქვს. თემში მართალია ორი სკოლაა, მაგრამ ჩვენგან ისინი იმდენათაა დაშორებული, რომ ზამთრობით ბავშვები ვერ დაიარებიან. სკოლის მასალა მზათა გვაქვს, გვაკლია მხოლოდ ინიციატივა და განათლების განყოფილების ყურადღება, რომ მან მოგვაწოდოს მასწავლებელი.

დ. ზეკარელი.

სოფლის ქრონიკა

— **საბეითლო პუნქტი.** სოფ. კორნათში (აჭარა) მოეწყო საბეითლო პუნქტი.

— **საექიმო დახმარება.** ქედის საექიმო პუნქტმა უკანასკნელ თვის განმავლობაში უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინა 154 უღარიბეს გლეხს.

— **ჭრა-კერვის სკოლა.** სოფ. გურჯაანში (კახეთი) გახსნილია გლეხქალების ჭრა-კერვის სკოლა.

— **გლეხთა კოლექტივი.** სოფ. ხულოში დაარსდა გლეხთა კოლექტივი, რომელშიაც ირიცხება 100 კომლი, კოლექტივმა უკვე დაამუშავა 200 დეს. მიწა.

შემთხვევები.

— **ცეცხლი.** 10 იან. სასამართლოს ქ. № 4 სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელმა რაზმმა.

— **საპნის ტრესტის და ძაფის საქსოვ ქარხნიდან,** კომ. ქ., № 117 ალექსი დალაშვილმა და ვლადიმერ კობულოვმა მოიპარეს ერთი ზურგანი ძაფი.

— **ტრამვაის ქვეშ.** 10 იანვარს საღამოს 7 ს. საბჭოს ქუჩაზე ტრამვაის რონოდამ მარშრუტი № 11 გადაუარა უცნობ მოქალაქეს.

— **გადმოვარდნა.** 10 იან, საღამოს 7 ს. ბრიგადირის ქ. № 21 ფილიმონ სოფრომის ძე ქორიძე გადმოვარდა მე-12 სართულიდან და სასიკვდილოთ დაშავდა.

— **აგარაკ ქიქეთში.** დაიწვა თბ. აღმასკომის ჯანმრთ. განყოფილების ორ სართულიანი სააგარაკო შენობა № 16. ზარალი დიდია.

— **ქურდობა.** 10 იან, ლენინის ქ. № 54 გაქურდეს გიორგი გიორგაძის ბინა.

— 9 იანვარს პასკევიჩის ქ. № 3 გაქურდეს მუტო სოლოლცკის ბინა.

— ამავე დღეს ბელგის ქ. № 21 გაქურდეს ერვანდ ბოთოჯეიანცის ბინა.

— **შეპყრობა.** 9 იანვარს შეიპყრეს ვართან ასლამაზოვი, ქურდობისათვის.

— ამავე დღეს შეიპყრეს ალექსი ხინაშვილი, რომელმაც სიღნაღელ გლეხს ხოხულაშვილს გამოსტყუა 1 ფ. თამბაქო.

ხელოვნება

— **სანდრო ინაშვილი** დღეს იმღერებს ოპერა „აიდა“-ში.

„დეზერტირკა“. დღეს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება „დეზერტირკა“.

— **გ. სუნდუკიანცის** დაბადებიდან 100 წლის შესრულების აღსანიშნავად ხვალ რუსთაველის თეატრში გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა.

— **ახალი კინო-თეატრი.** პლეხანოვის პრ. გაიხსნა ახალი კინო-თეატრი „ოდეონ“.

— **სიმონ ჩიქოვანი** ამ დღეებში ქ. ქუთაისში წაიკითხავს მოხსენებას: „ახალი ლიტერატურა“. „ფორმალური მეთოდი“, და „ახალი ლიტერატურული კლასიფიკაცია“. შემდეგ გამართავს „ლექსების საღამოს“.

საბჭოთა სასამართლო

არდიშვილის საქმე

დღეს ალმ. საქართველოს უზენაეს სასამართლოში გაირჩევა საქმე ექიმ არდიშვილისა.

როგორც მკითხველებმა იციან, არდიშვილს საოლქო სასამართლოსაგან მისჯილი ჰქონდა 3 წლის ციხე სტუდენტ ბერმანისაგან ქრთამის აღებისათვის. ბერმანსაც მიუსაჯეს იმდენივე ქრთამის მიცემისათვის. შუამავალ გულისაშვილს კი მიუსაჯეს 8 წლის საპყრობილე.

ყველა ბრალდებულმა განაჩივრეს თავიანთი განაჩენი უმაღ. სასამართლოში.

ბ ა ყ რ ა

— ვერ შევთანხმდით ერთმანეთთან ხასიათით, მორჩა და გათავდა.

სახალხო მოსამართლემ გაოცებით გადაავლო თვალი—ასე გულამოსკვნით მოლაპარაკე გოგონას.

ის შეხედულობით იქნება 13—14 წლისა.

ლაპარაკობს კი ისე დაბეჯითებით, რომ ვინ შეჰკადრებს სიტყვას. შებრუნებას!

— და სწორეთ ამიტომ მე გთხოვთ, განგვაშოროთ ერთმანეთს!

— როგორ თუ ვერ შევთანხმდით ხასიათებში! ეს რა ამბავია! მე სრულიადაც არა მსურს განშორება, გესმის თუ არა!

ასე აღშფოთებით უპასუხებს ახალგაზრდა გოგონას იმისი სასტიკი და უხეში ქმარი—იოსებ ლოლაძე

— ვა, ასე გაგონილა! დღეს დავქორწილდე, ხვალ გავიყარო! ცოლი ბოლოს ქათამია თუ რა არის, განა ეგრე ადვილია ახალ-ახალი ცოლის მოყვანა! წადი კაი კაცო და ახლათ უყიდე ჯვრის წერის ბეჭედი, ჩააცვი, დახურე...

— ამხანაგო მოსამართლე! მაგნაირ ცრუპენტელას განა დაეჯერება რამე? ბალიშიც კი ჩემმა ძალუამ მაჩუქა..

მიუხედავათ ქმრის წინააღმდეგობისა, მოსამართლე მაინც აშორებს ერთმანეთს ცოლქმარს.

მარია ლოლაძე იმედიანათ მიიმართება კარებისაკენ.

— შენ სად მიბრძანდები? გადაელობა წინ ქმარი.

— ვითომ რა გნებავს?

— როგორ თუ არ მნებავს, შენ როგორ მელაპარაკები! მე შენი ქმარი ვარ თუ არა!

— რის ქმარი, რა ქმარი! ყურები გამოიჩიჩქნე, ჩვენ უკვე განშორებული ვართ!

— როგორ?

— როგორ და ეგრე, მეყო, რაც შენგან გაჭირვება ავიტანე, შე ძუნწო ბაიყუშო, შენა!

— მარო! მარო, გენაცვალე, ფეხსაცმელებსაც გიყიდი, კაბასაც გიყიდი, ოღონდ წამოდი ისევ ჩემთან!

— ფუი შენ კი შეგაჩვენა ეშმაკმა! ძლივს გავიყარეთ და ეს კი ეხლავე შერიგებაზე ფიქრობს. აღარა მსურხარ, აღარა! გამოიჩიჩქნე ყურები!

და მარო ლოლაძემ გაიხურა თავის უკან სასამართლოს კარები.

ნედ.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ქმარი ვალდებულია თუ არა არჩინოს ავადმყოფი ცოლი.

კ ი თ ხ ვ ა.

ჩემი და ბაბილინა კანონიერად გათხოვილია 1919 წლიდან. მას ყავს ორი ვაჟი, მცირეწლოვანნი. ქალისათვის თავის დროზე მიცემული გვაქვს მზითები და ფულიც. ქალს ქმრის ოჯახში ძალიან ავიწროებდენ და ლანძღვა-გინებით იკლებდენ მას. რამდენჯერმე ყოფილა შემთხვევა ქალს საწამლავით უნდოდა გამოთხოვებოდა წუთი სოფელს. ეს ქალი გახდა მძიმე ავად 1923 წ.

ქმარი, ამბაკო ხუჭუა, უვლიდა ჩვენთან ერთად ერთი წლის განმავლობაში და როდესაც დარწმუნდა, რომ ავადმყოფის მორჩენა შეუძლებელი იყო, მან ერთხელ და სამუდამოდ მიანება მას თავი და ავადმყოფი, 100 პროც. შრომის უნარმოკლებული ქალი, დარჩა მოხუც და უსახსრო მშობლების კმაყოფაზე. ქალს სჭირდება ერთი მომვლელი.

გთხოვთ რჩევა-დარიგებას, გვაქვს თუ არა უფლება, ქმარის ამბაკო ხუჭუას მოვსთხოვოთ ავადმყოფზე დანახარჯი ფულის ანაზღაურება?

ვალდებულია თუ არა იგი თავის ავადმყოფი ცოლი არჩინოს?

შეგვიძლია თუ არა წაღებული მზითევი უკან წამოვიღოთ. რადგან ავადმყოფს სჭირდება ასეთები?

რკინისგზის კავ. წევრი № 2981ნ.

პ ა ს უ ხ ი.

თანახმად დეკრეტი № 28-ის მუხ. 96 და 97-ისა, გაჭირვებულს, შრომის უნარდაკარგულ მეუღლეს აქვს უფლება მიიღოს სარჩო მეორე მეუღლისაგან, თუ ამ უკანასკნელს შეუძლიან დახმარების აღმოჩენა. თუ კი შეძლებული მეუღლე ამ სარჩოს ნება-ყოფლობით არ გაიღებს, მაშინ შრომის უნარ-მოკლებულ მეუღლეს აქვს უფლება ეს სარჩო მოსთხოვოს მას სახალხო სასამართლოს წესით თავისი ბინადრობის მიხედვით.

კანონიერ განქორწინების შემთხვევაში განქორწინებულ მეუღლეს უნდა დაუბრუნდეს მზითევი უკლებლად.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პ ა რ ტ ი უ ლ ი

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე რაიკომის საგიტ-ციო საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს 1926 წლ. 12 იანვარს საღამოს 6 საათზე შინ-მრეწველთა და ხელოსანთა კლუბის შენობაში (პლეხ. პროსპ. 66.) მიწვეული არიან ყველა პოლიტიკური და პარტიული სკოლები ქართულ ენაზე.

სამშაბათს, 1926 წლ. 12 იანვარს საღამოს 6 საათზე ცენტრალურ მუშათა კლუბის შენობაში (პლეხ. პროსპ. 123) მოწვეული არიან ყველა პოლიტიკური და პარტიული სკოლები რუსულ ენაზე.

სამშაბათს, 1926 წლ. 12 იანვარს საღამოს 6 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეული არიან ყველა პოლიტიკური და პარტიული სკოლები სომხურ ენაზე.

სავალდებულოა დასწრება დაუგვიანებლად ყველა პოლიტიკური და პარტიული სკოლების მსმენელთა ქართულ, რუსულ და სომხურ ენაზე.

მდივანი ფანცულაია.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომის საორიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება იუწყება, რომ ქალაქის რაიკომის მიმღები კომისიის სხდომა ორშაბათიდან გადაიდო ხუთშაბათის საღამოს 5 საათისთვის.

ამხ. ამხ., რომელთაც შემოტანილი აქვთ განცხადება კომპარტიის კანდიდატათ მიღების და წევრად გადარიცხვის შესახებ და რომელნიც უნდა გამოცხადებულიყვნენ ორშაბათს,—უნდა გამოცხადდენ ხუთშაბათს 14 იანვარს საღამოს 5 საათზე.

რაიკომის პასუხისმგებელი მდივანი გობეჯიშვილი.

დღეს, 12 იანვარს, დილის 10 საათზე შესდგება საქართველოს კომ პარტიის

თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომა.

სავალდებულოა თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის ყველა წევრთა და კანდიდატთა დასწრება.

თბილისის კომიტეტის მდივანი მიხ. კახიანი.

— ქალაქის რაიკომის გლეხ და მუშ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 12 იანვარს, საღამოს ექვსის ნახევარზე შესდგება სადელეგატო კრება: ქართული ჯგუფისა—ქალაქის აღმასკომში, რუსული ჯგუფისა კი—ფოსტის მუშაკთა კლუბში.

ყველა დელეგატებისა და ორგანიზატორების დასწრება სავალდებულოა.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მეორე რაიკომის მუშა ქალთა და გლეხ-ქალთა შორის მუშაობის განყოფილება იუწყება, რომ დღეს, 1926 წლ. 12 იანვარს, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში შესდგება ქალთა სადელეგატო კრება მეორე რაიონის ორგანიზატორ ქალებთან ერთად.

სავალდებულოა ყველა დელეგატ-ქალების და ორგანიზატორ ქალების დასწრება დაუგვიანებლად.

მდივანი ფანცულაია.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მეორე რაიკომი იუწყება, რომ ოთხშაბათს, ა | წ. 13 იანვარს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში (პლეხანოვის № 96) შესდგება მეორე რაიკომის მიმღები კომისიის სხდომა.

ყველა ამხანაგები, რომელთა ანკეტები როგორც მიღების, ისე წევრად გადაყვანის შესახებ, შემოტანილია რაიკომში და დამტკიცებულია 1 იანვრამდე სადელეგატო კრების მიერ, ვალდებული არიან გამოცხადდენ მიღებაზე და წევრად გადაყვანაზე დაუგვიანებლად.

მდივანი ფანცულაია.

— საქმეთა მმართველობა სთხოვს საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის წევრებს და კანდიდატებს გამოცხადდენ თბილისის კომიტეტში მანდატების მისაღებათ.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2-ე რაიკომის აგიტპროპგანყოფილება იუწყება, რომ დღეს, 1926 წლ. 12 იანვარს საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში მოწვეულია რაიშეფბიუროს სხდომა.

სავალდებულოა ქვემოდ დასახელებული ამხანაგების დასწრება დაუგვიანებლად.

1. კანდელაკი, 2. ოტიაშვილი, 3. კოგირიაგინი, 4. ენუქიძე, 5. მეგრობიანი, 6. შველობლიშვილი, 7. ბარხუდაროვი, 8. ფერაძე, 9. ედიგაროვი, 10. ასკაროვი, 11. ორჯონიკიძე, 12. ზაბაშტა, 13. ფარნიევი.

მდივანი ფანცულაია.

— საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი იუწყება, რომ დღეს, 12 იანვარს, საღამოს 5 საათზე ახალი მუშათა კლუბის შენობაში (სასახლის—5) შესდგება ქალაქის რაიკომის ყველა უჯრედების საორგანიზაციო კომისიების თათბირი.

დღის წესრიგში სდგას: 1. მოხსენებები ადგილებიდან, 2. საინსტრუქციო მოხსენება.

სავალდებულოა უჯრედთა ორგკომისიების ყველა წევრთა დასწრება დაუგვიანებლად.

რაიკომის პასუხისმგებ. მდივანი გობეჯიშვილი.

მეუღლე აგრაფენა (დაია) შვილებით: იოაკლი, გულიადათი და ხოტიო ლოლუები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ სამშაბათს 12 იანვარს, საღამოს 4 საათზე ნიკოლოზის ეკლესიის გალავანში (სასაფლაოზე) გადახდილი იქნება პანაშვიდი მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

ძუკუ გახვას ძე ლოლუას

წლისთავის აღსანიშნავად. 1114 1—1.

ღრმათ დამწუხრებულნი შვილები კონსტანტინე ეგნატეს ძე ბაქრაძე, დესპინე ბალანჩივაძისა, ელისაბედ ბახტაძისა, დარიკო სობოლევისა შვილის-შვილებით: თამარა, საბა, ავთანდილ, ილიკო, ამბაკო ბაქრაძეები, ალექსანდრე ანთაძე, დავით ბალანჩივაძე, შოთა ბახტაძე, ბაბილინა კოხრეიძისა, ცუცული ძიძიგურისა, ლიუდმილა ოჩიგავასი, ანიჩკა წივწივაძისა, სიძეები: ვასილ ბალანჩივაძე, ვასილ ბახტაძე, კონსტანტინე სობოლევი, აკაკი ძიძიგური, ფილიპე ოჩიგავა და მიშა წივწივაძე აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 9 იანვ. ღამის 11 ს. გარდაიცვალა მათი დაუვიწყარი

გულქან გაბრიელის ასული
ბ ა ქ რ ა ძ ი ს ა

დაკრძალვა მოხდება 12 იანვარს ნაშუადღევს 3 საათზე, ვერის წმინდა ნიკოლოზის სასაფლაოზე. მისამართი: საპიორის ქუჩა № 28.

1123 1—1

გულ-მოკლული მშობლები ილარიონ და პიოსლავა წერეთლები შვილებით: კონსტანტინე, ვერა, ივანე გრიშა, ილიტა, ლადუშა, რძლები: მარიამი და ოლია, შვილის-შვილებით: დათუნა და ნათელიკო და სიძე ამბერკი ორჯონიკიძე აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ კვირას 10 იანვარს, ნაშუადღევს 2 საათზე გარდაიცვალა მათი უძვირფასესი, საყვარელი და დაუვიწყარი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტი

ქეთევან (ბაყვალა) ილარიონის ასული
წ ე რ ე თ ე ლ ი

გამოსვენება, 13 იანვარს, ნაშუადღევს 4 საათზე. სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე, ნიკოლოზის ქ. № 97,

1125 დაკრძალვა ვერის ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1—1

ღრმად დამწუხრებული მეუღლე [illegible] და დათიკო, სიძე შალიკო კინწურაშვილი; ძმები ლუკა და ერასტი შვილებით მიხეილი და კონსტანტინე ჭავჭანიძეები ამით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს რომ უდროოდ გარდაიცვალა ა. | წ. 10 იანვარს ქ. ქუთაისში მათი ძვირფასი და დაუვიწყარი

მიხეილ (მიხაკო) ივანეს ძე
ჭ ა ვ ჭ ა ნ ი ძ ე.

რომლის გამოსვენება და დაკრძალვა დანიშნულია ოთხშაბათს, 13 იანვარს ქ. ქუთაისში. გამოსვენება ნაშუადღევს 3 საათზე თავის ბინიდან წერეთლის ქუჩა. 1120 1—1

დიდათ დამწუხრებულნი ჩათუ გიორგის ასული ასათიანისა, ძმები ილარიონ, გაბო და პეტრე თურმანიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მათი ძვირფასი სიძის

ვასილ მიხეილის ძე ქვაიას

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდება ოთხშაბათს 13 იანვარს სოფ. ხიბულაში (ზუგდ. მაზრა). 1124 1—1

რუსთაველის თეატრი: სამშაბათს, 12 იანვარს

დ ე ზ ე რ ტ ი რ ა

ხუთშაბათს, 14 იანვარს

ქართულად ოპერა

„ფარული ქორწინება“

დგამს საოპერო სტუდია

შაბათს, 16 იანვარს

პირველად ამ სეზონში

გ მ ი რ ი

კვირას, 17 იანვარს

დ ე ზ ე რ ტ ი რ ა

ნ. 573 6—1



გამოვიდა გასასყიდათ
ფასი 1 მანეთი

1—1 ნ. 577

მოწაფეთა საყურადღებოთ

გამოვიდა და იყიდება

ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)

მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.

0—20

„მეჟრაბპომ-რუს“-ის ამიერ-კავკასიის განყოფილება
(„МЕЖРАБПОМ-РУСЬ“)

თბილისი, რუსთაველის პროსპ. [illegible]

დამთავრდა დიდი მხატვრული სურათის დადგმა

ზემო-სვანეთის ცხოვრებიდან

„დინა ძაძუ“

რეჟისორი: ი. ა. ჟელიაბუჟსკი

ოპერატორები: ი. ა. ჟელიაბუჟსკი და ა. ა. იალოვა

მხატვარი: საქართველოს სამხატვრო აკადემიის პროფესორი ი. ა. შარლემანი

მთავარი როლები: ანჯაფარიძე, თოიძე, ჭავჭავაძე, ერისთავი-ულენტი, ვასაძე, დავითაშვილი, მიქაბერიძე და წითლიძე

მუსიკა სურათისათვის სპეციალურად დასწერა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა კომპოზიტორმა ზ. პ. ფალიაშვილმა

სურათის საზოგადოებრივი განხილვა და გამოშვება თებერვალში

ნ. 575 1—1

აპოლო
არტისტული
სოლეი

პირველად თბილისში

„მძიმე წლები“

მხატვრული დრამა 7 ნაწილად. 1 სეანსის დაწყებამდე—პარტერი —35 კ. ამფიტეატრი—25 კ. IV ადგ. 20 კაპ. სიმებიანი ორკესტრი.

ანონსი: ამ დღეებში რუდოლფ ვალენტინო საუკეთესო სურათში: „КРОВЬ И ПЕСОК“ (სისხლი და ქვიშა)

პრემიერა

„სიყვარულის თვალები“

სოლოს სკრიპკაზე შეასრულებს იაკობ ბროდსკი

განსაკუთრებული წარმატების გამო გაგრძელებულია სურათის

„ორი პრეტენდენტის“ ჩვენება

მერი პიკფორდის მონაწილეობით. ჩვენების უკანასკნელი დღეები.

ნ. 574

სუსტი დენის ქარხნების ტრესტი

ამით აცხადებს, რომ ა | წ. 16 იანვარს, დილის 11 საათზე იგი ნიშნავს

შეჯიბრებას ორი „გრიდირენის“

ასაშენებლად თბილის-ნავთლუღის, ბაქო-არმენიკენდის რადიო-სადგურებთან სამუშაოს ამღების ინსტრუმენტებით და მასალით, გარდა ცემენტისა, რომელსაც იძლევა თვით ტრესტი.

იმ პირებმა და დაწესებულებებმა, რომელთაც სურთ აიღონ აღნიშნული სამუშაოები, უნდა შემოიტანონ წერილობითი განცხადება დახურულ კონვერტებში შემდეგი წარწერით: „სუსტი დენის ქარხნების ტრესტის წარმომადგენლს ინჟენერ გილბერტს ა | წ. 16 იანვრის შეჯიბრებისათვის.“ განცხადებასთან დართული უნდა იქნას ქვითარი ამიერ-კავკასიის სახ. კავშირის ოლქის სამმართველოს სალაროში 300 მანეთის საწინდრის შეტანის შესახებ.

სამუშაოების პირობების და ნახაზების გაცნობა შეიძლება ამიერ-კავკასიის სახ. კავშირის ოლქის სამმართველოში ყოველ-დღე, დილის 1 საათიდან 4 საათამდე. ოთახი № 21. რუსთაველის პროსპ. 43.

აქვე მიიღება განცხადებები, განცხადებები. ჩეტანის უკანასკნელი ვადათ დანიშნულია 16 იანვარი, დილის 10 საათი.

ქალაქის გარედ მცხოვრებლებს შეუძლიათ წარმოადგინონ განცხადება დეპეშით:

ნ. 576 1—1

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

გამგეობა

აცხადებს, სტუდენტთა საყურადღებოდ

რომ კურსიდან კურსზე გადასასვლელი გამოცდების (ზამთრის) სესია გრძელდება 1-დან 15 თებერვლამდე. აღნიშნულ სესიაში გამოცდის ჩაბარების მსურველნი ვალდებულნი არიან ჩაეწერონ დაუცილებლად 27 იანვრამდე.

ნ. 560—3—1

ხელისმოწერლებმა

ყოველგვარი ცნობებისათვის

უნდა მიმართონ

„კომუნისტი“-ს

მთავარ კანტორას

რუსთაველის პროსპექტი № 24

ტელეფონი № 10—49

ამიერ-კავკასიის სახელმ. შრომის შემნახველი მთავარი სალარო

გადავიდა ხოლოლაკის ქ. № 12

რუსთველის პროსპექტზე № 19

(რუსთველის თეატრის გვერდით)

9 იანვრიდან ოპერაციები იწარმოებს ახალ შენობაში.

სალარო იძლევა ანაბარებზე 8—9 პროცენტს.

აწარმოებს ობლიგაციების, სესხების, აკრედიტულ, სამმანეთო და სხვა საბანკო ოპერაციებს.

ანაბარები ინახება სავსებით საიდუმლოთ

ნ. 556—3—1

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ლევან არღუთინსკი აცხადებს, რომ 15 იანვარს, 1926 წელს, 1 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის გერასამე, ილია და ვასილი იობაშვილებს, რომელიც მდებარეობს თბილისში, მატერიალური ქუჩა, № 18 და შეიცავს ზემოხსენებული იობაშვილების მთელი მამულის სამი მეოთხედი ნაწილის მფლობელობას. აწერილი სახლი არის ორ სართულიანი და აშენებულია ნაკვეთ მიწაზე ზომით 265 კვ. საჟ., შესდგება 15 ოთახიდან და 3 სამზარეულოდან. სახლის წინ დასავლეთის მხრივ იმყოფება ბაღი.

შეფასებულია 3.000 მან., რა შეფასებიდანაც დაიწყება ვაჭრობა. გაყიდვა დანიშნულია სახ. კვების კავშირის და სხვების პრეტენზიების დასაკმაყოფილებლად თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს და სხვა სასამართლოების აღმასრულებელი ფურცლებით საერთო ჯამით 8,000 მანეთამდე.

ვინც ისურვებს ამ ვაჭრობაში მონაწილეობის მიღებას, ვალდებულია წარუდგინოს სასამართლოს აღმასრულებელს: აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლოს სანოტარო განყოფილებიდან და თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილებიდან ცნობები იმის შესახებ, რომ არც მათ, არც მათ მეუღლეს და არც მათ მცირეწლოვან შვილებს არა აქვთ თბილისში საკუთარი შენობები და აგრეთვე უნდა წარუდგინონ თავის ხელწერილი იმის შესახებ, რომ არც მათ და არც ზემოჩამოთვლილ მათ ოჯახის წევრებს არა აქვთ საკუთარი შენობები სხვა რაიმე ადგილას აგრეთვე თბილისის გარეშე, გარდა ამისა ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარადგინოს საწინდარი შეფასებული ჯამის 10 პროცენტი, ე. ი. 300 (სამასი) მანეთი. ვაჭრობა დანიშნულია მეორედ და შეიძლება დაიწყოს შემოძლეულ ფასიდან.

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

სხივოლებით რენტგენის დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

ავადმყოფების მიღებას

პროფესორი

მ. წინამძღვრიშვილი

აწარმოებს დილის 9 ს-დან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. კვირა დღეს არც ავადმყოფებს იღებს და არც რაიმე განმეორებითი რჩევებს აძლევს. ყოფ. ელისაბედის ქ. № 7, ხიდის მახლობლად ტელეფ. 14—56 989 25—1

ექიმი **ი. დ. თოფურიძე**

ელიზბარის ქუჩა (ყოფილი მიკელოვ.) № 33.

იღებს ავადმყოფებს

კანის, სიფილისის და ვენერიული (შარდის და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სას. ქესო ორგანოს ყველა გართულებები) დილის 8—9 საათამდის, საღამოს 4—8 საათამდის.

ექიმი

დ. ა. გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს.

დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს.

ძნელაძის ქუჩა (ყოფილი საპიორნი) № 32.

25—1

დოქტორი **გ. მეგრაბიანი**

ფილტვების, გულის და ციების

წამლობა ხელოვნური მთის მზით სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინზით, რენტგენის, და სინათლის-ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 სალ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი **ნ. ა. ჯანდიერი**

შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი

მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.

სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდა მეორე სახლი. 25—1

ექიმი **გ. მ. ფხალაძე**

კანისა და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)

ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—9 საათ.—საღამოთი 7—9 საათ. ქალების—საღამოთი 6—7 საათ. მისამართი: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეზო მა-(ჩაბლის ზემოლის აფთიაქის პირდაპირ.

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

ექიმი **თოდაძე**

ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტი, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა გაახალგაზრდავების თანამედროვე მეთოდებით და სხვ.) ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.

დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 საათ. ბელგიის ქუჩა № 1.

ექიმი **არსენ ვადაჭკორია**

დაბრუნდა აგარაკიდან და იღებს ქალთა და შინაგან სენით ავადმყოფთ. აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას

დილის 8—10 ს., საღამოს 4—7 ს. ოლღას (ლენინის ქუჩა) № 35.

ექ. ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი

ავადმყოფების მიღება 1—2 ს. დღე და 6—8 ს. საღამოთი, ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთველის პროსპექტი № 18—10 (შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან). 25—1

ექიმი **მ. ა. ლუკოვსკი**

სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.

ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 4 საათიდან—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან—2 საათამდე.

საპიორის ქუჩა № 35, ყოფილი კადეტთა კორპ. უკან.

ექიმი **ა. ხ. ფონ-ირტელი**

მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბონ-მონტი).

ქალთა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე.

კბილის ექიმი

ფ. თ. რატიან თუხარელისა

კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—7 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ).

ექიმი **პ. ი. ჯალალოვი**

კანის და ვენერიული ავადმყოფობანი სიფილისი, შეშხაპუნება „914“

ნორეის და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფები მიიღება დილის 7—9 საათ საღამოს 5-დან 9-მდე. მისამართი კამოს ქ. № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

დაბრუნდა და განაახლა მიღება. **მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი**

მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.

კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

კომისარიატთა სახლში მცხოვრებ მოქ. სიმონ გიორგის ძე კარევაშვილის სახლიდან გამოვიდა 14 წლის ბავშვი ზინა ფარნაოზის ასული კიკნაძე

საღამოს 9 საათზე 7 იანვარს, რომლის არავითარი ამბავი აღარ ვიცით. ნიშნები ბავშვის: აცვია ყავისფერი პალტო და ამავე ფერის ქუდი, თმა შეკრეჭილი, მრგვალი სახე, ვაჟური გამომეტყველება სახის. ფეხზე მაღალ ყელიანი ყავისფერი ფეხსაცმელები, გთხოვთ ასეთი ნიშნიანი ბავშვის ამბავი გვაცნობოთ: სასამართლოს ქუჩა, № 27. ფარნაოზ კიკნაძე.

1128 1—1

დაჰკარგე საქ. ა. ლ. კ. კ. წიგნაკი № 10502 პეტრე ტყემალაძის სახელზე ჩ. გ. 1121 1—1

დაჰკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1478 ელენე ჟუჟუნაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1126 1—1

დაჰკარგე კავშირის წიგნაკი № 4332 ანგელინა აბიათარის ასული იაკობაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1122 1—1

დაჰკარგე პირადობის მოწმობა გაცემული წესის აღმასკომის მიერ № 45 გალაქტიონ თედორეს ძე ციხისელის სახელზე, ჩ. გ. 1—1

დაჰკარგე პირადობის მოწმობა № 145, პროფკავშირის საწევრო წიგნაკი № 987, ოზურგეთის სამაზრო გლეხკომში ინსტრუქტორათ ნამსახურობითი მოწმობა № 151, და მინდობილობა მოცემული ს. ჰ. კ. ს. საფინანსო განყოფილებიდან ამოწერილი ორდერითურთ № 1756, ეგნატე დიმიტრის ძე არობელიძის სახელზე, ჩ. გ.

1130 1—1

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს საშ. წულუკიძის ქუჩა № 4